

ახეულა

ლიტერატურული ჟურნალი
N1, 2018



„მე ვარ
ტროცის
პატიმარი...“



ქართული
ცეკვის
რაიონი



ქართული მხახიობი
„სტელა ავღერიძან“

რეპაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი



პულოცავთ!




ქართული ცეკვის რაინდს - თენგიზ უთმელიძეს 80 წელი უხურულდება. სუბიშვილების ანსამბლის ოქროს ხანის გამორჩეული სოლისტი რვა ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურა ქართულ ხელოვნებას.

იგი არის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქართული ქორეოგრაფიის მემატიანე, მრავალი წიგნის ავტორი და რედაქტორი.

მან მთელი ცხოვრება ჭეშმარიტი ქართველი რაინდის ძაღმოსილებით განვლო და მრავალ ეროვნულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, რითაც საზოგადოების დიდი სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა დაიმსახურა.

ლიტერატურულ ჟურნალ „ახელის“ რედაქცია ულოცავს თენგიზ უთმელიძეს დიდ იუბილეს, დღეგრძელობას და სულის სიმხნევეს უსურვებს, რათა კვლავაც წარმატებით ეღვაწოს ქვეყნის სასიკეთოდ.



ანალიტიკური

№ 1. (№20) მარტი. 2018 წელი

ლიტერატურული
ქუჩის ნაწილი

„ჩემი თვალნათელი“...	
მთხიარული კუთხრის ტაძარი	4
ლევან გოთუას ხსოვნის დღე	5
უბრალო ლექსი	
თამარ შიშველიანი „მე ვარ ტრფობის პატიმარი“	5
პეტრე	
ახალი დათქმის ტყავის ქურთუკი	6
ახალი თანამართლი ქურდი	7
რუმანოვი სასულთნის დრო - 80 საიუბილეო სხდომა გამართა	8
პეტრე ნათია მჭედნიანი	9
124-ე საჯარო სკოლაში ფერეიდუნ ქართველებს უმასპინძლა	10
პეტრე ნინო ანადაზანი	11
ლიტერატურული პეტრე	
ანთონი ნიკოლოზიანი ლევან გოთუა	14
პეტრე ბორა ჭაბუაძე	17
ლიტერატურული წიგნი	
მანა ჯონაძე სამშობლო - „ჩემი სავანე“	19
ლილია ქიქოძე-სახინაძე-ნიკოლოზიანი ლალი ჯაფარიშვილის პოეზია	25
უბრალო ლექსი	
ნინო ბარბაქაძე „ცხოვრებას განვიღივებ რომ გავყურებ“	31
ნინო მთელიანი ქვაკაცა	31
თენგიზ მთელიანი - 80	
ნიკოლოზიანი ქართული ცეკვის რაინდი	32
პეტრე მთელიანი ხატაძე როცა ხეები გაღმა ხმებიან	35
პეტრე მთელიანი ჩარჩოში ჩასმული სული	36
თამარ შიშველიანის ასახვა ან ჩაქოძეანი	38
პეტრე	
ნათია ბონადაზანი	42
ნიკოლოზიანი	44
პეტრე	
ნიკოლოზიანი ყიბლაძეანი ღმერთი ჩვენს სახლებში	46
ნიკოლოზიანი (ანტიანაწერი)	47
უბრალო ლექსი ნიკოლოზიანი (ნიკოლოზიანი) ახალი გაზაფხული ჩემს სამშობლოში	51
წიგნიანი ნიკოლოზიანი ბრძენი მალაღობელი	52
ნიკოლოზიანი თორნიკიანი ნიკო ლეჟავა, ანუ „ერთი შვილ მინც გავზარდე“	54
ასალი წიგნიანი „გმირთა ვარამის“ კაცი	58
პეტრე	
ნიკოლოზიანი	59
ნიკოლოზიანი ბაბადაზანი	62
ნიკოლოზიანი ქიქოძეანი	63
პეტრე	
ნიკოლოზიანი „ამანათი“, „ბაბუ“, „სიკეთის უკვდავება“	64
თარგმანი	
ნიკოლოზიანი ნიკოლოზიანი თარგმანს: მაყვალა გეორგიანი და თამარ გაროშვილი	68
ნიკოლოზიანი ნიკოლოზიანი ნიკოლოზიანი - „მე თბილისი მენატრება“ თარგმან ირინე გოჩიაშვილი	69
ნიკოლოზიანი ნიკოლოზიანი 20 წელი ალექსანდრე „შოში“ ჩხაიძის გარდაცვალებიდან	70
ნიკოლოზიანი „დრო გადაარჩევს ნამდვილ და ცრუ პოეტებს“	71

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანული“

ენციკლედ „ანული“ ახსებული
ლიტერატურული გახიზონება:

თამარ მიქაქი
ლელია ქიტოშვილი –
სასლთხ უცვიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ სმალაქი
ივანე ჯაფარიქი
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი ჰედაქტოხი

თამარ შაიშველაშვილი

ჰასუხისმგებელი ჰედაქტოხი

სოფიო ჯაფარიქი

ლოგოს ავტოხი

ბიოგრაფიული ზუხუბიანი

გაჰეჯანზე:

ნილო ცაქავეს ფიქციური ნამუშევარი

ჰელენის ტელეფონი: 551 00 50 58

რელაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალაზე ჰასუხისმგებელი ავტოხი

კუმურდოს ტადარი



უდაბურ ზეგანზე სადგურდება
ნგრევის და არყოფნის ნატურფალი,
ინთქმება, იქცევა, ნადგურდება
კუმურდოს უმრევლო კათედრალი.

დრო ლოდებს აგორებს ყომარვიით,
გარშემო ნამსხვრევთა შრაპნელია,
და ჯვარი, აქმეულ ყორანივით,
საფლავის ბალახში ჩაფრენილა.

ნაგები ზეკაცურ რუდუნებით
იშლება ტადარი ნახანძრალი,
ბავშვები ისვრიან შურდულებით
აწმყოდან წარსულში გადამძვრალი.

ღვთისგან და კაცისგან მიგდებულ
თვალეში ჩამცქერის მგლოვიარე
პორტალი მანიშნებს დიდებული:
მომხედე, მიშველე, მომიარე,

გამთანგველ გოდებას ეუჩუძებები
და სულში გუბდება ქარტეხილი,
კამარის იყრება ჩუქურთმები –
სამოთხის ვაზებად დაგრეხილი.

ინთქმება, მიწაში ითესება,
სვეტები ემხოზა თავდაყირა,
რაც ოფლი დაღვარეს ქიტესებმა
ფრეზებზე მარილად გადაჰყრია.

თაღის წილ ლაჟვარდის ნახევია,
სიწმინდე ლივლივებს ქალწულური,
ქვის მტევენებს ტბებივით გახელია
მარცვლები – ცრემლებად დაწურული.

უდაბნოს ღუმილი სადგურდება
ბზარებში ამოჩრილ ბალახივით.

კურთხეულ ოსტატთა საკუთრება
ქარს მიაქვს უჩინარ ბალდახინით,

და თითქოს ზარები დაირეკა,
წკარუნი ჩამესმა ღამურული.
მიმწუხრის ჩრდილებად აირეკლა
ფრესკები – წაშლილი, გამურული.

ვილაცამ ყვედრებით წამომძახა:
– ნანგრევზე ვალალი გვიანია;
უკვდავის მოკვდავად წარმოსახვა,
ვინ უწყის, როდენ გვინანია.


უდაბურ ზეგანზე ბანაკდება
უთალო, უმრევლო ნატადრალი,
დაქცეულ სიცოცხლის ქანდაკებად
მაინც დგას ქვითკირის პატარძალი.

უებრო ლაზათი შეუცვლია
და როგორც გაფანტვა წვრილმანების,
კუმურდოს აროდეს შეუძლია,
დაკარგვა ყოფილი ბრწყინვალეების.

რადგან მან ხარკივით ჩააბარა
საწუთროს მშვენება გარდასული
და ყოფნა-არყოფნის ანაბარა
არ უცდის უკვალო დასასრული.

ფესვებით სამარხთა ბორცვებზეა,
წმინდა კაცთანაც, უფალთანაც
და თეთრი ლოდების პროცესია
უგალობს ამო სულთათანას.

ჟამთასვლა მოკვდავებს უმკლავდება,
ტადარი ვერასგზით წაუშლია,
რამეთუ კუმურდოს უკვდავება
გასცლია და უკვე წარსულშია.



ლევან
გოთუას
ხსოვნის
დღე

ტრფობის პატიმარი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ინიციატივით გაიმართა დიდი ქართველი მწერლის – ლევან გოთუას ხსოვნის საღამო.

საღამო დაიწყო ლევან გოთუას სულის მოსახსენებელი პანაშვიდით, რომელიც გადაიხადა თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მიქაელ ბუკიამ.

მწერლის პიროვნებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს: ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, ლევან გოთუას საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა ივანე ჯაფარიძემ, პროფესორმა ქეთევან შენგელიამ, ლევან გოთუას უმცროსმა მეგობარმა, მწერალმა ნოდარ ებრალიძემ, პოეტმა, ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ მთავარმა რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა წაიკითხა ლევან გოთუასადმი მიძღვნილი ახალი ლექსი, – „ტრფობის პატიმარი“, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ზვიად სეხნიაშვილმა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, „ლევან გოთუას სახელობის ღირსების სიგელებით“ დააჯილდოვა:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი ერეკლე უგრელიძე, არქიმანდრიტი, პროფესორი მამა ადამი (ახალაძე), მწერალი ნოდარ ებრალიძე, პოეტები: ემზარ კვიციანიშვილი, ტარიელ ხარხელაური, თამარ შაიშმელაშვილი. ჟურნალისტები: თამარ თათარაშვილი, გოგიტა მელიქიძე, მოქანდაკე გურამ ნიკოლაძე, „სუხიშვილების“ ოქროს თაობის ლეგენდა, სოლისტი თენგიზ უთმელიძე, ნინო კაზალიკაშვილი და სხვები.

ღონისძიების დასასრულს, ლევან გოთუას ძმისშვილმა, პროფესორმა მაია გოთუამ, ოჯახის სახელით, მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას ლევან გოთუას ღვაწლის წარმოჩენისთვის.

*„ყოველი ჩემი ახალი წიგნის გამოშვებისას ველავ, ვით ტრფობის პატიმარი, რომელიც ყველას წინაშე, თავის კალმის „ძელზე“ გასმული ელის განაჩენს!“
ლევან გოთუა*

დანისლული მზე რად არი,
სვე სად წყდება თმენის?
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის...

გაუშლელი ვარდი ღამის
ყინულეთშიც მღერის,
მე ვარ ღარდი გზამდინარის
მარადიულ ღელვის...

ეს ვარამი ქედუხრელთა
ნატყვიარებმწველი...
მე ვარ სისხლი ბერძუნებთა
და ნაღვლიანმცველი...

ეკალბარდზე განთიადის
აყვავდება ფერი...
მე ვარ სხივი და მთიების
ცავარსკვლავებმფერი...

სატევარო, სად ნავარდობ,
მიერთგულე ზენით...
მე ვარ ჟამი სამარადო
ხარირემის მზერის..

გაუშლელი ვარდი ღამის
გულაგებშიც მღერის,
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის...

29. 01. 2018



ტყავის ქურთუკი*

ბიჭს ტყავის მოღერი ქურთუკი ეცვა. ო, როგორ მინდოდა, ქუჩიდან გადაეხვია, მაგრამ ის ჯიქურ ჩვენკენ წამოვიდა და კვლავ დაიწყო მრავალჯერ გათამაშებული სცენა, რომელიც ზიზღს მგვრიდა, მაგრამ იძულებული ვხდებოდი, ამგვარი სცენების მონაწილე გავმხდარიყავი.

– ძმაცაც, ერთი აქ მოდი! – თქვა სკოლის რკინის ჭიშკარზე ცალი ხელით მიყრდნობილმა დიტომ.

ქურთუკიანი შედგა და მშვიდად შეგვათვალიერა. გამიკვირდა, ასეთ დროს შიშისგან სუნთქვა ეკვრით, რადგან ხვდებოდა, ყველაფერი ცუდად დამთავრდება, ის კი თამამად გვიყურებდა.

- რა გქვია? – აგდებულად ჰკითხა დათომ.
- გემა.
- რომელ უბნელი ხარ? – თემომ სიგარეტს მოუკიდა.
- მთაწმინდელი.
- რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? – ჩაეკითხა ზურა.
- არსენაზე.
- კახას იცნობ? ლანცეტას? – დაკითხვა დიტომ განაგრძო.

- არა, არ ვიცნობ.
- კურტკა გაიხადე და აქედან აითესე! – დაემუქრა თემო.
- გეგამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ოცდაათი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით, რომლის განხილვაც მუდამ სულს მიმფოთებს.

ჩვენ ხუთნი ვიყავით: დიტო, ზურა, დათო, თემო და მე. ერთ ქუჩაზე გაზრდილი ბიჭები. იმ ასაკისანი, ცხოვრებაში თავის დასამკვიდრებლად ზოგჯერ მიუღებელ ხერხებსაც რომ არ თაკილობ. იმხანად თანატოლებისგან გამორჩევის საუკეთესო საშუალება უცხოური შმოტკებით სიარული იყო. ბევრად უფრო მაგარი ბიჭი იყავი, ჩასაცმელს თუ ვინმეს გახდიდი.

* ნაწარმოები რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში 2017 წელს სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა

ჩვენ საამისოდ კარგი ადგილი გვქონდა შერჩეული. საღამოობით სკოლაში აღარავინ იყო და, თუ მსხვერპლს ქუჩიდან ეზოში შეიყვანდი, არათუ საჭირო ნივთს გააძრობდი, დამატებითი სიამოვნებისთვის ლაზათიანადაც შემოულაწუნებდი.

შმოტკებზე არ ვგიჟდებოდი, არიფების დაჩაგვრა კი არაკაცურ საქციელად მიმაჩნდა. სამწუხაროდ, ბიჭები ბურთს ძველებური ხალისით აღარ დასდევდნენ, სასმელსაც სვამდნენ, თამბაქოში „ბალახს“ ოსტატურად უკეთებდნენ და გოგონებზე უხამსად ლაპარაკობდნენ, მოკლედ, ქუჩურ ცხოვრებას აწვებოდნენ და ჩემდაუნებურად სისასტიკესა და ძალადობაში ვმონაწილეობდი.

ჩვენ შორის მხოლოდ თემო იყო ბუნებით დაუნდობელი – ბადალი არ ჰყავდა კატებისა და ძაღლების წამებაში. ვერაფრით ამეხსნა, რატომ სიამოვნებდათ ჩემს მეგობრებს თანატოლების ცემა, აბურხად ავღება. ნუთუ მაგარი ბიჭობის სურვილმა გახდათ ასეთი აგრესიულები? ბევრჯერ უსამართლოდ მოექცეულვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ძმაცაცს არ ელაღატება. მინდოდა, ჩემი განცდები მეგობრებისთვის გამეზღო, ისინი კი გატაცებით არჩევდნენ შავი სამყაროს ჩახლართულ საქმეებს. ეს მოსაწყენი ლაპარაკი ჩემთვის აუტანელი ხდებოდა, არადა, სხვა გზა არ იყო, უნდა მესმინა, რადგან მეგობრებს ზურგს ვერ ვაქცევდი.

იმ დღეს აკაციის ხესთან ვიდექით. ლაცობით დაღლილი თემო და დათო სახლის კედლთან ჩაცუცქულიყვნენ. დიტო შარვლის ჯიბეში ნაპოვნ მხესუმზირის მარცვლებს გულმოდგინედ არჩევდა. ზურას შეყვითლებული ფოთლის ყუნწი გაეჩარა პირში. ოქტომბერი იღვა. საკმაოდ ციოდა. წინა დღით სათავგადასავლო წიგნის კითხვა დავიწყე და ერთი სული მქონდა, როდის გავაგრძელებდი. ბიჭებთან კი წიგნს ვერ ვახსენებ, დამცინებენ.

თემო ზღაზვნით წამოდგა, ჯინსის შარვალი მუხლთან ჩაიბერტყა და თქვა:

- წავიდეთ, ვინმე შევაყენოთ!
- წავიდეთ! – ზურამ პირიდან ფოთოლი გადმოაგდო.

– ფეხბურთი ვითამაშოთ, სანადლეოზე, – ვცდილობ, მეგობრებს განზრახვა შევაცვლევი.

– მოიცა, რა!.. – თქვა დიტომ. მისგან მიკვირს. ერთხანს ფეხბურთზე დადიოდა, კარგადაც თამაშობდა.

სკოლისკენ მიმავალ აღმართს აუყვევით. ნაწვიმარი ქვაფენილი ფოთლებითაა სავსე და ფეხი ცურავს. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია. სკოლის ამოსახვევში საშუალო სიმაღლის ბიჭი გამოჩნდა, ტყავის ქურთუკი ეცვა.

- შენი სიმაღლისაა. მაგარ „კურტკას“ დაირტყამ!
- ღიმილით მითხრა დიტომ.
- დათოსაც კარგად ექნება, – ვიუარე მე.
- კარგი რა, სულ ეგრე იცი, – დამანამუსა დათომ.
- გეგა სკოლის ეზოში უშიშრად შემოვიდა.

– ვა, რა მაგარი ბიჭია, ტო! – დამცინავად თქვა ზურამ.

ზურა ჩვენს შორის ყველაზე მაღალი და ჯვანაინი იყო, მსხვერპლს პირველად ყოველთვის ის უტევდა. ეს მისთვის არავის დაუვალავია, უბრალოდ, სიმაღლის გამო თავს ვალდებულად თვლიდა, ასე მოქცეულიყო.

– ბიჭო, გინდა, ვაფშე შიშველი გავიშვა? – დაემუქრა თემო.

მინდოდა, გეგა ცემას მაინც გადამერჩინა და საკმაოდ უხეშად ვუთხარი:

– კურტკა გაიხადე!

გეგამ ისე უშიშრად შემომხედა, მივხვდი, ის მეტად ამაყი და გულადი იყო საიმისოდ, რომ ქურთუკი ნებით გაეხადა.

– მამაჩემის სახსოვარი! – მკაცრად თქვა გეგამ.

– სახსოვარი? – დათო გაოცდა.

– ჰო.

– მამაშენი ვინ არის? – ეს ზურაა.

– აღარა მყავს, – გეგამ თავი დახარა.

– რო დაგვინახე, რატომ არ გაიქეცი? – დაინტერესდა დიტო.

– არც მამაჩემი გაიქეცოდა, – ამაყად თქვა გეგამ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– შევეშვათ, – ვთქვი მე.

– შევეშვათ, – დამეთანხმა დიტო.

ყველაფერი თემომ გააფუჭა.

– სიაფანდობს! – გამომწვევად ჩაისისინა, ბიჭთან მივიდა, ხელი ქურთუკში ჩაავლო და გახდა დაუპირა.

გეგამ მკერდზე ძლიერად უბიძგა, თემო უკან-უკან წაბარბაცდა და შეურაცხყოფილმა იყვირა:

– დავკოთოთ ეს ახვარი!

ზურამ კვლავ ყველას დაასწრო და გეგას ხელი მოუქნია. ის ჩაცუცქდა, დარტყმა აიცილია, მერე ზამბარასავით აიმართა და ზურას ყბაში კაი მაგარი აჭამა. წამიერად გაჩენილი ღმობიერება სისასტიკემ შეცვალა და დიტო, დათო, თემო და მე ბიჭს ერთდროულად მივესიეთ. ძალები სამარცხვინოდ არათანაბარი იყო და ხელებს ყასიდად, უფრო მეგობრების დასანახავად ვიქნევდი. გეგამ დათოს აქნულ ფეხში სტაცა ხელი, ზევით აუკრა და ცალ ფეხზე დარჩენილი მიწაზე დაანარცხა. დიტოს წიხლს ვერაფერი მოუხერხა, ფერდში მოხვდა და ტკივილისგან წელში მოიკუნტა. ახლა კი თემომ კისერში ხელი გამეტებით დაჰკრა, ძირს დავარდნილს მკერდზე მუხლებით დააწვა, სახეში მუშტი ჩასცხო, ქურთუკი გახადა და გადმომიგდო.

– შენია!

ქურთუკი დავიჭირე და გეგას გავხედე. მიწაზე წამომჯდარი დამცინავი თვალებით მიყურებდა. უცებ გვერდზე შებრუნდა და მთელი ძალით მოქნიული ფეხი თემოს წვივის ძვალში აჯახა. თემოს საყრდენი გამოეცალა, ფეხები ჰაერში აიშვირა, მიწაზე გაიშლართა და თავი ქვას დაჰკრა.

– ვაიმე! – იღრიალა თემომ.

გეგამ დაბნეულობით ისარგებლა, ქურთუკი ხე-

ლიდან გამომგლიჯა და ნიკაპში მუშტი მატაკა. აზრზე რომ მოვედი, გაშმაგებული მეგობრები ძირს დავარდნილ გეგას წიხლებს დაუზოგავად ურტყამდნენ. დათომ ქურთუკი ისევ შემომაჩენა. პირქვე დავარდნილმა გეგამ ხელისგულები მიწას დააბჯინა, თავი წამოსწია, ზიზლით შემოგვხედა და ქვედა ტუჩი სიმწრით ჩაიკვნიტა.

შინ მისული სხვენში ავიპარე და ქურთუკი ძველი გაზეთებით სავესე ხის ყუთში დავმალე. მეგობრებს კი მოვატყუე, ბიძაშვილი მესტუმრა, ქურთუკი ძალიან მოეწონა და უარი ვეღარ ვუთხარი-მეთქი.

მაღე ჩამოთოვა და რამდენიმე დღით ცხოვრება გახალისდა. ისე კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. დათოს ძალიან უნდოდა ზამთრის მოღურა ქურქი და ვიღაც ბიჭს ადვილად გავხადეთ, საწყალს წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც კი არ გასჩენია.

გაზაფხულდა. გეგა არ ჩანდა, რაც ძალიან მიკვირდა. ასეთი გულადი ბიჭი მამის სახსოვრის დაბრუნებას აუცილებლად შეეცდებოდა. სასკოლო არდადეგებიც დაიწყო. ერთი წელიც და სკოლას დავამთავრებ, ცხოვრებაც, ალბათ, სხვანაირად გაგრძელდება. მაგრამ როგორ? უბნის განაბებს დავუახლოვდით და აწი მათი სურვილებიც უნდა გავკეთავალისწინებინა. მარიონეტად ყოფნა აუტანელი გახდა და გადავწყვიტე, მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით მეცხოვრა. ამ ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო იყო რაღაც საყრდენი და ეს საყრდენი გეგა და სხვენში გადაშლული ქურთუკი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ შევხვედროდი და ყველაფერი ამეხსნა, აუცილებლად გამიგებდა და ის ზიზლიანი მხერა თანაგრძნობითა და პატიებით შეიცვლებოდა.

ქუნა, სადაც გეგა ცხოვრობდა, ადვილად გავიხსენე. სხვენთან ჩამოტანილი ქურთუკი სპორტულ ჩანთაში ჩავდე და არსენას ქუნაზე ავედი. ქუნა რიყის ქვითაა მოკირწყლული. რკინის ალყაფის წინ ქვიშა ეყარა და ბიჭები თამაშობდნენ. მათკენ წავედი:

– ბიჭებო, გეგას იცნობთ?

– აგერ, იმ სახლში ცხოვრობდა.

– ცხოვრობდა?

– გეგა შარშან მოკლეს.

– მოკლეს?!

– ჰო, იჩხუბა და მუცელში რაღაც გაუსკდა.

ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი ნამდვილი გაოგნება. ბავშვების სიტყვებიდან ისლა გავიგე, რომ გეგა მაგარი ბიჭი იყო, არც დედას და არც ძილიციას არ უთხრა, სად იჩხუბა და ვისთან იჩხუბა.

სულამორთმეულივით მივდიოდი და ვგრძნობდი, ზურგს უკან როგორ იმსხვრეოდა ქვეყნიერება. მეგობრებს პირში მივახლი, რომ მკვლელები და ნაძირალები ვართ. გზაჯვარედინთან გავჩერდი. შექნიშანზე ფერები მხიარულად მონაცვლეობენ. უსულლო საგანიც კი ჩემს დამორჩილებას ცდილობს. სპორტული ჩანთიდან ტყავის ქურთუკი ამოვიღე, აკაცის ტოტზე დავაკიდე და გზაჯვარედინი წითელ შექნიშანზე გადავკვეთე.

ახლაშენ თანთიხიძე



ქურდი*

– კამერის ჩანაწერი ამოვიღე, ერთი ეს ნახე?!
 – ვა, მამედას ბიჭი არ არის, რა უნდა ამ დროს გასახდელში? მოიცა, უკან გადაახვიე!

.....
 რაღაც პერიოდი, სათამაშოების ფაბრიკაში ვმუშაობდი დირექტორის მოადგილედ. დირექტორს ქარხნის არაფერი გაეგებოდა, მეცნიერი კაცი იყო – ყელზე შარფით და თავზე ბურეტით. ამიტომ, ქარხანას მე ვხელმძღვანელობდი. პატარა ქარხანა იყო, პლასტმასის ჩამოსასხმელი დანადგარებით და ჩამოსასხმელი ყალიბების დასამზადებელი მექანიკური საამქროთი. სულ, დირექტორით დაწყებულია ყარაულით დამთავრებული, 50 კაცამდე ვიქნებოდით. სათამაშოების გარდა, ხანდახან, ფართომონუმარების საგნებს – ე.წ. „შირპოტრებსაც“ – ბოთლის გასახსნელებს, ქილის მოსახუფებს, სავარცხლებს, სასაპნებს და ვინ მოსთვლის, კიდევ რას ვაკეთებდით. ამას მუშახელი ხედავდა, მაგრამ მეპატრონეებთან არ გვახუფებდა, რადგან მუშებსაც ვაძლევდით „ლევი“ შეკვეთების კეთების საშუალებას.

მამედა ალიევი ქარხნის დაარსებიდან ზეინკლად მუშაობდა. ოქროს ხელი ჰქონდა – ყველაზე რთულ ყალიბებს მაგას ვაწყობინებდით. პატიოსანი კაცი იყო, „ლევი“ შეკვეთას რომ იშოვიდა, სხვებისგან განსხვავებით, ჩემთან მოჰქონდა

– ლადოჯან, „ზაკაზი“ მოვიტანე და რა ვქნაო? რა თქმა უნდა, ვაძლევდი შეკვეთის შესრულების საშუალებას. „ლევი ზაკაზიდან“ ფულს რომ აიღებდა, ნახევარი ჩემთან შემოჰქონდა

– წესია ეგეთიო! – მე არ ვიღებდი. მაღლობელი მრჩებოდა

– ამით, ჩემს ფეიზულას, შენს სახელზე რამეს ვუყიდო!

.....

– აბა, თავიდან დაიწყე!

* ნაწარმოები რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში 2017 წელს სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა

– ხედავ, მიჩვეულია, პირდაპირ ვანოს კარადას მიადგა, იცის, რომ იმ დღეს შეკვეთიდან ფული აიღო.

– აუ, ვანო რას ჯაჯღანებდა?!

.....

ერთხელ, კაბინეტში ვიჯექი, მამედამ თავი რომ შემოჰყო

– ლადოჯან, შეიძლება?

– შემოდი მამედ, დაჯექი! – სკამზე მივანიშნე.. მორიდებით ჩამოჯდა.

– ლადოჯან, შეიძლება, ჩემი ბიჭი, ფეიზულა, სამსახურში გვერდში დავიყენო? არ მინდა ქურაში გავიდე.

– რა შეუძლია?

– ხელფასი არ უნდა, ხელობა მინდა ვასწავლო.

– კარგი, მამედ, მოიყვანე!

– „სპასიბა“ ლადოჯან!

მეორე დღეს შვილთან ერთად მოვიდა. გვერდით დაიყენა. ფეიზულა ჭკვიანი ბიჭი გამოდგა, – მამისგან ზეინკლობა ისწავლა, ზაურასგან მღარავობა და ტრისტანასგან – ხარატობა. ცოტა ხანში, ტრისტანა რომ პენსიაზე გავაცილეთ, ფეიზულა გავაფორმეთ ხარატად.

.....

– გამორთე, საკმარისია, ეგ არის ქურდი!

– მამამისი რა პატიოსანი კაცი იყო, ეს ვინ გაუზრდია?!

.....

მეპატრონეებმა ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და ქარხნის გადასაიარაღებლად, ცოტა ფული გაიმეტეს. ოღონდ, იმ პირობით, რომ ახალ დანადგარებზე „ლევი“ შეკვეთები არ გაკეთდებოდა. ბოლო თაობის პროგრამული ჩარხები შევიძინეთ, ძველები კი, ვინც მათზე მუშაობდა, იმ ხელოსნებს მივყიდეთ იაფად, რომ თავიანთი შეკვეთების შესრულება შესძლებოდათ.

მამედამ და ფეიზულამ სახარატო ჩარხი შეისყიდეს. წასაღებად მანქანაზე რომ დებდნენ, ამწეს მძლოლმა, ეტყობა, ტროსები არასწორად ჩააბა, აწეული ჩარხი გვერდზე გადაწვა და მამედა ქვეშ მოიყოლა. ოჯახს ცოტა დავეხმარეთ და არ უჩივლია. დავმარხეთ მამედა, მის ადგილზე ჯაჯღანა ვანო მივიღეთ, მაგრამ სულ მამედს მივტიროდით.

.....

– მე დავუყარაულდები და დავიჭერ!

– ოღონდ, არავინ გაიგოს, თორემ შეიძლება გააფრთხილონ!

.....

– უჰ, შე შობელძაღლო! – ქეჩოში ვწვი ფეიზულას.

– ვა, ლადო ძია?! – ცრემლიანი თვალები მომარიდა.

– სხვის კარადაში რას ეძებ? – მხრებში მოვკიდე ხელები და შევანჯღრიე.

– ვერ გეტყვი, მრცხვენია!

– ფულს იპარავ, შენი დედა, არა? – კბილებში

მუშტი გავუქანე.

– არა, ლადო ძია, გეტყვი, ოლონდ არავის უთხრა! – სახელოთი მოიწმინდა გახეთქილი ტუჩიდან წამოსული სისხლი.

– მიდი, თქვი!

– იქ მამაჩემის სუნია, როცა მომენატრება ხოლმე, მოვდივარ და ვსუნამ! – თვალბრუნებით ჩავეხედი, შევეკვდი. კაბინეტში ავედი და ბოლომდე ვუყურე ჩანაწერს – ფეიზულამ კარადა მიკეტა და გამოვიდა. ცოტა ხანში, გასახდელში მხეხავი ელდარა შევიდა, კარადებს ჩამოუარა და ყველას ამოუსუფთავა ჯიბეები.

მექანიკურ საამქროში ჩავედი ფეიზულასთვის ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ მის სამუშაო ადგილზე განცხადება დამხვდა სამსახურიდან განთავისუფლებაზე.

უმანგ სახლთხუციშვილი: 80



საიუბილეო სხდომა გაიმართა

2017 წლის 22 დეკემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში გაიმართა ამავე ცენტრის თანამშრომლის, მკვლევრის, მთარგმნელისა და მწერლის, საზოგადო მოღვაწის – უმანგ სახლთხუციშვილის (1937-2005) დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

სხდომა გახსნა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ. სხდომას თავმჯდომარეობდა ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ცხადაია. თავყრილობას საპატიო სტუმრად ესწრებოდა პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

მოხსენებით გამოვიდნენ: პაატა ცხადაია, დარეჯან კირთაძე, ნიკო ოთინაშვილი, მარიამ მოციქულაშვილი, ასრათ ომარაშვილი, გიორგი ქიტოშვილი.

შედგა ჟურნალ „ქართველოლოგია 2017“-ის პრეზენტაცია. მოხსენებელი: ჟურნალის მთავარი რედაქტორი ნელი მახარაძე.

მოგონებებით გამოვიდნენ: შუქია აფრიდონიძე,

პაატა ცხადაია, ქეთევან გოდერძიშვილი, ქეთევან მარგიანი, მურად კემულარია, თეიმურაზ გვანცელაძე, რევაზ ძნელაძე, ივანე ლეჟავა, დოდო ქიტოშვილი, დოდო შონია, ლელა ზურებიანი, ლეილა ქიტოშვილი და სხვები. მათ სიყვარულითა და სითბოთი, სინანულით ისაუბრეს ჩვენგან ნაადრევად წასული შესანიშნავი ადამიანის, მოქალაქისა და პროფესიონალის, ბატონი უმანგ სახლთხუციშვილის შესახებ.

P.S. კრებულში „ქართველური ონომასტიკა“ (VI, რედაქტორი პაატა ცხადაია, „უნივერსიტეტი“, 2013 წ.) ვრცლად დაიბეჭდა უმანგ სახლთხუციშვილის ბიოგრაფია-ბიბლიოგრაფია; მომდევნო კრებულში – VII, 2015 წ. – ქართველი და ლატვიელი კოლეგების, მეგობრების მოგონებები; გამოუქვეყნებელი წერილი „ზოგი ჭირი მარგებელია“. IX კრებულში, 2018 წ., იბეჭდება წერილები აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმებთან დაკავშირებით; მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მის მიერ სიღნაღის რაიონში შეკრებილი 1342 ტოპონიმი; გამოუქვეყნებელი წერილი „განდეგილს“ ბადალს ვერ მოვუძებნით“ – პროფ. შოთა რევიშვილის გახსენება.

აქვე დავძენთ, 2015 წლის სექტემბერში რიგაში (რუსულ ენაზე) გამოიცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ნარკვევები“, რომელშიც ცალკე თავი დაეთმო უმანგ სახლთხუციშვილის უდიდეს ღვაწლს ქართულ-ლატვიურ ურთიერთობებში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში.



* * *

ნისლი დაგდგომია გიორგობისთვისა,
 ჩამოგთეთრებია ფერდები...
 შენი სიმაღლე და ძალა შევეითვისე,
 ორთავ ნება-ნება ვბერდებით...
 ნახე, ქედმაღალი როგორ ვშენიანობ,
 როგორ გტინდები და ვსაღლები..
 შენებრ შემოდგომის ჯანლნი
 მშველიან და
 ცრემლებს ღრანტეებში ჩავდენი...
 ჯანლი მოგდებია გიორგობის თვისა,
 ცაშიც მიწა აგაქვს ქედებით...
 შენი ბარაქა და ღალა შევეითვისე,
 შენთან, შენებურად ვბერდები.

* * *

(ალი და მეციხოვნე)

ქორებს დაგირეკავ ციხე-გოდლებიდან,
 გულზე მოგხვდები და რკინა ჩაგადნება.
 კოშკის გალაგნებზე ცეცხლად მოვდგები და
 მზერას ავიდევნებ ფრთამალ შავარდნებად.
 წავალ მტრის ბანაკში, როგორც მპარავი და...
 აბჯარგახევებულს მჯიღებს გაჭმევინებ.
 ვნებას დავიტაცებ სულთნის კარავიდან
 და პირსისხლიანთა მკლავებს გაჭრევინებ.
 მეციხოვნეები ისარს დამიშენენ,
 თვალს ვერ მომწყვეტავენ სათოფურებიდან,
 ყველას გასაკვირად შენვე მოგიშველებ,
 ცხელ რძეს გაზიდინებ ირმის ფურებიდან.
 ჩაგეკეტინები, ნულარ გამომიშვებ,
 ერთხელ საფერებლად გამემეტები და
 სავსემთვარეობას ნაწნავს ჩამოგიშლი,
 ციხე გადავიდეს ღელა სვეტებიდან.

დღე იყო ისეთი,
 ამინი ჩაივლიდა,
 მზე ჰგავდა წამოსაფრენ
 შავარდენს.
 სითბო თქვენმიერი
 ჩემში ჩაირინდა
 და მზერა სულამდე
 ჩავარდა.
 ქვეყანა მთვრალივით დადგა და
 დატორტმანდა,
 ძვლებში გამიარა შიშმა,
 რომ უთქვენოდ...
 მზე ლამის თელავის
 მაჯიდან წამოვარდა,
 და ლამის ჩაგეკონეთ
 უთქმელად.
 დღე იყო ისეთი,
 ვისხედით შორიახლო,
 გუმანი მაგ თვალთა
 ღვთიურ ფერს ჩაადნა,
 მისმენდით...
 და თითქოს მიხმეთ და
 მოგეახლეთ...
 მზე თელავს მაჯაზე
 დაესვა შავარდნად.

* * *

თითქოს გაუშალა ბავლი ბაზიერმა,
 ისე ამოვარდა მთვარე აღსავლიდან...
 მეც ხომ მოვიქნეი სული მაძიებლად,
 სანამ ბედისწერა შენს გზას მასწავლიდა...
 უგზო ხეტებისგან მეც ხომ გავნახევრდი,
 სანამ ბედილბალი შენს თავს გადამყრიდა,
 სანამ მაგ თვალების ფსკერზე ჩამმარხავდი...
 სანამ აღმადგენდი ცეცხლის სამარხიდან...
 მთვარე არეულა შენთან ნამყოფივით,
 თითქოს მთელ ქვეყანას ნაკოცნს ანახვებდეს...
 ლამის ცას შეაწყდეს მწიფე ნაყოფივით
 და შენს დანახვაზე ვნებით განახევრდეს...
 მეც ხომ მთვარესავით კოცნით ჩამომიღე,
 როგორ გაგიმაგრდე, საით გაგერილო...
 სანამ გულისციხის ქონგურს ჩამომირღვევ,
 ლამის მთვარესავით გუმბათს დავეკიდო....

ტყეებში ხეები დალაობენ,
 ფოთლები სისხლიანი ცრემლებია,
 ალები ირმის რძეში ბანაობენ,
 თმა მათი – ცეცხლიანი ცელებია.
 ავახ, შენს ვაგლახად შემოდგომას,
 ჩემს ეზოს – მწუხარე მერცხლებიანს.
 რა ვუთხრა შენისთანა შემოდგომას,
 ღიმილიანი ხელიდან მეცლებიან.
 „დალაი“ – კვნესიანი ქარიშხლები,
 მე ჩემი საკვნესი მეკვნესება.
 შენი სიყვარულით დავიშლები,
 სურვილი ცეცხლივით მეკვესება.
 უშენოდ სიცოცხლით მოღლილი ვარ,
 შენთან იანვარიც მემარტება,
 ყინვაში დარგული ყოილი ვარ,
 შენი გაწვიმება მენატრება.
 უშენოდ ჩაჟანგული ხირიმი ვარ,
 დარდი ვარ, ცრემლებად დადენილი.
 უშენოდ ობოლი ირემი ვარ,
 ჯიქანი ლექსით მაქვს გატენილი.
 უშენოდ აბედივით ვიწვები და
 ქარებთან დავდივარ სადალაოდ.
 ლექსებს რძესავით ვიწვევლი და
 ალებს ვაძლევ ხოლმე საბანაოდ.

მოდი, აპრილი მახარე,
 გულოს ველარაფერს ვაყოლებ.
 წასასვლელი ვარ სხვა მხარეს,
 შენი სურვილი მაყოვნებს.
 შენი ღიმილი ვერ დავთმე,
 დღითიდღე უფრო მწყურდება,
 ჩემი ფიქრები შენამდე
 მოსვლას რა დიდხანს უნდება.
 მიმინოვ, ფრთების გაშლამდე,
 გულზე რო იცი დაცემა,
 ემაგ თვალების ლაყვარდი
 ღმერთმა რა მეღნით დაწერა.
 მოდი, სულთქმავ და ნაწილო,
 შენის ფერებით დავშვრები.
 ვნების ბურანში ჩაეძიროთ
 მაგ თვალთა გარიჟრაჟები.
 შეკაზმე შენი მერანი,
 რო მეც მკლავებზე მოგენლო.
 გაწბილდეს ჩვენი მღევარი,
 გზებს ნისლი მიედ-მოედოს.
 წავიდეთ, მთებში დავსახლდეთ,
 დავიხვდებიან მოყვრები.
 მთის კანონებით დავზარდოთ
 ცისფერთვალეა ბოკვრები.

შეხვედრა



124-ე საჯარო სკოლამ ფერეიდნელ ქართველებს უმასპინძლა

„მოდი, სადა ხარ აქამდე, აქ შენი ჯიმი სახლობს“, – ამ რეფრენით დაიწყო ლიტერატურული კომპოზიცია მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი მადონა მუჟლაძე).
 სკოლას ეროვნული და ლამაზი საღამოები მრავლად ჩაუტარებია, მაგრამ ფერეიდნელი ქართველების მიწვევას ორმაგად ემოციური მუხტი ჰქონდა, ქართულ ლექსს სიმღერა ცვლიდა, მოსწავლეები ეცნობოდნენ ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებას, მათ სიხარულსა და ტკივილებს...

სკოლამ ნიკა რამიშვილსა და დავით დავითაშვილს სამაზსოვრო საჩუქრებიც გადასცა.
 კომპოზიციაში გამოყენებული იყო ლექსები; გაბრიელ ჯაბუშანიას – „მომეცი ხმალი“; თამარ შაიშველაშვილის – „ბედი ჩემი კრწანისია“; თემურ ჩალაბაშვილის – „როცა ქართველი“; ლალი ჯაფარაშვილის – „ბროწეული რომ ამოანათებს“; გაგა გომართელის – „საქართველო“; ვალერი გოგნაძის – „მოდი, სადა ხარ აქამდე...“ თინათინ მღვდლიაშვილის – „ხმალი ავლესოთ“; ლადო სულაბერიძის – „ასე იდახდა ქართველი“; ლამპირა შეყილაძის – „ამომამენე ტაძრის კედელში“; ლეილა მანგაძე-შავიძის – „საქართველოს სიყვარულში“; ნინო ქუთათელაძის – „ყიღვა-გაყიღვის ამბავი“; თენგიზ მორჩიაულის – „ვაი, რა ცოტანი ვართ“...
 მონაწილეობდნენ: თეა კაკრიაძე, თამარ ხაჩიძე, თორნიკე ლაზაშვილი, ლუკა ბეროზაშვილი, მარიამ მეტრეველი, ნია შარიქაძე, გიორგი ლომიძე, თეკლა მალრაძე, ლუკა წურწუშია, ირაკლი წიგნაძე, ნინო ტულუში, ანა-მარია მჭედლიძე.
 სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები: თემურ ჩალაბაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ნინო ქუთათელაძე, ლალი ჯაფარაშვილი, თამარ შაიშველაშვილი...
 კომპოზიცია მასწავლებლებმა – იზო სამუშიამ და ციცო ყურაშვილმა მოამზადეს.



შემოდგომა გომბორზე

წამიყვან სადმე?
 ნოემბერი მოგვიხმობს ოდეს...
 გომბორზე ახლა შემოდგომა
 ხეებში იწვის,
 ძვირფასო, მინდა პაემანი
 ფოთლებთან გვქონდეს,
 ვიხილოთ ფერთა აგონია,
 ამ დროს რომ იცის.
 წავიდეთ!
 უკვე ქარვისფერი დააღწა ტყეებს
 და თითქოს ჯიბრით,
 არ მკრთალდება ცა – ლურჯად მდგარი,
 წავიდეთ, სანამ ერთად ყოფნას
 მზე მოგვიტევეს,
 დაგვეღვენება გზაარეულ
 ღრუბელთა ჯარი.
 მეწამულ ქორწილს გადაგვიხდის
 ფოთოლთა ცვენა,
 ნეკერჩხლის ხეებს შეაკვდება
 ჩურჩული ფიცის,
 ძვირფასო, ჩვენთვის ნოემბერი
 გამართავს სცენას,
 გომბორზე ახლა შემოდგომა
 ხეებში იწვის.

ფოთოლი

ხეს მოწყვეტილი მე ვარ ფოთოლი,
 ყოფნა-არყოფნის ტკივილი მტანჯავს,
 და როგორც ამბავს, ქარის მოჭორილს,
 დრო მეც უკვალოდ გამაქრობს ალბათ.
 უხმოდ დავტოვებ დღეებს, დარდიანს,
 ან საყვედური უშველის რაღას?!
 როცა ხვდებიან შიშვლად განთიადს,
 ხეებს ვპატიობ ფოთლების ღალატს.
 იქნებ ეს არის ბედი ობოლის –
 მინდობილია უცნობ ამინდებს,
 ხეს მოწყვეტილი მე ვარ ფოთოლი,
 ქარს ვუცდი... ნეტავ, საით წამიღებს?!

დე, იყოს ასე!

დაველოდები იმ წუთს, იმ წამს, მღელვარე დღეთა,
 როცა სურვილი შენი ფეხით მოგიყვანს ჩემთან.
 მეტყევი, რომ სულში უჩემობა გიჟივით ატყდა,
 მეტყევი, რომ თმენის ყველა ძაფი ერთბაშად გაწყდა.
 რომ მთავარია, შენი გული ფეთქავდეს ჩემთვის,
 რომ შეგიძლია, სიამაყე დამიგლო ფერხთით.
 რომ ყველა სხვა გზა დაგავიწყდა ჩემი გზის გარდა,
 რომ მითხრა: ახლა ყველაფერი იქნება კარგად.
 რომ გსურს, თვალებზე შემიმშრალო ნაწყენი
 ცრემლი,
 რომ მზად ხარ, ჩემი ტკივილები ატარო მხრებით.
 რომ გსურს, ერთხელაც მზის ამოსვლა ვიხილოთ
 ერთად,
 რომ შეგიძლია, ჩემი გული მიიღო მსხვერპლად.
 რომ გვეყვარება ერთმანეთი ათასი წელი
 და რომ მპირდები, არასოდეს გამიშვა ხელი.
 დაველოდები იმ წუთს, იმ წამს, მღელვარე დღეთა,
 როცა სურვილი შენი ფეხით მოგიყვანს ჩემთან.

და თუ ეს ლექსი ოცნებაა მხოლოდ და მხოლოდ,
 დე, იყოს ასე!... ვიოცნებებ ბოლოს და ბოლოს...

მინატრე

მომიხმე ისევ იმგვარი ჟინით,
 ვით ხარირემი მოუხმობს მიჯნურს,
 როგორც ტოროლა სისხამზე, დილით
 სატრფოსთვის სტვენას მოჰყვება
 გიჟურს.

მინატრე ძლიერ... ისე მინატრე,
 კვლავ უჩემობა ჩავიდგეს ტანში,
 რომ ატეხილმა ვნების მდინარემ
 ყველა ჯებირი წალეკოს წამში.

მოგინდე ისე, ვით მწყურვალს წყარო,
 ან ველად გაჭრა აწყვეტილ რაშებს,
 მოგინდეს ჩემი ტურების გემო,
 ეძებდე თვალებს, სველსა და მლაშეს.

აწყვეტილ ღილებს მიშლიდე ტერფთან,
 იპყრობდე ნებით თვითეულ მტკაველს,
 ეწაფებოდე ალექსილ მკერდს და
 ლოდინით შეშლილ, გათანგულ მკლავებს.

მე წუთებს ვითვლი უშენო დღეთა,
 ვაკებ ღამეს, სანამ ინათებს,
 სურვილს სხეულით მოვიტან შენთან,
 მომიხმე ოღონდ... ოღონდ მინატრე!

სიტყვებში დაკარგულები

პროლოგი

უთვალავი სიტყვაა ჩვენს შორის...
ნათქვამიც,
უთქმელიც,
სათქმელიც.

თავდაპირველად ჩვენს შორის ყველაფერი
დაიწყო სიტყვით,
რადგან „პირველად იყო სიტყვა
და სიტყვა იყო ღმერთთან
და ღმერთი იყო სიტყვა“.
ავიღე მე ჩემი სიტყვა
და ვისროლე ის უსასრულობაში.
მოვიდა იგი შენამდე
და მოგიყვანა მან ჩემთან.
მომიტანე შენ შენი სიტყვა
და დაგახვედრე მე — ჩემი.
მერე ვაუღლეთ ჩვენი სიტყვები
და შევქმენით ისტორია ერთად.
ჩავდეთ სიტყვებში შეგრძნებები,
სურვილები,
ემოციები.
სიტყვებში, რომელთაც კარგად ვიცით,
თვალის აქვთ, ყურიც,
სახეც, ფერიც,
სუნიც და გემოც.
მკვეთრი იყო შენი სიტყვა.
მოკლე,
სხარტი,
მძაფრი.
ბევრის დამტყვი,
ბევრის მთქმელი.
ბასრი ისარივით მოდიოდა.
ჩემს სიტყვებს მაგნიტივით იზიდავდა.
თავგზას ურევდა,
თავბრუს ახვევდა,
თავს აკარგვინებდა.
შენს თითო სიტყვას ჩემი სიტყვების კორიანტელი
მოჰყვებოდა.

ხან თოვლის ფიფქებივით გეფინებოდნენ,
ხან მეწყერივით გეჯახებოდნენ,
ხან შხაპუნა წვიმასავით გასველებდნენ,
ხან სეტყვასავით ქვებს გიშენდნენ.
ზოგჯერ პეპლებივით თავს დაგფარფატებდნენ,
ზოგჯერ ღუმილის უდაბნოში მწყურვალს
გახრჩობდნენ,
სულში დაუნდობლად გიძვრებოდნენ,

ფეხთან ნაცემი ძაღლებივით გიწვებოდნენ,
გიშორებდნენ,
გიახლოვებდნენ,
შხამს გასმევდნენ,
მაღამოდ გედებოდნენ,
გკლავდნენ და ისევ გაცოცხლებდნენ,
თავს მაინც არასდროს განებებდნენ.
ყოველი სიტყვა, რომელიც ამიგდე,
ბანზე დარჩა,
ველარ ვიპოვეთ,
სამუდამოდ დაიკარგა.
ყოველი სიტყვა, რომელიც მითხარი,
ჩემში ჩავრგე,
მოვუარე,
გაგამრავლე,
გაგახარე,
ლექსებში ჩავასახლე,
სხვებმაც წაიკითხეს,
სხვებმაც გაიხარეს,
სხვებმაც განიცადადეს.
მერე დაიწყო ჩვენი სიტყვების მისტერია.
ჩვენი გრძნობები გადავიდნენ ნათქვამ ფრაზებში,
მეტაფორებში,
შედარებებში,
ეპითეტებში.
გადავიქეციტ ჩვენც სიტყვებად,
სიმბოლოებად.
მხოლოდ საკუთარ სახელებად შემოვრჩით საგნებს:
მე — არეული, აშლილი პიანინო.
შენ — ფატალური წერა და ბედი.
ჩვენ შეგვეშინდა ჩვენი სიტყვების დატოვების,
ვერ შევძელით მათგან გამოსვლა,
(ალბათ იმიტომ, რომ დავიწყეთ ისტორია
პირველად სიტყვით).
ჩვენ დავიკარგეთ ჩვენს სიტყვებში,
დავრჩით ტექსტებში,
და იქ ვაგრძელებთ არსებობას
დასასრულამდე...
ოღესმე ალბათ ამ რომანსაც ექნება ბოლო.

ეპილოგი

მერამდენჯერაც მოვიფიქრე ჩვენთვის ფინალი,
იმდენჯერ აღარ მომეწონა,
დასრულება ველარ შევძელი.
ვინ იცის, იქნებ ჯერ შორია დასასრულამდე?!
იქნებ ჯერ კიდევ ბევრი სიტყვა
დაგვრჩა სათქმელი?!

სიყვარული სასვენ ნიშნებით

ვსვამ კითხვის ნიშნებს და
კკითხულობ ყველაფერს,
თუმცა კი პასუხი
არასდროს არა მაქვს.
ვინა ვართ?
რატომ ვართ?
რისთვის ვართ?
სადა ვართ?
ან იქნებ საერთოდ
ამქვეყნად არცა ვართ???
ორ წერტილს მოჰყვება
სახელთა სიმრავლე,
ათასჯერ ჩამოთვლილს
ათასჯერ ვინატრებ:
თვალები,
ფერები,
წუთები,
წამები,
დღეები,
ხელები,
თითები,
მკლავები.
ვჩერდები, სადაც ვსვამ
მძიმეს და ვისვენებ,
ვიშორებ სიმძიმეს
დახრილი მხრებიდან,
სულს ვითქვამ,
შენც გინდობ,
გეცლები ხელიდან,
ვიცი, რომ მძიმე ვარ
ხანდახან შენთვისაც.
ვაგრძელებთ... მიყვებით
გზად მრავალწერტილებს....
ვნებდებით გრძობებს და
ცხოვრების წყვეტილებს....
გზას ბოლო არ უჩანს....
გრძელდება საზები....
ჩვენ ისევ მივდივართ....
ჩვენ ჯერ არ ვმთავრებით....
შენ – მარჯვნივ,
მე – მარცხნივ,
შუაში ტირია,
შენ – იქით,
მე – აქეთ,
მანძილი მცირეა.
ხან – გეყოფს,
ხან – გვაერთებს –
ხანდახან ხილია.
ერთად ვართ და მაინც
ცალ-ცალკე მივდივართ.
გეძახი! მოგიხმობ
დახილის ნიშნებით!
ოღონდაც მოვიდეს
შენამდე ჩემი ხმა!

მისმინე!!!
შენი ვარ!!!
მიყვარხარ!!!
მიყვარხარ!!!
ვიძახი და თან ყელს
დახილით ვილაღრაგ.
დაბოლოს, არ ვიცი,
საითკენ მივდივართ,
ვერ ვხედავ ერთ ნიშანს
სასვენთა რიგიდან.
თვალს ვხუჭავ კვლავ და კვლავ
და ხელსაც არ დავძრავ.
მე წერტილს არ დავსვამ!
მე წერტილს არ დავსვამ!

სადმე

ვიცხოვრებდი შენთან ერთად სადმე,
შორს აქედან... ლურჯი მთების პირას,
სადაც თავისუფლებაა ცამდე
და სიყვარულს არასოდეს სჯიან.
ვიცხოვრებდი შენთან ერთად მშვიდად,
შენი ხელით აშენებულ ქოხში,
არ გავცვლიდი ჩვენს პატარა ბინას
სასახლეში და არც ზღაპრულ კოშკში.
არ მეტყოდი საალერსო სიტყვებს,
ოდნავ მაკაცრიც იქნებოდი თითქოს,
მხოლოდ თვალებს,
სიყვარულს რომ იმჩნევს,
ჩემთვის მუდამ ექნებოდა სითბო.
ლამით ნაწნავს გავიშლიდი თრთოლვით,
დავწვებოდი ვარსკვლავების მხარეს,
დავრჩებოდი ქვეყნად მხოლოდ ორნი
და ჩვენს შორის – გაბადრული მთვარე.
რძისფერ ნისლებს დაგისხამდი თასში,
ყოველ დილას მოგართმევი თავად,
მზის გვირილებს ჩავიბნევი თმაში,
მხოლოდ შენთვის მოვირთავდი კაბას.
ლამის ალერსს გაგატანდი საგზლად
მთაში ჯიხვზე სანადიროდ წასულს,
მერე თვალებს დაკვიდებდი კართან,
მოლოდინით ავსებულს და ქალურს.
ვიცხოვრებდი შენთან ერთად სადმე,
შორს აქედან... სადმე, მთების პირას.

ხეების დასასრული

ცა ასე ფოთლებს თუ დასტირის,
უხელოდ დარჩენილ ტოტებსაც,
არ არის არც ისე მარტივი,
ფერები კვლებიან როდესაც.
ნისლებმა დაფარეს ცისპირი,
შორს, გლოვად დამდგარი მთებია,
როგორ მშურს ფოთლების სიმშვიდის,
დასასრულს ჩუმად რომ ხვდებიან!

ლიტერატურული პოსტსკრიპტი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ლევან გოთუა*

გამარჯობა, ბატონო ვანო,

დიდი მადლობა, რომ მეც მაძლევთ შესაძლებლობას, თუმცა დაუსწრებლად, მაგრამ მაინც მივიღო მონაწილეობა ლევან გოთუას ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. მასალა, რომელსაც ქვემოთ გიგზავნით, მეტად მცირე ნაწილია მწერლის შემოქმედების გასაანალიზებლად დაწერილი იმ ვრცელი ნარკვევისა, რომელიც სრული სახით 2000 წელს გამოცემულ ჰემს წიგნში – „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების“ IV ტომშია გამოქვეყნებული.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ამ ორი წლის წინათ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰემს დოქტორანტმა ნატო გულუამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ლევან გოთუას მხატვრული პროზის პრობლემები“. გასულ წელს კი ეს ნაშრომი ცალკე წიგნდაც გამოვიდა.

ულრმესი პატივისცემით,

ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

* ავთანდილ ნიკოლეიშვილის ეს წერილი ივანე ჯავახიშვილმა, ლევან გოთუას ხსოვნის დღეს, წაიკითხა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

არიან მწერლები, რომელთა ლიტერატურული უკვდავება, უწინარეს ყოვლისა, მათი შემოქმედების ერთ რომელიმე ქმნილებასთანაა დაკავშირებული. ლევან გოთუასათვის ასეთ ნაწარმოებად „გმირთა ვარამი“ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მაღალი მხატვრული ოსტატობით აღბეჭდილი სხვა ნაწარმოებების ავტორიცაა, მისი მწერლური შესაძლებლობები ყველაზე მეტად, პირველ რიგში, მაინც სწორედ ფართოდ ცნობილ ამ ტეტრალოგიაში გამოვლინდა.


ლ. გოთუას შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია. მისი პროზაული და დრამატული ნაწარმოებები მაღალი პროფესიონალიზმით წარმოაჩენენ ქართველი კაცის ყოფასა და სულიერ სამყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. გოთუას მწერლური ინტერესების მიღმა არც მისი დროის ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული წარმოსახვა დარჩენილა, ავტორის ლიტერატურულ შესაძლებლობებს, უპირველეს ყოვლისა, მაინც ის ნაწარმოებები წარმოაჩენენ მთელი ძალით, რომლებშიც საქართველოს ისტორიული წარსულია ასახული. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ლ. გოთუამ თავისი მკვეთრად გამორჩეული ადგილი სწორედ ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებებით დაიმკვიდრა. მათ ფონზე და მათთან შედარებით თანამედროვე ყოფის ამსახველი მისი ნაწარმოებები კი მეტად შუქმიცხრალ და სისხლნაკლულ ქმნილებებად ჩანს.

სხვა ფაქტორებთან ერთად, მწერლის ტრაგიკულმა ცხოვრებისეულმა ხვედრმა არსებითად განაპირობა ის გარემოება, რომ ლ. გოთუას შემოქმედება ავტორის სიცოცხლეში თითქმის მთლიანად დარჩა სათანადო ლიტერატურული განსჯისა და შეფასების გარეშე. სამწუხაროდ, მდგომარეობა არც შემდგომში შეცვლილა დიდად და მნიშვნელოვნად.

ასე რომ, ლ. გოთუას შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ელის თავის მომავალ მკვლევარს, რომელიც საფუძვლიანად და ობიექტურად შეაფასებს მას და კუთვნილ ადგილს მიუჩენს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ლ. გოთუას ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებშივე გაულვივდა ეროვნულ-პატრიოტული ინტერესები. მან იმდენად მძიმედ განიცადა 1921 წლის თებერვალში საქართველოსთვის თავს დატეხილი ტრაგედია, რომ სახლიდან გაიპარა და მოხალისედ ჩაეწერა წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლთა ლაშქარში; თუმცა ავად გახდომის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.



ლევან გოთუას ხსოვნის დღე – წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში

ლ. გოთუა თბილისის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აქტიურად ჩაება სტუდენტურ მოძრაობაში, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, რის გამოც 1924 წელს დააპატიმრეს. ბელნიერი შემთხვევის წყალობით დახვრეტას გადარჩენილი მწერალი ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ, მართალია, ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნებაზე, მასზე სათანადო ორგანოებს მკაცრი მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული.

1925 წელს ლევანი ისევ დააპატიმრეს და ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეობის ბრალდებით სამი წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. იგი ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში იყო დაპატიმრებული, ორი თვის შემდგომ კი შორეულ ჩრდილოეთში, თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვეცკის კუნძულების საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს.

სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკიდან ლ. გოთუას მიერ ოჯახისთვის გამოგზავნილ წერილებში ბევრი რამაა ნათქვამი იქ არსებულ უმძიმეს პირობებზე. როგორც მწერალი წერდა ერთგან, „სოლოვეცკის ბანაკებში ერთმანეთში იყო არეული ყველა პატიმარი – პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავე. „უძველესი მონასტერი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ საკონცენტრაციო ბანაკად გადააკეთა და ყველაზე საშიშ პოლიტპატიმართა ტყვეობის ადგილად აქცია, მწერლის თქმით, „ძირფესვიანად იყო გაჟღენთილი რუსული ავი სულით“. „სისასტიკისა და უღმობლობის საშინელი კანონებით

„დათრგუნულ ბანაკში“ ადამიანთა სიკვდილი ისე მძვინვარებდა, როგორც სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო ამბავი“.

1927 წელს, მშობლების აქტიური ძალისხმევით შედეგად, ლევანს პატიმრობა გადასახლებით შეუცვალეს და ვლადიკავკაზში ცხოვრების უფლება მისცეს. იმხანად ვლადიკავკაზსა და მის მახლობელ სოფლებში ქართველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. მწერალი ჯერ ყიზლარის ქართულ სკოლაში მასწავლებლობდა, შემდეგ კი ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში გადავიდა სამუშაოდ. ჩეკას მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ლევანს მკაცრად ჰქონდა აკრძალული სამშობლოში ჩამოსვლის უფლება.

1928 წელს ლ. გოთუას, მართალია, გადასახლების ვადა დაუმთავრდა, მაგრამ ჩეკამ სამი წლით მაინც გაუხანგრძლივა ძველ რეჟიმში ყოფნა. სწავლის გაგრძელებაზე მეოცნებე მწერალმა გადაწყვიტა გადასახლების ადგილი საუნივერსიტეტო ქალაქით შეეცვალა და არჩევანი სარატოვზე გააკეთა. მაგრამ ამის უფლება არ მისცეს და ისევ ვლადიკავკაზში დატოვეს.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ლევანმა 1931 წელს თურქეთის გზით უცხოეთში გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ მეგზურმა გასცა და მწერალი კვლავ დააპატიმრეს, ამჯერად, უკვე გაცილებით მკაცრი ბრალდებით, რასაც შედეგად ციმბირში, ჯერ ქალაქ ნარიმში, შემდეგ კი ბიისკში ხუთი წლით გადასახლება მოჰყვა.

1936 წელს სასჯელმოსხდილი მწერალი, მართალია, სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ მას თბილისში

ცხოვრების უფლება არ მისცეს. იგი იძულებული გახდა საცხოვრებელ ადგილად ჯერ წალკა შეერჩია, შემდეგ კი ბოლნისში გადავიდა. 1938 წელს ლ. გოთუას თბილისში ცხოვრების უფლება მისცეს. ამიერიდან იგი უფრო აქტიურად შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას. საამისო სტიმული მწერალს იმანაც მისცა, რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ჯერ, 1942 წელს, მისი პიესა „მეფე ერეკლე“ დაიდგა წარმატებით, 1946 წელს კი – „დავით აღმაშენებელი“.

მაგრამ მწერალს თავისუფალი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალება დიდხანს არ მისცემია. მას გამუდმებით მეთვალყურეობდნენ სახელმწიფო უშიშროების მიერ მიმაგრებული ჯაშუშები, საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1946 წლის ზაფხულში ახალ პოლიტიკურ ბრალდებათა საფუძველზე ლ. გოთუა კვლავ დააპატიმრეს და, როგორც „სამშობლოს მოღალატე“, ათი წლით გადაასახლეს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში.

მიუხედავად ამისა, ლ. გოთუა სულით მაინც არ გატეხილა და შემოქმედებით საქმიანობას არ მოწყვეტილა. ეს მწერლის ნამდვილი ლიტერატურული გმირობა იყო, რასაც თავად იგი „სახრჩობელაზე ჩამოკიდებული კაცის სიმღერას“ უწოდებდა. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ მისი შემოქმედების ყველაზე დიდი წიგნი – „გმირთა ვარამი“, ძირითადად, სწორედ ვორკუტის საპატიმრო ლაგერში ყოფნის წლებში დაიწერა.

ლ. გოთუას პატიმრობის მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი 1955 წლის აგვისტოში დამთავრდა და უკვე საბოლოოდ განთავისუფლებული და რეაბილიტირებული მწერალი თბილისში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების თითქმის ერთი მესამედი – 22 წელიწადი მან ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა, იგი მაინც დიდი ენთუზიაზმითა და განახლებული შემოქმედებითი ენერგიით შეუდგა თავის უმთავრეს საქმეს – სამწერლო მოღვაწეობას და არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები შესძინა ჩვენს ლიტერატურას.

ლევან გოთუა გარდაიცვალა 1973 წელს.

* * *

იმის მიუხედავად, რომ ლ. გოთუა მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით აღბეჭდილი არაერთი ნაწარმოების ავტორია, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გვირგვინად ლიტერატურული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა, პირველ ყოვლისა, მაინც ფართოდ

განმარებული ტეტრალოგია – „გმირთა ვარამი“ მიიჩნია. ოთხი წიგნისაგან შემდგარ ამ მონუმენტურ ქმნილებაზე ლ. გოთუა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა. კერძოდ, მისი წერა მწერალს ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის პერიოდში, 1949 წლიდან დაუწყია და საბოლოოდ 1962 წელს დაუსრულებია.

„გმირთა ვარამში“ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებითაა წარმოსახული ის მძიმე ეროვნულ-პოლიტიკური და ზნეობრივი ვითარება, რომელიც საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, კი კახეთში იყო დამკვიდრებული XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში.

„გმირთა ვარამის“ უმთავრესი ღირსება ისიც არის, რომ მწერლის მიერ დასმული ბევრი ეროვნული პრობლემა ზოგადქართული თვალთახედვითაა განხილული, „ერთობლივ საქართველოსთან“ სისხლხორცეულ კავშირში, „სხვა საქართველოების“, სამომავლო ინტერესების გათვალისწინებით და არა მათგან იზოლირებულად.


მართალია, „გმირთა ვარამი“, ძირითადად, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე კახეთის სამეფოში არსებულ უმძიმეს ვითარებას აღწერს, მაგრამ ლ. გოთუას რომანი, პირველ ყოვლისა, ზოგადქართული იდეით შთაგონებული ნაწარმოებია.

„გმირთა ვარამი“ ნათლად წარმოაჩენს სიტყვიერი ხელოვნების იმ მაღალ დონეს, რითაც მწერლის შემოქმედება ხასიათდება. ლ. გოთუა მკვეთრად გამოხატული ენობრივი ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია. მისეული ნეოლოგიზმები, ფრაზისა და სიტყვის მისეული მიმოქცევა და მუსიკალური ჟღერადობა აშკარად მეტყველებენ, რაოდენ ღრმად და ინტუიტიურად წვდებოდა იგი მშობლიური ენის იდუმალ სტიქიას.

„გმირთა ვარამი“, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გასამძაფრებლად დაწერილი რომანია, რომანტიკული გზებით განმსჭვალული მართალი წიგნი, რომელიც ემოციური შთამბეჭდაობით მოგვითხრობს საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ერთი მეტად დრამატული პერიოდის ამბებს.

ინტერესი, რომელსაც ლიტერატურული საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც დაუცხრომლად იჩენს ლევან გოთუას ნაწარმოებებისადმი, კიდევ უფრო მეტად განვიმტკიცებს იმ აზრს, რომ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ ქცეულა და კვლავაც ჩვენი სულიერი სამყაროს სისხლხორცეულ ნაწილადაა დამკვიდრებული.

ბორჩა ჭაბუჩაიძე



ა დ ა მ ი ა ნ ი

ა ნი და ჰოე ამა სოფლისა
დ ასაბამის და ჟამის სვიანის
ა რის მეორედ ღმრთისა მოსვლისას
მ ის ხატად ქმნილი ადამიანი
ი ს იყო, არის, მარად იქნება
ა თი მცნებისა აზრი მზიანი,
ნ ეტავ ა ქ შევძლო ამის მიგნება,
ი ქ კი მეწოდოს ადამიანი!

ჩვენს უსაყვარლეს პატრიარქს

ერი წილხვედრი მშობლის შენისა,
ილიას სიბრძნით დაუმწყსიესო,
და სულნი მათნი, შენით სყიდულნი,
შენვე მოგიძღვნა, ტკბილო იესო...

მეუღლეს

მე ვხარობ მაშინ, როცა იხარებ,
და ავცრემლდები... როცა ცრემლს
დაღვრი...
რადგან უშენოდ მე ვერ ვივარგებ...
შენა ხარ ჩემი სიტკბოც და ჯვარიც...

* * *

გულის ღმობიერებისთვის

ცრემლისა ცვარი ყინულს გულისას
განატვობს ცეცხლით, სულს ამინთებსო,
რომელ მოსწყდების მშობლისა თუალსა,
ტკბილის შენისა, ქრისტე იესო...

* * *

არგანკითხვისა და
ძვირუხსენებლობისათვის

ცოდვასა ვმონებ კუალადცა,
უკეთუ განვსჯი ვინმესო,
განმწმინდე, ღმერთო, მაცხოვრე,
ტკბილო, უფალო იესო...

* * *

რწმენაში სიმტკიცისათვის

ეჭვთა გულისას რწმენა უფლისა
სიყუარულითა განაქრიებსო,
დამწინდველისა, მშობლის შენისა
ცრემლით გუაცხოვრენ, ტკბილო იესო...

* * *

შენდობისა და სიყუარულისთვის

უკეთუ სულით იყუნეთ მოწყალე,
მსჯავრიც თქვენს მიმართ ესრეთ იქმნესო,
მიწყალე შენი მარად მოვალე,
კაცთმოყუარეო ტკბილო იესო...

* * *

ჩემი ყველაზე დაუძლეველი
სევდის საღმობისა უღმობელის
მალამო შენ ხარ მტერთა მძლეველი
მარადქალწული ღმრთისა მშობელი...

* * *

და ფეთქავს გულში, ჩუმი მალული.
იდუმალ ცრემლით გადანამული.
თვით არ უსმენდა, თურმე სულ სდევდა
ცოდვილ სულს ღმერთი და
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ...

* * *
ყოველ ქართველს მიეც, ღმერთო,
ქართველობის ხსოვნა მარად,
საქართველო გულში ენთოს,
სულს გიფენდეს ფიანდაზად...

* * *
ვარ სამშობლოს მიწის მტკერი,
და მისი მტრის მტერზე მტერი!

* * *
ეს ცხოვრება არის ბრძოლა,
ბრძოლის ველი... კაცის გული...
არ აქვს შიში, არცა ძრწოლა,
ვისაც ძალუძს სიყვარული...

* * *
იყავი ვინც ხარ და ნუ თამაშობ,
ნუ ირგებ ნილას, ყალბსა და ნაცადს...
შენ რომ გამხილებ, ჩემს თავზეც ვამბობ,
ხალხს ნუ შევყვით თვალეში ნა-
ცარს...

* * *
წარსულს მივტირით,
აწმყო გვისხლტება,
მომავალი კი გვტოვებს ცარიელს...
მადლიერება ღმრთისა გვჭირდება...
ნუ ვეტრფით სოფელს,
ცრუს და წამიერს...

სიყვარული

ს ული ელტვის მარადიულს, მისთვის ძვირფასს, უცნოს, უცნობს;
ი დეალურს, მიუწვდომელს, აუხსნელს და გამოუცნობს;
ყ ოველ ჟამს თუ ეძიებდეს, სხვას არავის აღარ უხმობს;
ვ ინც იპოვა მისით ხარობს, დროს არავის აღარ უთმობს;
ა რსი მისი ღიდ სიხარულს მიანიჭებს გულცივს, უგრძნობს;
რ ომელიც რომ არასოდეს არსად არვის თანაუგრძნობს;
უ ლევ ძალას ჰმატებს უძლურს, განამდიდრებს გლახაკს, უნდოს;
ლ მობიერსა გაჰხდის მხეცსაც და არავის აღარ უმტრობს;

ი ე ს ო

არს, ვინც გვანიჭებს სიყვარულის გვირგვინს უჭკნობს...

* * *


აღსარებისა და სინანულისთვის

რომელთა ვერ გცნეს,
ვერცა ნაყოფი,
სათნო კეთილი გამოიღესო,
არა დააკლე მადლი სამყოფი,
წოდებულ ცოდვილთ ტკბილო იესო...

* * *

ყოვლადწმიდის დარიგება ქრისტიანს...

მარხვა წმიდაი და ლოცვა წრფელი
მტრისა შემბუსვრელ ლახვრად იქმნესო,
ვით ბაგას შინა, იშვეს შენს გულშიც
სიყვარულისა ღმერთი იესო...



სამშობლო – „ჩემი სავანე“

საინტერესოა, რამ მოიტანა ლიტერატურული ჟანრების დარბევა. უფრო ზუსტად, ამ ჟანრებს შორის სადემარკაციო ხაზის მოშლა, აღრევა. ფორმის ჩახსნა, ერთმანეთში შეღწევა, შეწოვა.

ვერლიბრის საცეცები ისე უცნაურად აბამს თავის ასიმეტრიულ ქსელში კონვენციური პოეზიიდან აფრენილ რითმებს, რომ ობობა გახსენდება მსუბუქი მსხვერპლით. ამ თვალსაზრისითაც უკვე დაწყებულია გლობალიზაცია. სახელმწიფო საზღვრების მოშლასთან შედარებით, რა თქმა უნდა, ფორმათა რღვევა ლიტერატურაში სულაც არაა საგანგაშო, რადგან ესაა ერთგვარი ექსპერიმენტი, მცდელობა ახალი, საინტერესო, დრამატული დროისა და მისი შინაარსის შესატყვისი ფორმადქმნადობის, რეალიზების...

ისე უცნაურად გადადის თეთრი ლექსი მოთხრობაში, მოთხრობა ნოველაში, ნოველა დეტექტივში... ხშირად რომანი ნამდვილი პოემაა, მინიატურა კი მთელი რომანი. ზოგჯერ ეტიუდი, ტრაქტატს რომ ეყოფა, ისეთი სიბრძნითაა შესიებული.

რამ შეცვალა, ჩამოშალა, რამ გამოიხსნა და გაათავისუფლა ჟანრის ამ კანონიკური არტახებიდან ტექსტი? კითხულობ, ხედავ, აკვირდები. არც ერთია, არც მეორე, არც მესამე. ზოგჯერ მხატვრული სტრიქონით ერთი, ერთადერთი შეგვრძნება დევს ხელისგულზე და ისეთი აფეთქება შეუძლია ამ შეგვრძნებას, რომ მთელი შენი წარმოსახვითი ენერჯის ყველა ატომი და მოლეკულა ფანტაზიის ფრთებს გამოიხსნამს, აღარ გემორჩილება, დათარეშობს დროსა და სივრცეში ეს უცხო ფრინველი.

ოთარ ჩხეიძის „ჩემმა სავანემ“ მისცა ბიძგი თუ სტიმული პირველ თეზისს, რომელსაც, თუ მეცნიერულად არ ვიტყვი, ჟინი უფრო ეთქმის, დადგენის

ჟინი, გამერკვია – რა არის ეს, რა წავიკითხე, რისი წაკითხვა დავამთავრე მეორედ (პირველად რომ წავიკითხე, ამაზე მაშინ არ მიფიქრია, ისე იოლად შევირგე, შევიტკბე, ბევრიც ვიცინე და ცნობილი სახეები თავიდან გავიცანი). რისი წაკითხვა დავამთავრე – ლექსის, რომანის, მოგონების, თავგადასავლის, სიზმრად ქცეული ამბის? („გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“).

პრინციპში, ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, სულერთი იყო, რა ჟანრს ვკითხულობდი. დასასრულს ისევ ავტორი გეხმარება: ეს არის „რომანი „სატრფიალო ზოლის“... „სატრფიალო ძაფის“ გარემო, – წერს ბატონი ოთარი ბოლო XXV თავში.

დადექი და იმტერიე ახლა თავი, იკვლიე – „სატრფიალო ხაზის გარეშე“ რომანი რას ნიშნავს, როგორი იქნება...

ესეც შენი ახალი ჟანრი, დროის დაღი რომ აზის. რომანი ტრფიალების გარეშე – პარადოქსი, აბსურდი, XX საუკუნის პირმშო, მაინცდამაინც XX საუკუნის. არის ამ რომანში ფრაგმენტი, უფრო ზუსტად, ჩანასახი მოპარული სიყვარულისა თუ ტრფიალებისა, არაოფიციალური, არა კანონიზებული, ჩანასახშივე რომ მოამთობენ, ჩაწიხლავენ, გააქრობენ მორალისტები. უფრო ზუსტად, მორალის სახელით „ბრინჯაოს კაცი“ – რედაქტორი, რომლისთვისაც, როგორც მოგვიანებით გამჟღავნდება, არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა თურმე.

მეორე ფრაგმენტსაც ვეცნობით ქალისა და კაცის სიყვარულისას. ამჯერად „კანონიერ“ ტრფიალებას, ამიტომაც იოლად გამხელილს, წამდაწუმ გამხელილს, რომლის წერილობით საბუთს სათუთად ინახავს ქმრის მიერ მოწერილი ბარათების სახით

ქალბატონი ლექტორი (თამარ სინარულიძე) და ყველას აკითხებს. ოღონდ ერთსაც და მეორესაც, ანუ პირველს „არაკანონიერს“ და მეორეს „კანონიერს“ სიყვარულს, ტრფიალებას, ორივეს, რეჟიმითა და იდეოლოგიით გაჟღენთილი ეპოქის დადი აზის.

ორი ადამიანის უპერსპექტივო ურთიერთობის, ქალისა და მამაკაცის სიყვარულის გარეშე დარჩენილი რომანი ერთგვარი პაროლია, გასაღებია, მინიშნებაა იმაზე, რომ ინტიმი არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ წყვილში, ერთ კონკრეტულ დაწესებულებაში, არამედ ზოგადად სამყაროში კვდება. რომ სიყვარულის, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემისა და ანგარიშგაწევის გარეშე გაჩენილ სიცარიელეს თავისი რადიაციული გამოსხივება გააჩნია, რომლის ტემპიც, სიმძლავრეც და ტრაექტორიაც სულ უფრო და უფრო იზრდება „ჩემს სავანეში“. რომანის დასასრულს კი ერთი კონკრეტული ინსტიტუტის მაგალითზე მწერალი სრული სისავსით გადაშლის საგანმანათლებლო სისტემის იმ მორალურ-ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ-სოციალურ თუ ეკონომიკურ კოლაფსს, უაღრესად აქტუალური რომაა დღევანდელი საქართველოსათვის და ჯაჭვური რეაქციით ებმის დანარჩენი სფეროებისა და დარგების გარდუვალი კრიზისი.

„ჩემი სავანე“ მატარებელია იმ ჩუმი, ყრუ გუგუნისა, სმენაზე ადრე, ყურზე მეტად, ხშირად ტანით რომ გრძნობს ადამიანი (ამ შემთხვევაში მწერალი). ამიტომ ცდილობს, ზვავს დაასწროს, დაასწროს ვულკანის ამოფრქვევას, განგამის ზარი ჩამორეკოს, მიგანედოს, გაგაფრთხილოს, გამოგაფხიზლოს... თავისი საქმით, თავისი სიტყვით, თავის ტერიტორიაზე მაინც შეაჩეროს ყველაფრის მომშლელი და წამლეკავი მოვლენები, პროცესები, ასე ხელოვნურად რომ დაჩქარდა და მომწიფდა.

წიგნის დასკვნით, შემაჯამებელ ნაწილში, როცა გულნაკლული მწერალი ნანობს, რომ სატრფიალო ხაზი არ განავრცო, არ განავითარა („სიყვარული რო მაინც სხვა რამ გახლავთ...“) უფრო მასშტაბურად, უფრო გლობალურად განიხილავს ამ პრობლემას და ერთი შეხედვით ზედმეტად მკაცრ დიაგნოზს სვამს: „თუ რამ აკლია, – რომანული ძაფი აკლია, სატრფიალო ძაფი აკლია. და ისედაცა: **აქ უფრო სძულთ, ვიდრე უყვართ**“.

სიძულვილიც და სიყვარულიც ორივე ცხოვრებას ქმნის. გარკვეული დროითა და სივრცით შემოსაზღვრული გარემო მაშინ იქცევა „სავანედ“, როცა ცხოვრებას ფეხზლად, მაგრამ სიყვარულით უყურებ. ამიტომაც თვით მწერლისათვის ეს „სიძულვილით“ სავსე სამყარო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდუნებებით, ღირსების ამყრელი სიტუაციებითა და ხაფანგებით რომაა სავსე, მაინც სავანედ რჩება, რადგან

მის „სიყვარულიან მზერას“ (დავით კლდიაშვილი) ადამიანის თავდაპირველი ბუნების სჯერა. სჯერა იმისა, რომ ღმერთმა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად შექმნა. ცხოვრება კი არჩევანია, რომელიც ამ მსგავსებას ან გამოშორებს, ან გაახლოებს, ან გიზიდავს, ან განგიზიდავს.

სიყვარული თუ სიძულვილი?

„სიცოცხლე“ თუ „ცხოვრება“ – ამგვარი ოპოზიციური დაწვევლება თითქოს თვით ამ ცნებებს აღარიბებს, რადგან თითოეულის ძალა მთელი სისავსით სწორედ ერთმანეთის ფონზე ვითარდება და შუქდება.

„სიცოცხლე“ თუ „ცხოვრება“ – ამ არჩევანზე კარგად შენიშნავს ფილოსოფოსი: „...თითქოს არის რაღაც ხარვეზი იმაში, რომ ქართული ენის სულმა (ენის ანგელოზმა?) გათიშა ეს ერთიანობა, რომელიც თავის თავში ონტოლოგიურად მოიცავს ბიოლოგიურ სიცოცხლეს, როგორც მოცემულობას, და მის ზედნაშენს ცხოვრებას, როგორც სოციალურ-ინტელექტუალურ აქტივობას, რომელიც სიცოცხლეს საშუალებად აქცევს. ისინი – სიცოცხლე და ცხოვრება – განუყოფელნი და განუყრელნი არიან. ისინი ერთუროს ატარებენ, ერთი მეორის პირობაა, მეორე პირველის მიზანია. ასეა? ენის ანალიტიკოსმა ანგელოზმა გათიშა ისინი. იქნებ სწორედაც მოიქცა.“

სიცოცხლე სიტკბობაა, ცხოვრება ტანჯვაა; სიცოცხლე ჭეშმარიტებაა, ცხოვრება ცდუნებაა; სიცოცხლე მარადიულია, ცხოვრება წარმავალია“. (ზურაბ კიკნაძე)

ნამდვილი მწერლის არჩევანი მარადიულობის, ე.ი. სიცოცხლის სასარგებლოდ კეთდება, თავისი დიდი მარტობით უაზრო ცხოვრების წარმავლობა დროდადრო სიყვარულით რომ შეაჩეროს.

ინდივიდუალობა, ინდივიდი დროს არ ემორჩილება, უფრო ზუსტად, დრო მისთვის მარადიულია. კრებითობა, მასა კი დროის ყურმოჭრილი მონაა. ამიტომ დროით ხსნის, დროს აბრალებს და დროთი ამართლებს ყველა უკეთურობას და დანაშაულს („ასეთი დრო იყო“).

არადა, დრო, როგორც მდინარე თავის მარადმდინობაში, მართლაც მარადიულია და არა გახვევებული, როგორც გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში მდგარი საათის ციფერბლათი.

დროის სიმბოლო – გაჩერებული საათი. უწესო კაცების, უზნეო კაცების, მტაცებელი კაცების ილუზია, რომ ამ საათივით დროც გაჩერეს, დაატყვევეს, დაიმორჩილეს. ამიტომ, მათი აზრით, ახლა მათი დროა. დროს სჭირდება დახარბება, ფეხის აწყობა, გამოყენება.

ათეული წლები გამოხდა, იმდენი რამე გადავიტანეთ და გადაგვაქვს... ჩვენს თავზე, რომ იტყვიან,

წისკვილის ქვაც კი დატრიალებულა. მაგრამ წამითაც არ შეცვლილა დიდი მწერლისადმი ჩვენი დამოკიდებულება. ამიტომ, კვლავაც თავისუფლად გავიმეორებთ, რომ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ტალანტი, სიბრძნე და ენერჯია მისთვის ჩვეული სიღარბისლით უძლებდა მიზანდასახულ ნიაღვრებსა და ქარიშხლებს, სტიქიურობისა და ქაოსურობის გეგმაზომიერ შემოტევებს. ვერანაირმა რეჟიმმა – ვერც კომუნისტურმა, ტოტალიტარულმა, ვერც ე.წ. დემოკრატიულმა – ვერ ჩაითრია და ვერ დაარბია მისი პიროვნული, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი მრწამსი. რადგან ეს მრწამსი, ეს პათოსი დღეს ან გუშინ კი არ გაჩენილა პოლიტიკური თუ სოციალური ამინდების შესატყვისად, არამედ მას ადრეული საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ძლიერი გენეტიკური კოდი და ინტელექტუალური გამოცდილება კვებავდა. ამიტომ იყო, რომ მუდამ სიცოცხლეს, ღვთის ამ უანგარო საჩუქარს, ანიჭებდა უპირატესობას. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის ახერხებდა კალიებივით შემოსეულ დიდ-პატარა საცდურთა და ცლუნებათაგან თავდახსნას.

რა ბედნიერებაა, რომ იგი არასოდეს დამორჩილება ზერელობის მაუწყებელ ტემპს ცხოვრებისას – დროს გამოდევნებულ ამ პროვინციულ სნობიზმს, როცა ყველა და ყველაფერი მოსწრებაზეა – გაცნობაცა და გადავიწყებაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც, ჩაცმაცა და გახდაც, გამდიდრებაცა და გაღატაკებაც, სიკვდილიცა და სიცოცხლეც, საფლავის ქვაცა და სანთლის დანთებაც მოსწრებაზეა. ოთარ ჩხეიძეს თავისი ტემპი ჰქონდა, ტემპი ღირსეული, მოღვაწე მამულიშვილისა. და ეს ტემპი მთელი სისავსით გამოჩნდა მის დოკუმენტურ პროზაში – „ჩემი სავანე“.

მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ათასი ჯურის, ათასი ვნებისა და მიზნის მატარებელ ადამიანებში უხდებოდა ცხოვრება, მისი, როგორც დიდი მწერლის „მარტოობის დიალექტიკა“ ვეება ყინულმჭრელივით წინ მიიწევდა.

როცა თავის დროზე ჟურნალში დაბეჭდილ ამ რომანის ნაწყვეტს წააწყდნენ ჩინოვნიკები, სიმბოლოდ ქცეული საათი ასფალტს ააგლიჯეს, გადამალეს და ბრიყვულად დამშვიდდნენ, ალიბის შემქმნელი დამნაშავე რომ „გააქრობს“ დანაშაულის კვალს და ჩაწყნარდება. თავად ხელშეუხებლები იყვნენ, დროს კი გააქრობდნენ, როცა უნდოდათ. არადა დრო, როგორც შევთანხმდით, მარადიულია, მედროვენი კი თავიანთ დროსავით სწრაფწარმავალნი.

დოკუმენტური პროზა – ეს ჟანრი უაღრესად პოპულარულია ევროპაში. მასხენდება სტატისტიკა, თავის დროზე წერილისათვის რომ დამჭირდა და მოვიძიე. პროცენტული თანაფარდობით, სხვა ჟან-

რებთან შედარებით, აღმოჩნდა, რომ მთელ მსოფლიოში დოკუმენტური პროზა გაცილებით უფრო დიდი ტირაჟებით გამოდის.

იქნებ უაღრესად სუბიექტურია ჩემი მოსაზრება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის ტოტალური ტყუილი და სიცრუეა, რომელშიც მთელი მსოფლიოა ჩაძირული. თვით ისეთი კეთილშობილური ტყუილიც კი, როგორცაა მხატვრული შემოქმედება, თავისი გამონაგონით, წარმოსახული რეალობითა და ესთეტიკით, უკვე ნაკლებ ანტირესებთ ადამიანებს. ჭეშმარიტება და სამართლიანობა იმდენად დაჩაგრულია სამყაროში, რომ სწორედ მის მიმართ გაჩნდა დიდი მოთხოვნილება და ნოსტალგია. ისეთი განცდა ჩნდება, მშფოთვარე ხანგრძლივი მოგზაურობის მერე თავისი ნავთსაყუდელი, მშობლიური სახლი, თავისი სავანე რომ მოენატრება კაცს.

გზის პარადიგმა, რომელიც ბინისა თუ უბინაობის პრობლემასაც მოიყოლიებს („მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“), ამ რომანის მეორე უმთავრეს თეზისადაც შეიძლება მოვიაზროთ. ეს პრობლემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზოგადად სამყაროში და კერძოდ, „ჩემს სავანეში“.

საქართველოს ორ კონკრეტულ ქალაქს შორის, თბილისსა და გორს შორის გადებული სამანქანო თუ სარკინიგზო გზა, ყოველდღიურად, როგორც წყალს უდაბნოში, ისე ეზიდება აქეთ-იქით თავის სამეცნიერო პოტენციალს – ორი, მეტად ნიშანდობლივი სიტყვით რომ განისაზღვრება: ჩამომსვლელები და ადგილობრივები (დამხვედურები). აქ გზის ორგვარი გააზრება შეიძლება მოხდეს, ორივე გააზრებას თავისი საფუძველი გააჩნია.

თუ ჩვენ მივმართავთ გზის ბიბლიურ გაგებას, ამ გზას თითქმის ყველა გადის, რადგან ყველა შვილია და თანაც უძლები. ეს ბიბლიური მასშტაბი მოიცავს მთელი სამყაროს ტრაექტორიას, ამ ბიბლიურ წასვლა-დაბრუნებაში სწორედ ძიების გზაზე ხეტიალი მოაიზრება. ძიება გარეგანში, სხვაგან, სხვაში, ძიება არა მხოლოდ როგორც ცოდვის მომტანი, გამამრავლებელი (ძიების გზაზე ხომ ასე ხშირია დაცემა), არამედ ძიება, როგორც გამოცდილება და აღმოჩენა, რომ ყველაზე სანუკვარი და სასურველი ჭეშმარიტი მამის სახლში, მამის წიაღში დაბრუნებაა. ეს გზა ნებისმიერი აღმსარებლობის, ნებისმიერი ეროვნების მატარებელთა გზაა, ზოგადად გზასამცდარი ადამიანის გზაა დაკარგული თავდაპირველი სამშობლოს – სამოთხის დაბრუნების მცდელობისას.

ნიკუშა ჩაჩანიძის სახით, თქვენ კარგად გახსოვთ, გზაზე დამდგარი კაცის, ზოგადად მოგზაურობის ახსნა-განმარტებებისა და განხილვების რა ფოი-

ერვერკს მოიყოლებს ოთარ ჩხეიძე, მისეული იუმორითა და ირონიით შეზავებულს „ბორიამში“. ვის არ გაიხსენებს მსოფლიო მოგზაურთა, ამ გამოჩენილ მისიონერთა კოპორტიდან, ვიდრე ახალგაზრდა კომპოზიტორის მიზნებსა და ამოცანებს გაგვაცნობდეს – მაინცდამაინც სისხლის წვიმებისა და გაგანია რეპრესიების ჟამს რომ გადაუწყვეტია უნიკალური ხალხური სიმღერის შესაგროვებლად შიდა ქართლში მოგზაურობა.

„ჩემს სავანეში“ არც სისხლის წვიმებია და არც რეპრესიები, ტყვიებისა და ციხეების თანხლებით, მაგრამ ე.წ. მშვიდობიანობის დროს მაინც ჩვენი ქვეყნის უჩინარი, ჩუმი ტრავმადია დახატული, საყოველთაო, დიდი რღვევის დასაწყისი...

„ჩემი სავანის“ გზა – როგორც ყოველდღიური ფიზიკური შრომა, გზა, როგორც განსაცდელი, როგორც ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციის სულიერი ბიოგრაფია, მისი მძიმე ყოფა და თავგადასავალი.

გზის დასაწყისში გორში დაარსებული პედაგოგიური ინსტიტუტი დგას, თავდაპირველად მყარად, უანგაროდ, საფუძვლიანად, თავისი „ბრინჯაოს კაცივით“ – რექტორივით შეუვალი, პასუხისმგებლობით აღსავსე, მიზანმიმართული, დინჯი, ერთი შეხედვით გაუცინარი და მარადიული მასპინძელი. ჩამომსვლელთა შემნახველი, პატივისცემელი და ფხიზლად თვალმომდევნებელი – როგორ ჩამორბიან და გარბიან, ჩამოდიან და გარბიან... ეს გარბენა, ეს უკან დაბრუნება მაინც რალაცნაირი, ირონიისათვის უჩვეულო, მაგრამ მაინც ირონიული სევდითაა გაშუქებული. რადგან ამ გაქცევით, პროვინციიდან დედაქალაქში მუდმივი მსვლელობით უკვე დაწყებულია მთლიანობის განცდის ხელყოფა. დაკარგულია შეგრძნება იმისა, რომ ესეც შენია, შენი განუყოფელი ნაწილია. აქაურობაც შენი სახლია, შენი ნავთსაყუდელი და სავანეა.

რა თქმა უნდა, ფესვებიდან საფუძვლიან მოწყვეტაზე თავად რეჟიმმა იზრუნა, როდესაც ერთგვარი რეპრესიების სახე მისცა დედაქალაქში მოღვაწე საუკეთესო ინტელექტუალური პოტენციალის პროვინციაში გამწვანებას. ასეთი, ერთი შეხედვით უვნებელი ხერხებიც არსებობდა რეჟიმის სადამსჯელო არსენალში. ფორმა, რომელსაც ვერ შეედავებოდი, რომლითაც ორ კურდღელს იჭერდა ოფიცოზი. ცალკე განმანათლებელთა დაქანცვაზე, ენერჯის გამოცლასა და ადრე დაბერებაზე ფიქრობდა, ცალკე პროვინციის მოსახლეობაზე „ზრუნავდა“, უსწავლელი რომ არ დარჩენოდათ ახალგაზრდობა.

იპოლიტე ვართაგავა, სერგი მაკალათია, სიმონ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კანდელაკი... აი ამ დიდ მოღვაწეთა და კიდევ არაერთ კეთილშობილ ლექტორ-

პედაგოგთა დიდებული პორტრეტები დაიხატა „ჩემს სავანეში“.

აი ამათი და ამდაგვართა მუდმივი წრიალი, ეს გაუთავებელი ფაციფუცი, გრძელი გზის კეცვა და საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ საათებს დამატებული ყოველი გაუთვალისწინებელი ლექცია, ჯაჭვივით სულ უფრო და უფრო რომ მძიმდება და გაუსაძლისი ხდება მისი ტარება. თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი ერთობა – ვნახოთ რამდენს აიტანენ, როდემდე გაუძლებენ. ეს ქანცამწყვეტი შრომა, გაუგონარი დატვირთვა და სხვათა მოვალეობის გრძნობით უტიფართა სარგებლობა დიდი თანაგრძნობით, ექსპრესიითა და სიმართლითაა რომანში დახატული.

სიყვარული მოგათქმევენებს ხანდახან სულს, რითაც ჩვენი სახელოვანი პიროვნებებისა თუ რიგითი მეცნიერების პორტრეტები იკვეთება რომანში. და კიდევ სატრაპეზო სუფრები, ციციანთელებივით რომ ანათებენ თანდათანობით მოქუფრულ ატმოსფეროს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ეს დაწესებულება, ზოგადად, მიკრომოდელია ჩვენში არსებული უმაღლესი სასწავლებლებისა, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისა. ზოგადად იმისა, რასაც მერამდენე ათეული წელია თვალს ვადევნებთ, რაშიც ვმონაწილეობთ, ვსუნთქავთ, ვიწვით და ვიხარებთ.

„ჩემი სავანე“ ეს არის დიდი რღვევის დასაწყისი ზოგადად ქართული მენტალობისა და კონკრეტულად ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის. ეს არის რეჟიმის მუდმივი შიში, რომ ნაციონალურმა, ეროვნულმა, ქართულმა მენტალობამ, ტრადიციამ, გონიერებამ, გულმა და სულმა არ გაიხაროს, არ იბარტყოს, არ გამრავლდეს, ვენახებივით არ გაშენდეს, არ გაიფურჩქნოს. მით უფრო ქართლის ნოყიერ, ფხვიერ, მსუყე მიწაში.

მიწა საშიშია, მიწას არ უნდა მიება, მიწა არ უნდა ამუშაო, მიწა უნდა გამოიფიტოს.

ეროვნულობის წასაშლელად ათასნაირი ფორმა მოიგონეს თავის დროზე კომუნისტებმა, შეფარული თუ აშკარა. დაუხვეწავი აგრესიით განსაკუთრებით თავდაპირველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ – დახვრეტები, გადასახლებები, გადაფხეკილი ფრესკები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენგვარი სანახაობითი ტერორი...

ცხოვრების შესატყვისად მხატვრული ლიტერატურაც და კინემატოგრაფიაც ივსებოდა და ივსებოდა ნახუცრებით, ბახუსისმოყვარე ჩლუნგი, კომიკური მღვდლებით, გაპარსული და ანაფორაგახდილი მამაობით. ეს იყო ნორმა, ე.წ. დროის შეკვეთა, რომელშიც, მცირე გამონაკლისების გარდა, სამწუხაროდ, შემოქმედებითი ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი იყო ჩართული. დღევანდელი გადასახედიდან

იმდენად თვალშისაცემია საყოველთაო უღმერთობის საბჭოური სტილი, რომ დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ამ „შედევრთა“ ავტორებში, არამედ მათ მემკვიდრეებშიც, სულ ცოტა უხერხულობის განცდას მაინც იწვევს.

„შემოქმედებითი მსახურება თავისუფალი მსახურებაა, მას ვერ მივუსადაგებთ შრომითსა თუ სამხედრო ვალდებულებებს. სულის დამთრგუნველი დიქტატურა არა მარტო თავისუფლებას ართმევს შემოქმედს, არამედ ცდილობს მოისყიდოს კულტურის მოღვაწეებიც და მათგან გამცემლობას მოითხოვს, მონურ მორჩილებას აჩვენებს და აიძულებს რებრე-სიების შიშით სახელმწიფო დაკვეთა შეასრულონ. მსოფლმხედველობრივი დიქტატურა ადამბლავებს სინდისს და მხოლოდ თავისუფალი სინდისის გმირულ შემართებას თუ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს.“ (ნიკოლოზ ბერდიაევი)

სწორედ „თავისუფალი სინდისის“ გმირული შემართებითა და ტიტანური შრომით მოახერხა ოთარ ჩხეიძემ XX საუკუნის ქართლის ეპოპეის შექმნა.

ოთარ ჩხეიძის, როგორც დიდოსტატის თვალი აბსოლუტურად უჩინარ, ერთი შეხედვით მექანი-ზებულ პროცესებშიც კი ისეთ სიფხიზლეს იჩენს, გაგვიკვირდებათ. ეს არაა მხოლოდ თვალის ნიჭი, თვალის სიფხიზლე. ეს მწერლის ის „ბედნიერი თვალია“, როგორც ლალი ავალიანი იტყვოდა, რომელიც ყველანაირ უბედურებას ებრძვის სამყაროში. ესაა მობილიზებული გულის, გონებისა და ეპოქის სულისკვეთებისადმი უნდობლობიდან წამოსული ქვეცნობიერი სიფხიზლე, რომელიც მის ცნობიერებასა და წარმოსახვის უნარს მოღუენების საშუალებას არ აძლევს. ასე მაგალითად: „ჩემს სავანეში“ ერთ-ერთ სატრაპეზო სუფრასთან საუბრობენ, თუ როგორ კლებულობს ღირსებისა და პრესტიჟის განცდა ქვეყანაში. როგორ ხდება ღვინის საყოველთაო ფალსიფიცირება, დამცრობა, შეურაცხყოფა. სხვათა შორის, ვაზის კულტურის მქონე უძველესი ქვეყნისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აგრარული სისტემის მოშლის უჩინარი სპექტრი რომანში, ოჯახური კულტურის, ოჯახური მეურნეობისა და სახელმწიფო ინტერესების შეპირისპირებითაა ნაჩვენები.

„სვამდა და სვამდა ზაქარია კიკნაძეცა, იფშხალეზოდა და სვამდა. „თავს ნუ იკლავ ზაქარიაო, წყალია და შაქარიაო“, უმღეროდა ვალოდია კაკაბაძე. ნუთუ გორელებიც იკადრებენო, გაიკვირვებდა ზაქარია, ოღონდ ისე რო კარგად რო იცოდა, გორი რო არ იყო არაფერ შუაში, სვირიც რო არ იყო არაფერ შუაში, არც რო კარდანახი, რაღა თქმა უნდა, რესტორანში რო სვამდნენ, დანომრილ ღვინოებს

რო სვამდნენ, ქარხნის ღვინოებსა, რაღა თქმა უნდა, ქარხნისასა და დანომრილსა, – ესეც რო უცნაური განხლდა, სახელები რო წაართვეს ქართულ ღვინოებსა და ნომრები დაადეს, სათარეშოდაც ადვილი განხა, გასაქარწყლებლადაც ადვილი ცხადია (ხაზი ჩვენია). სვამდნენ რაც იყო, უკეთესი რო აღარ გააჩნდათ, სვამდნენ, ლხინობდნენ ძველქართულადა, მამაპაპურადა, მაინც ისევე მამაპაპურადა, დარბაისლური სადღეგრძელოებითა, ზომიერი ქებითა ერთმანეთისა, სიმღერითა, ცეკვითა, ყოველივეთი და ყველაფრითა, რაც ქართულ სუფრას რო შეეფერებოდა“.

„კულტურის მოღვაწეთა მოსყიდვა მით უფრო ადვილდება, რომ მათი მდგომარეობა სულიერადაც და მატერიალურადაც ძალიან ძვირად იყენებოდა. ისინი სოციალურად დაუცველნი იყვნენ და უმუშევრებად იქცნენ. ინტელექტუალურ ფენას ან დაღუპვა ემუქრება, ან გაქრობა იმის შედეგად, რომ ის აღარავის სჭირდება...“ არ შეიძლება ბერდიაევის ეს დაკვირვება არ გაგახსენდეს, როცა ხედავ „ჩემს სავანეში“ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს ნელ-ნელა, თანდათან, მეთოდურად, სარეველა ბალახავით როგორ შეუსვენ ე.წ. ახალ კადრებს, თავიდან ხანგამოშვებით, თითო-ოროლას, მერე უხვად და წამდაუწყებ. ეს არ არის თაობათა ჯანსაღი მონაცვლეობა, ბუნებრივი, ღვთისაგან დაწესებული, როცა ოსტატი მიდის და მისი გაზრდილი შეგირდი გამოდის ასპარეზზე. საცქერლადაც საამოა ეს პროცესი, ზღვის ტალღებით დამამშვიდებლად რომ ენაცვლებიან ერთმანეთს თაობები.

აქ სხვა რამ ხდება. თანდათან იკვეთება და თვალშისაცემია სახელმწიფოს მზაკვრული განზრახვა, რომ მართალმა, ბუნებრივმა, კეთილმა, პატიოსანმა და, რაც მთავარია, თავისი საქმის ნამდვილმა პროფესიონალმა არ გაიხაროს, ამიტომაც მოდის ახალი კადრი, პარაზიტული სხვისი ადგილის დამჭერი, უეცი და ამბიციური. მუდამ უფლებებზე მოწუწუნე და მოვალეობებგადავიწყებული. ამიტომაც ხდება ამ აქტიური უნიჭობის, უპასუხისმგებლობის წაქეზება და წახალისება.

„მაგასაც რო პროფესორი დაერქმევა, რაღა ფასი აქვს პროფესორობასო“, – ამ მორალური ფრაზით, რომანშიც რომაა გამოყენებული, ვინ იცის რამდენი „სწავლულის“ შეფასება მომხდარა ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში. საბოლოო ჯამში კი – ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის.

თანდათან, მეთოდურად, ახალგაზრდების თვალწინ ფასს უკარგავენ პატიოსნებას, ცოდნას, პროფესიონალიზმსა და პატრიოტიზმს. წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით მოპოვებულ სულიერ საგანძურს, ინტელექტუალურ ბაზისს ისე იოლად ატანენ ქარს, თითქოს ღიღინებენ – ქარის მოტანილს ქარი

წაიღებო. ამიტომ საოცრად სიმბოლურია საშიშად დარწმუნულ ხიდზე ქარიშხალში ძლივს მიმავალი სამი ჭარმაგი პროფესორის სცენა. იმის მაგივრად, თავს უშველონ და როგორმე მეორე ნაპირზე, სამშვიდობოს გააღწიონ, ამ ქარაშოტში წამდაუწუმ ჩერდებიან, წუხან და კამათობენ – სტუდენტებს მანც რაღა დაემართათ, სწავლა რომ აღარ უნდათ, რა უნდა მოუხერხოთ... თითქოს მათი წუხილიც და გულუბრყვილო გაკვირვებაც სადმე, გუმბათ ან სახურავდადგმულ შენობაში კი არ უნდა გამჟღავნდეს და მსჯელობის საგნად იქცეს, არამედ სწორედ ღია ცის ქვეშ, დაუცველი და მოწმის გარეშე დარჩენილი ეს დარდიც რაც შეიძლება დროზე უნდა განქარდეს და გადაიკარგოს.

ამ რომანიდან ბუნებრივად, უშუალოდ ამოიზრდება მონოგრაფია სათაურით – „ხელოვანის ბედი ტოტალიტარულ სამყაროში“, რადგან მთელი ეს დრამატიზმით, დინამიზმით, სიყვარულითა და ირონიით მოთხრობილი თავგადასავალი ერთი ეროვნული ინსტიტუტისა, პირადად მწერლის თავგადასავალიცაა. ოთარ ჩხეიძემ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში 30 წელზე მეტხანს დაჰყო და, როგორც თვითონ ბრძანებს, მოუსწრო იმათ, ინსტიტუტს დაარსების დღიდან რომ მოჰყვებოდნენ, და დატოვა ისინი, რომლებმაც ბოლო მოუღეს და წირვა გამოუყვანეს პედაგოგიურ ინსტიტუტს.

„ჩემი სავანე ცოტათი ირონიულია. ირონია ნიშანდობლივია ჩემი სტილისათვისა, ოღონდ აქ ეს ჩემს იმედგაცრუებასაც უნდა გამოხატავდეს, თვითირონიასაც უნდა გამოხატავდეს. სუბიექტური მხოლოდ ეს უნდა იყოს ამ ნაწარმოებში. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება ახლა, კორექტურისათვის რო გადავიკითხე“...

ამ სიტყვებით ამთავრებს 2000 წლის მკათათვეში დაწერილ ანოტაციას მწერალი.

რაც შეეხება ირონიას, ეს დროის გადასახედიდან დასცქერის საკუთარ ღვაწლს ერთგვარად გაწბილებული და ირონიული, თორემ იმ წლებში სწორედ მისი დიდი ტალანტისა და უშურველი ამავის გამო ჩქეფდა და გადმოჩქეფდა თეატრალური და ლიტერატურული ცხოვრება გორში. სწორედ მისი თაოსნობით, ზრუნვითა და მონაწილეობით ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან, გალაკტიონთან, ლევან გოთუასთან, იოსებ გრიშაშვილთან, სერგო კლდიაშვილთან, დემნა შენგელაიასთან, ლადო გუდიაშვილთან, სიმონ ჩიქოვანთან, რეზო ჯაფარიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, მსახიობებთან, მუსიკოსებთან... ყველას ვინ მოთვლის...

როგორ საგანგებოდ, სერიოზულად ემზადებოდნენ სტუდენტები ამ ავტორიტეტებთან შესახვედრად, როგორი გახარებული და გაოცებულები რჩებოდნენ სტუმრები მათი შემოქმედების ასეთ ცოდნას რომ

წააწყდებოდნენ ე.წ. პერიფერიაში. „ჩემს სავანეში“ ცალკე თემად შეიძლება გაიშალოს დედაქალაქის დაუდევარი, ხშირ შემთხვევაში ქედმაღლური დამოკიდებულება პროვინციისადმი, რაც წლების შემდეგ ბუმერანგით დაუბრუნდა თბილისს და საკმაოდ მწვავე პრობლემადაც ექცა.

რომანში მთელი ეპოპეა გორის სალიტერატურო ჟურნალის „ლიახვის“ გამოცემისა. პირველივე ნომერს რომ დააპატიმრებენ, პირველივე თაბახს, ვილაციის საჩივრის საფუძველზე: „ბელადზე არაფერი არ იბეჭდება“. არადა რამდენი დრო და ენერგია შეაღია ამ ჟურნალის გამოცემას და წელში გამართვას ბატონმა ოთარმა, რადგან სჯეროდა, რომ იგი ჰაერით და წყალივით სჭირდებოდა ახალგაზრდობას. რა დღე დააწიეს, როგორ უშლიდნენ ხელს, ყველაზე მწარე და მოულოდნელი მანც დედაქალაქში გამომავალი „ცისკრის“ მიერ „ლიახვის“ აბუნად აგდება იყო. როგორ არიგებდა რეზო მარგიანი ოთარ ჩხეიძეს: „რატომ არ გამოეცლები მაგ გიჟებსაო. შენს მამა-ბიძას რა ხეირი დააყარეს, შენ რაღა სიკეთეს ელოდებიო. იცოდე შენს მტრებს ზრდი და მტრები ისედაც არ გაკლია მწერალთა კავშირშიო. გამოეცალე, წამოდი, შენს თავს მიჰხედო“.

ვერ გამოეცალა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეს დიდი მწერალი, ვერც გამოეცლებოდა, მთელი 30 წელი შეაღია მწერლობაზე არანაკლებ დიდ საქმეს – თაობების აღზრდას – შემოქმედმა და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჯანსაღი, პატიოსანი და გონიერი გოგო-ბიჭების აღზრდით საქართველოს სიცოცხლე გაუნახგრძლივა... რაც შეეხება ირონიას, თუნდაც თვითირონიამ რა უნდა დააკლოს „განწირული სულისკვეთების“ მატარებელ დიდ მწერალს.

* * *

წმინდანებს ხილვები აქვთ, ძირითადად მომავალს ხედავენ და უხმოდ გოლებენ. ჩვენცა გვაქვს, ადამიანებს, ჩვეულებრივებს ჩვენ-ჩვენი ხილვები, უფრო ზუსტად, სურათ-ხატები თავდაპირველი სამშობლოდან – სამოთხიდან, ბავშვობიდან გამოყოფილი და, როცა მათ ვხედავთ, ვილიძებით.

ოთარ ჩხეიძე წინასწარმეტყველი იყო, ხილვები ჰქონდა და წერდა, წერდა, წერდა...

ეს რომანი მომავლის მწარე წინათგონობით იწერებოდა. გორის გაუქმებული პედაგოგიური ინსტიტუტისა და ახლო მომავალში შუაგულ ქართლში წართმეული 158 სოფლის სიმწრითაც. „ჩემი სავანე“ ერთი მწარე ხილვაა და გაფრთხილება იმისა, რომ ეს უკვე იყო, ეს დღესაც არის და, ეს მომავალშიც გაგრძელდება. გაგრძელდება მარადჟამს, სანამ ადამიანი, სანამ ქართველობა თავის სახლს, კუთხეს, მიწას, სამშობლოს თავის სავანედ არ აქცევს.

ღაიდა ჟიხომვილი- სახლტოხუნიშვილი



„ისევ გამოჩნდი, ციცქნა იმედო, ალბათ უფალთან გამოიზამთრე!“

(ღალი ჯაფარაშვილის კომპოზური სტრიქონები)

„ცაზე რომ ფრთებით მოხაზავ იმედს,
აჰყვები ტატნობს ნატურის ნატებთან,
არ მოვეჩვენოს, რომ ყოველივე
შენით იწყება, შენით მთავრდება“.

ღალი ჯაფარაშვილი

ღალი ჯაფარაშვილის ლექსების პირველი კრებული „მზეკარა“ 1979 წელს გამოვიდა. სამწერლო ასპარეზზე გზა ბატონმა ნოდარ დუმბაძემ დაულოცა. მას შემდეგაა, რომ მისი სულის პოეზიას, მარღვიანი ქართულით ნათქვამ სტრიქონებს, დიდ-პატარა გაფაციცებით მოყვებით, რადგან პოეტი გვარწმუნებს, რომ „უფლის ნებაა გადაგვატაროს ყოფნა-არყოფნის შუა ხიდზე, ამყოფიდან არყოფნისაკენ!“ ხოლო მანამდე, „ტკივილსა და ტკივილებს შორის უნდა შევძლოთ გამონათება: ღიმილად, სითბოდ, თანაგრძნობად... სულის სიმშვიდედ!“... ასევე სურს, დაივიწყოს გაჭვარტლულ ბუნარს ჩამოყოლილი ოხვრა, ღრუბლის შთანმთქმელი კაცი და მზე, შემოდგომის მწუხარე ზეცა, დაგროვილი დარდები, ყელამდე ბურუსი, უფარშუბო რაინდები... მაგრამ მისი ყოველი მცდელობა უშედეგოა და სწორედ ამ დროს მას ერთ-ერთ მშველელად „წიგნის თარო-ნაკრძალი“ ევლინება, სადაც ხანდახან სულს ითქვამს, თუმცა „მერე ისევ

* სურათზე: ლეილა ქიტოშვილი-სახლტოხუნიშვილი (მარცხნივ) – ციალა კანდელაკის ნახატი

აწმყოა, აწეწილი ქარდაქარ... ქონდარეთი ქირქილებს, საავსაქმედ ირჯება, ნაკარგყმათაც იკისრეს ძმებზე გადაბიჯება!...“

სინამდვილის მძაფრი აღქმა შვებით ათქმევინებს: „კიდევ კარგი სახლში მაქვს თქვენი სულის ნაწილი, – წიგნის თარო – ნაკრძალი, აქ ვმშრალედი/ნაწვიმი!“

რამდენი მკითხველისთვის, წიგნის მოყვარულისთვისაა ასეთი დამოკიდებულება ნაცნობი და მახლობელი, მართლაცაა, რა მშვენიერია, ცხადია, პირობითად – ქირქილა ქონდარეთის შემდეგ, ასეთ სიმყუდროვეში, ნაწვიმის მოშორება-გამშრალება...

ავტორი ვერაფრით ეგუება სიცრუეს, დალატს, ორპირობას და შეწუხებულს, ცრემლნარევი პათეტიკით შენიშნავს: „სიმათლის ნილბით, დახვეწილი სიცრუე დადის!./ რა სრულყოფილი ნილაბია, უხინჯო, ნაღდი! რა საოცარი მსგავსებაა, რა შემართება, // ნაცნობ სიცრუეს ველარა ვცნობ, – რა მემართება!“

იგი არ კმარობს „დახვეწილი სიცრუის“ მხოლოდ დანახვას და ამ თემას იქვე ავრცობს, აქტუალურს ხდის – „მატყუარა პრინცესების გაჯეჯილებას“... „ისევ გულდაგულ ჩაუნლართავთ ტყუილ-მართალი, /ვერ განასხვავებ, გამოისხა თუნდაც ცხრა თვალი! /ზეობს სიცრუე, მართლის ნილბით „ამსხვრევს“ ჯებირებს/და მატყუარა პრინცესებმა გაიჯეჯილეს!“

ამ ბინძურ თამაშს თავი და ბოლო რომ გაუგოს, უნდა უტყუარ ალლოს ენდო, რადგან „არსად ჩანს ჯადოსნური ცერცვის მარცვალი... და მარჯვნივ-



მარცხნივ უშურველად ცვივა ნაცარი“...

პოეტი ჯიუტად აგრძელებს დაკარგული იმედის ძებნას, ინტერესით მიჰყვება მას ქვეტექსტებითა და მისახვედრი ნიშნებით განათებულ გზაზე; დიდხანს სიარული არ დაგვირდება, რადგან თავად აგიხელს თვალს და გულამოსკვნით შეგდალადებს: „...როგორ გაგთელეს, დაგამშიეს, გაგამათხოვრეს,/ რომ შენს ხობებზე ენადირათ დაგეშილ ქორებს!.. /მორღვეული გაქვს ოთხივ კუთხივ ეზო და კარი/ და უპატრონო საბძელივით დაგლმუის ქარი,/ რომ გაიბაცოს თუ რამ დაგრჩა გასატაცები!.. /იმედთან ერთად დაგვეკარგნენ ერისკაცები!.. /გიკეცავ ციდან ჩამორღვეულ ლაჟვარდის ძენძებს/და ამ ქაოსში, შენს დაკარგულ ღირსებას ვეძებ!“

არ დაგვცხრომია ამ ლექსის სიმძაფრით გამოწვეული ემოცია, რომ იქვე, ცრემლნარევი სტრიქონებით, კიდევ ერთხელ შეგვაფხიზლებს – სამშობლოსათვის, მოყვასისათვის, ყველა შეწირულისათვის, სიმართლისათვის...

„ერთხელ ხომ მაინც უნდა შეაფხიზლო
ერი და ბერი, –
ერთხელ ხომ მაინც უნდა უთხრა
სიმართლე შენი!
ერთხელ ხომ უნდა დაიგრგვინო,
დაიმქუხარო,
ან დარდიანი ანუგეშო, –
ნულარ სწუხარო!
ერთხელ ხომ უნდა გადაუდგე
ჯოგსა და ფარას,
დახუნძლულ ზვართან შეაჩერო, –
შეჩერდით, კმარა!
ერთხელ ხომ უნდა მოგიმართოს
ხელი უფალმა, –
თავაწულმა გაიარო,
თავისუფალმა,
... და მამულისთვის,
და სიმართლისთვის,
და მოყვასისთვის ბეწვის ხიდზე დადო
სიცოცხლე შენი!“

საოცარი ლირიზმითა და სევდითაა სავსე ლექსი „აღსარება“, ასევე რამდენიმე უსათაურო ლექსი, ერთ-ერთში ვკითხულობთ:

„ის ერთი ფერი ზღვარს იქით იყო,
სიყვარულო,
შენ არ შეგეძლო დანახვა მისი,
ის ერთი ბგერა ზღვარს იქით იყო,
სიყვარულო,
შენ არ შეგეძლო მოსმენა მისი,
ის მოლოდინი ზღვარს იქით იყო,
სიყვარულო,
შენ არ შეგეძლო გაგება მისი...“

ზღვარს აქეთ აღმოჩნდნენ ათასი ვინმეები, ათასი რამეები, რომლებიც ნატურის ნაყოფით დამძიმებულნი, თავებს მიწამდე ხრიდნენ, რადგან ცა შორს იყო, იქამდე ვერც ბგერა, ვერც ფერი ვერ აღწევდა; მხოლოდ იგი ამჩნევდა, მხოლოდ მას შეეძლო მიწვედნოდა და ჩამოელო სავსე თაროდან ნამიანი სურა, მაგრამ: „ღმერთო, მიშველე!/ ის ერთი სურა, /სურვილებისგან /დაცლილი ჩანდა,/ შენ არ შეგეძლო/ დანახვა მისი, / ძალიან ძალა/ შეედგათ/ რადგან.../იმ სიმალემდე/ გზა იყო შორი,/ ან გზა იქამდე /არ ჩანდა სულაც. /აქ კი, მიწაზე, /მოყირჭებამდე/ ადვილსაწვდომი/ გელოდა სურა, /ადვილსაწვდომი /გელოდა მზერა, /გელოდა ფიქრიც/ ადვილსაწვდომი.../ ...ზღვარს იქით ჩანდა /მაღალი ზეცა, /იმ სიმალემდე /გზა იყო შორი!“

როგორი განცდითაა გადმოცემული – მიწაზე მდგომი, მოყირჭებამდე, ადვილად მისაწვდომი სურის ამბავი; რომლის ქვეტექსტიც ნათელზე-ნათელია; ძნელია, სურვილდაცლილ ადამიანთან (ადამიანებთან) ურთიერთობა, რაიმეს გაზიარება მაშინ, როდესაც მაღალ ზეცამდე შორი გზაა სავალი. მთავარია, რომ, იგი არსებობს, მთავარია ჩასწვდე პოეტის ფილოსოფიას, მის უცნაურსა და მაინც, მიწიერ შინაგან სამყაროს.

აი, რას წერს ბატონი გივი ალხაზიშვილი ქალბატონ ლალის პოეზიაზე: „წაკითხული ლექსები ერთმანეთს ავსებენ, რაღაცას აგრძელებენ, რათა ჩვენს ცნობიერებაში აღმოცენდეს პოეტის სულის ავტოპორტრეტი, მისი განცდების გარკვეული რუკა – სიტყვებად და სტრიქონებად გაბლანდული, გამოიკვეთოს მხოლოდ ანარეკლი სისარულისა თუ ტკივილისა...“ – ჭეშმარიტად, რადგან პოეტს დიდი სურვილი აქვს, გამოაფხიზლოს, თუნდაც „მიწის საცდურით დაბანგული კაცობრიობა“, ამიტომაც შეუძახებს: „ზეცა მიწისკენ მოექანება!.. /და კაცი არ ჩანს, /ამ ჩამორღვეულ ლაჟვარდისფერს/ მხარი შეუდგას, რომ როგორმე გადაარჩინოს/ სიმალისაკენ ნანატრი ლტოლვა!“

შეუძლებელი იყო, პოეტი არ შეხებოდა თავისი ბავშვობის ქალაქს – ხაშურს, ქალაქს, რომელიც „ღვთის ხშიადივით აპურებს მრავალს“... როგორი სისათუითაა სავსე მისი სვლა ამ ქალაქისკენ, რომ-

ლის თბილ წიაღშიც აპირებს მიახლებას; რატომღაც, არ მემეტება, ნაადრევად მეჩვენება მისი პესიმისტური ფიქრები, განწყობა:

„რაც თავი მახსოვს, გიახლოვდები,
შენთან მყოფი და შენგან წასულიც,
ტაძრის შუქით და ნაშალ ლოდებით,
ხოშარ მიწაში მფეთქავ წარსულით.
ფიქრდაფიფქული მოვიწვევ შენკენ,
მწედ გიგულებ და მემედები,
როცა ამწვანებს შენს კორდს და ნეკერს
თოვლნაჟური და წვიმის წვეთები...“

სულისშემძვრელია გარდაცვლილი ძმისადმი მიძღვნილი ლექსები: „სევდის რთველი“, „მწუნარება“, „უფროსი შვილი“, „წერილი ძმას საავადმყოფოში“... არ გინდა პოეტის თვალზე ცრემლის დანახვა, მაგრამ როგორ გინდა უემოციოდ წაიკითხო შემდეგი სტრიქონები: „ჩემს ეზო-კარს მოაკითხა/ მწუნარება, ვაიმე! /...მოთქვამდა და ზრიალებდა, ინგრეოდა მისი ოდა!.. /გალეშილი მწუნარება,/ ახლა, სხვაგან მიდიოდა!“

ანდა: „ნუღარ ჭიკჭიკებ, პატარა ჩიტო,/ – ამ სახლში ხომ სიხარული/ აღარ ცხოვრობს, –/ ის ჩემი ძმის სულთან ერთად გაფრინდა/ და გადაიკარგა! / ახლა ამ სახლში, სევდის რთველია! / – მწუნარება მფეხქვეშ მოიგლო/ ჩვენი გულები და უღვთოდ წურავს.../ აქ სიხარული აღარ ცხოვრობს!“ და სხვა.

პოეტი არ ივიწყებს და კრძალვით, სიყვარულით უძღვნივს ლექსებს: ნოდარ დუმბაძეს, რევაზ ინანიშვილს, მედეა კახიძეს, გურამ რჩეულიშვილს... „ახლა ცაში ბინადრობთ, /რჩეულები, კარგები, / სამოთხის მზე სხივს გათოვთ, /თავს გიხრიან ვარდები... /აქეთ, ბაღნარს გათელილს,/ აღმოხდება გოდება,/ გარდასული ნათელი /როცა მოაგონდება! / – დროს ვერ გრძნობდა სრულებით /ყელგაწვდილი ცხრა შაშვი, /დღეს რომ გატრუნულები /სხედან უფლის კალთაში... /აწმყო – წყალი დადარზე! /შაშვს შებმული ჭილყვავი... / თქვენ თან გღვედათ ცა და მზე, /თქვენ სხვაგვარნი იყავით!“

განსაკუთრებული, აღმაავალი ინტონაციითაა წარმოჩენილი გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „მწუნარე დღე“, რომელიც ერთდროულად ჩვენი მკითხველების განცდასაც გამოხატავს და შინაგან, თუ გარეგან ჟრჟოლასაც იწვევს – უდროოდ დაკარგულის გამო, თვალნათლივ ხედავ იმ დროს, იმ წელს, იმ დღეს, ზღვის იმ მონაკვეთს, სადაც ეს განმაურებული, საზარელი ამბავი განვითარდა... უნებურად გავიხსენებთ მურმან ლებანიძის სტრიქონებს:

„გურამ! ახალციხესთან ტბა ყოფილა
– მე რა ვიცოდი!

გურამ! ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა,
მე რა ვიცოდი!..

...ცხენთა სახედნად რომ მპატიჟებდი,
ველარასდროს თუ ვერ გნახავდი,

მე რა ვიცოდი!..“

ორივე ლექსს ერთდროულად რომ წაიკითხავთ... გაიხარებთ, რადგან ქალის დაწერილი ლექსი ტოლს არ უდებს და რაღაც მეექვსე თუ მეშვიდე გრძნობა ხმამაღლა გეკარნახობთ – ჯობია კიდევ; ამიტომაც, ამ ლექსს სრულად გთავაზობთ: –

„ზღვას გულზე ცრემლის საბანი ჰხურავს,
ნაპირზეც მძიმე ამინდი დადის,
მე მხოლოდ ახლა გავიგე, გურამ,
ლუზაჩაშვებულ გემების დარდი.

მე ახლა მივხვდი მარტოთა ფიქრებს,
როცა ცა არის ყინულის სარკე,
ფრთებმოშხვრეული ტკივილებს ითმენ,
ძალღვივით ენით ილოკავ ნატკენს.

თან ითვლი ჩუმად, – ერთი ან ასი...
ნაზ ფიქრებს, როგორც დალალებს იჭრი,
იმედის ნაცვლად მოდის და გავსებს
ყოვლისმომცველი თვალმარდი იჭვი.

და ერეკება სულის სარკელიდან
ლაბუა ჩიტებს რომ თვლიდი შენად, –
აი, ნინველა სხვივც გაფრინდა
და მიღმიერმა დაბინდა ზეცა!

ზღვამ ცრემლის რიდე ჩამოიბურა,
გაუჩინარდა ნისლების ფარდით...
და გულისგულში გროვდება, გურამ,
ლუზაჩაშვებულ გემების დარდი!“

ქალბატონ ლალი ჯაფარაშვილისათვის, ისე, როგორც ყველა მოკვდავისათვის, პატიოსნებისა და დროის ცნებები, ძალზე მგრძობიარე და მნიშვნელოვანია; სწორედ ამიტომაც, რომ სრული სიცხადით, სიმკაცრითაც კი, ავლენს საკუთარ დამოკიდებულებას, როცა წერს: „პატიოსნება სკამის კიდეზე ზის მეტწილად, მუდმივ მზადყოფნაში, ადგილი დაუთმოს მავანს, პატიოსნება სიმწრის ცრემლებს ითმენს მეტწილად და წარმოუდგენლად მაღალ სათნოებას მალავს... „და ქანცგამოცლილი ქაცვიით, ნარ-ეკლით მიდის... პატიოსნება სკამის კიდეზე ზის მეტწილად და ნაჯაფარ მხარზე უცხო სიამაყე აზის!“

„დრო, სიზმარ-ცხადის ცრემლნაცვარ ნაზავს, /
ობლის კვერით ჩააკრავს გვიან/ მყოფადი, ცაზე/
ნათელს მოხაზავს/ და ნაკვალევზე ამოვა ია!.. /...
წესია, – აწმყომ უნდა დავმალოს/ და მომავალმა აღმოგაჩინოს!“

კი, მართალია, თუმცა ახლა მომავალს აღარ ელოდებიან და თავად უწყობენ ხელს, ნემსის ყუნწში ძვრებიან, რომ „აღმოაჩინონ“... ვითომ, დრომ მოიტანა?! არა მგონია, გაუნათლებლობამ, ურცხვმა უკომპლექსობამ, ფასეულობების გადაფასებამ მოიტანა ეს... ძალიან ხშირად, დღეს, ისეთი „მოსაწონები“ მოსწონთ, რომ ასეთ საცოდავ კითხვასაც სვამენ ზოგიერთი ვაი-ჟურნალისტები, სხვებიც: – ეს თქვენი „ინსპირაციის“ ნაყოფია, თუ?!..

2011 წელს გამოცემულ კრებულში „იმედი“,

რომელშიც შესულია ლ. ჯაფარაშვილის 1979, 1986 და მომდევნო წლებში დაწერილი ლექსები, ყურადღებას იქცევს ვრცელი ლექსი „აი, თვალები ეჩვევიან კაშკაშა ნათელს“; იგი თერთმეტ ქველექსადაა დაყოფილი, ყველა – საკუთარი სათაურით: „გამოღვიძება“, „შეხვედრა“, „მარტივი რიტმი“, „კითხვის ნიშნები“, „ფრთხილად იარე“, „მესამე ცდება“, „უპასუხო ზარების სევდა“, „?!“, „გმადლობ“, „გაფრთხილება“, „ჩვენ მხოლოდ შევკრთით წამიერად“; თემატურად დაყოფილი ლექსები ასე იწყება: „განზრახ გამოჩნდნენ ინგვარში ყოჩივარდები, /და თოვლიც განზრახ არ მოვიდა, /რომ ამრეოდა/ საკულდაგულოდ აწყობილი დღეების რიგი, / და ზამთრისწინა ძილისათვის / გამზადებული, /როგორმე გარეთ გამოვსულიყავ... / ვახელდი თვალებს, / ისევ ვხუჭავდი, / მაგრამ მუსიკა/ უნაპირო ხდებოდა უკვე/და სანახევროდ გავღვიძებული, /მთვარეულივით მივეყვებოდი/სინათლის სხივებს“...

პოეტისათვის სულერთი ხდება თოვლის მოსვლა, რადგან გამოიღვიძა თუ არა, დიდი ხნის მივიწყებული მოტივი იცნო: „– ეს მე ვარ, მე ვარ!.. ველარ ვაკავებ! აფოფინებულ სიხარულს და/ წამოზრდილ ლოდინს, / ისინი ჩემგან გამოდიან/ შენს შესახვედრად... / ცოტაც და, ალბათ/ საპასუხოდ მომიძღვნი სალაშს!“

იგი „ბედავს“ მისი სულის ლაბირინთებში ხეტიალს, სიფრთხილისათვის თან გაიყოლებს უამრავ კითხვის ნიშანს, თუმცა წარმოსახვები სადღაც ქრებიან, რადგან უკან გამოქცეულს, ყოველ მხარეს, ესვეტება „კედლების რიგი და არსად კარი, აღარც ერთი კითხვის ნიშანი... ჩემივე კითხვის ნიშნებისაგან გადაკეთებულ ისრებს მესროდა ციცქნა ამური და კისკისებდა, კისკისებდა ნიშნისმოგებით...“

ლექსის მომდევნო თავში, პოეტი მეოცნებეს ფრთხილ სიარულს ურჩევს, რადგან – „... ხომ ხედავ, როგორ მობღავიან მანქანები, ქოთქოთებს ქუჩა, მუჯლუგუნებით წინ მიიწევენ ურიგო რიგი...“ და კიდევ: „...სულ ზეცისაკენ გაგირბის მხერა და შეიძლება, გაპრიალებულ სიყალბეზე ფეხიც ავისხლტეს! – ფრთხილად იარე, მეოცნებე, ფრთხილად იარე!“

ამ სიტუაციაში, საინტერესოა, ავტორის დროით გამოცდილი აზრი, – გამოჩენილი „მესამისადმი“; თურმე „...რადგან ოდითგან ორთა ენა, ერთადერთია დედამიწაზე, რომლის თარგმნაც არ ხერხდება მესამისათვის! მესამე მუდამ საშინლად ცდება!..“

თითქოს ბანალური ამბავია, როდესაც დიდი ხნის მერე, შინ დაბრუნებულს ხვდება სიმწრისგან დაბზარული ჭერი, ანდა „უპასუხო ზარების სევდა“, თითქოს არაფერია, მერე რა მოხდა, ხდება ხოლმე; მაგრამ – დიდხანს ვფიქრობდი, ჩემს წარმოსახვებშიც ვცდილობდი დამენახა „სიმწრისაგან დაბზარული ჭერის სითეთრე“, ის, თუ დაგმანული სარკმლიდან როგორ ასწყდებიან მის თმებს, ხელებს, უწივიან ყურთან მოგუგუნე ზარების ბგერები, – როგორ იხლართებიან ტელეფონის დახვეულ მილში, მწვანე

ფარდის ნაოჭები – ზედმეტად ხომ არ არის ფერები გამოუქებული?! არა, რადგან პოეტი გვარწმუნებს, რომ კისრისტეხით იმიტომ მირბიან, თურმე, რომ მიახარონ! – „იიიიიის დაბრუნდააააა!...“ შემდეგ კითხვისა და ძახილის ნიშნები ჩნდებიან, რომელთაც თან დიდი სიხარული ახლავთ:

„მან მითხრა, მიყვარხარო! / მე შევაგებე კითხვის ნიშანი./ მან სევდიანად გამიმეორა, – / მიყვარხარო, / მე კი პიკასოს გოგოსავით / ვეებერთელა კითხვის ნიშნის წერტილზე/ მდგარი, / წონასწორობას ვინარჩუნებდი... / მერე უჩუმრად ჩამომართვა კითხვის/ ნიშანი / და მის კაუჭზე/ ედა ჩემს თვალწინ/ ჩამოახრჩო სიყვარული!..“

კიდევ კარგი, რომ ნელლი აღმოჩნდა კითხვის ნიშანი, რადგან „მისი სხეული, და უვნებელი სიყვარული, ერთი წიოკით აფართხალდა მომლოდინე ოთხი ხელის ტახტრევანზე!..“

და გვრჩება, მარადიული უპასუხო კითხვა: რატომ, რისთვის იყო საჭირო უსასრულო დასაბუთება?!.. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ „მე“-ს უსასრულოდ ღრნიდა ეჭვები?! ყოფითობაში ეჭვი, ხომ, უამური რამაა, თავი არ უნდა შეაჭმევინო... თუმცა, როგორც დრომ გვიჩვენა, ამის შესრულება არც ისე იოლია... ამგვარი, რეალისტური პასაჟები ნათლად გვიჩვენებს პოეტის შეულამაზებელ ხელწერას, სინამდვილისთვის თვალებში ჩახედვის უნარს...

მისთვის სიმშვიდე მხოლოდ ყრუ კედლიდან შემოდწეულ ფიქრებს მოაქვს, რისთვისაც, საოცარია, მაგრამ მადლობას იხდის და იქვე ამატებს – შეურყენელ, შეუცვლელ, მხოლოდ გულტვინამდე უსაზღვროდ შეყვარებული ქალის მიერ წარმოთქმულ ემოციურ, სიმართლით ნათქვამს: „...აუმღვრეველი მხერისა და ლოდინისათვის – გმადლობ!“

ნაღვლიანი და დამაფიქრებელია ბალიშში თავჩარგული ქალის მდგომარეობა, რომელიც გათენებას ხსნასავით ელის; მომდევნო ფრაზა კი საყურადღებოა თავისი სიმართლითა და პოეტური თქმით: „... გმადლობ შენი ხალხმრავალი მარტოობისთვის!“ ეს ფრაზა შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული, თუმცა თავად გამოთქმა – „ხალხმრავალი მარტოობა“ – ძალზე დროულია და კარგად მიგნებული, ჩვენი დღევანდელი ყოფისთვის... საინტერესოა ლექსის დასასრულიც: „...ო, შენ ყოველდღე უგზოუკვლოდ აგზავნი ფიქრებს და ჯერ არ იცი, „რომ უწესრიგოდ ცაში მავალმა შენმა ფიქრებმა თვითონ მომნახეს“!..“

მეათე თავს „გაფრთხილება“ უღვეს საფუძვლად, რომელიც მკითხველმა შეიძლება გაიაზროს, როგორც ორ მოსიყვარულე გულებს შორის დამორებისგან გაჩენილი, წინდაწინ გათვლილი შედეგების პოეტური დრამატიზირება, ან უცხოეთში, უცხო მიწაზე წასული, გადახვეწილი ადამიანებისათვის გამაფრთხილებელი შეძახილი: „...უცხო მიწაზე, ძალიან დიდხანს ნუ დაყოვნდები! –/ ხომ შეიძლება, დაბრუნებულს, გადატრუსული დაგხვდეს მინდორი, /

წყალი – დამშრალი/ სახლი – დამწვარი/ მე კი სხვის ხელში გამოკეტილი! /და ნუ იფიქრებ, რომ ადვილია გამოხმობა სხვისი სულიდან! /როცა წახვალ სახეტილოდ/ გაიხსენე და იჩქარე სახლში – /უცხო მიწაზე, ძალიან დიდხანს ნუ დაყოვნდები!“/

ნაწარმოების ფინალში ავტორი, მიუხედავად ყველაფრისა, გასაოცარ ოპტიმიზმს ამჟღავნებს და თავის ადრესატს ომანიანად შეუძახებს: „ნუ სევდიანობ, /ნუ გგონია, რომ დასრულდა /უკვე ყოველი, / ჩვენ მხოლოდ შევერთით წამიერად/ თვალისმომჭრელ სინათლის ხილვით/ და თავები მიგაბრუნეთ სხვადასხვა მხარეს, /ნუთუ ვერა გრძნობ, – /ყველაფერი ახლა იწყება... /აი, თვალეები ეჩვევიან კამკაშა ნათელს!“/

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად, უცებ მოვლენილი კამკაშა ნათელი სიბრძნევას იწყებს და, კიდევ, კამკაშა სინათლეზე დანახული – მაინცდამაინც კარგი სანახავი არ არის...

პოეტის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია „სიმართლე“; ლექსის დედაზრს სათაურიდანვე ვგრძნობთ და უკვე ფსიქოლოგიურად „შემზადებულები“ ვხვდებით მის შინაარსს. ადამიანი, თავისი ცხოვრების გრძელსა თუ მოკლე დროში, დიდ ადგილს უთმობს სიმართლის ძიებას, საკუთარის თუ სხვისი სიმართლის დამტკიცებას, სიმართლისათვის თვალის გასწორებას; თუმცა, ხშირად, სიმართლეს ვერც ამტკიცებ და ვერც მოპირდაპირე მხარეს აჯერებ, ამიტომაც, ამ მხრივ, ადამიანებმა საქმე გაიიოლეს და რაც შეიძლება მყარად დაამკვიდრეს ფრაზა „ყველას თავისი სიმართლე აქვსო“; რა თქმა უნდა, ამაში ლოგიკური მარცვალი ნამდვილად არის, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როდესაც თეთრზე – მოწინააღმდეგე მხარე ამტკიცებს, გინდა თუ არა – შავიაო?!..

ლექსი კი ასე იწყება: „სუსხიანი ხარ, სიმართლე და /თვალად უსახო, /შეგხედავენ და გვერდს გვილიან /გულამრეზით, /ან კი რაზე წაუგორდებათ თვალი / ერთი დახვეული ეკლის ბურთი ხარ/ და სადაც უნდა მოგკიდოს ხელი, /სისხლისგან იცლება კაცი. /ძნელია, ძნელი შენთან ყოფნა, / ამიტომაც ავდიხარ ხშირად /მტვერში, ტალახში, / გათელილი და საცოდავი!... / რომ შეგძლებოდა /ხანდახან მაინც გეცვალა ფერი/ იქნებ, ახლა, შენც ყოფილიყავ /თბილად და მშვიდად... /და ზოგჯერ, ცრემლით /მევისება თვალი, /როცა ვუყურებ, / რჩეულთა მკერდზე, /როგორ იზრდება/და როგორ ყვავის/სისხლის ყვავილი! /მე ცრემლებს ვმაღავ, /რადგან სიმართლეს/ არ შევნიხ ცრემლი, /მე ვიხრები და/ სისხლიან ალაშ/ასევე უხმოდ /გადავცემ მერმისს“.../ გრძელდება ისევ შავ-თეთრის ომი!“

ლ. ჯაფარაშვილის შემოქმედებიდან დაუსრულებლივ შეიძლება მოვიტანოთ მაგალითები, სადაც იგი სწორედაც მოქალაქეობრივ პოზიციას გამოხატავს და მკითხველსაც, მისდაუნებურად, შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ სულისკვეთებით მსჭვალავს. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას – ეს მისი კრეაია.

„...ვერ შეგატოვებთ ამღვრეულ ღვარებს, / დაბოლილ ფიქრებს, უაზრო მზერას... / – ბავშვებო, ჩქარა გამოდით გარეთ, / ცის მოსაძებნად მიმყავხართ ყველა!“

წლებია ქალბატონი ლალი, როგორც პოეტი და გამორჩეული აღმზრდელი, პედაგოგი – ეპატიჟებათ და თავად მიუძღვის მოზარდებს „ცის მოსაძებნად“, სამყაროს შესაცნობად... 2010 წელს, გაზეთ „გაზაფხულის“ ნორჩი კორესპონდენტი, მარიამ ინჯგია გულწრფელი განცდით წერს: „... მცოლდა, სანამ მის (ლ. ჯაფარაშვილს) ლექსებს წავიკითხავდი და როცა წავიკითხე, უეცრად გავთბი. ჭრელა-ჭრულა ყვავილების აურზაურმა, ქედნებისა და მოლალურების სიმღერამ, შაშვების სასიყვარულო გადაძახილმა გამათბო და კიდევ იმ სიტომბ, თითოეულ ლექსში რომ ღუოდა... ვკითხულობდი მის ლექსებს და ვინანე, მანამდე რომ არ ვუსმენდი ჩიტების ჟღერტულს, მანამდე რომ არ შემიმჩნევია, როგორ ესიტყვებიან მიწას იები, ენძელები, ფურისულები... მისი ლექსები თითქოს რაღაცას გახსენებს, ძველს, მშობლიურს, ძალიან ახლობელს. მე ჩემს პატარაობას, სოფელში გატარებულ დროს...“

2013 წელს გამოცემლობა „ანბანმა“ გამოსცა პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო ლექსების კრებული „შენთვის ვიზრდები, მამულო!“

მხატვარ რუსუდან ჩიკვაძე-ველლავრეს მიერ შესრულებული – ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა, „პერსონაჟთა“, ნახატებით, რომლებიც სრულყოფილად გამოხატავენ პოეტის საოცარი სიტომთი გაჟღენთილ სტრიქონებს. კრებულში 76 ლექსია, ცალკეა – მინიატურები, ენის გასართომები, გამოცანები. ლექსები წელიწადის დროების მიხედვითაა დაყოფილი, რომელთაც „საზღაპრეთის ამბები“ მოჰყვება; ცალკეა წარმოდგენილი, ავტორის მთავარი სათქმელის, ასე ვთქვათ, გამაერთიანებელი თავი: „შენთვის ვიზრდები, მამულო!“

წაკითხულით, უცილობლად დაუზბრუნდებით ბავშვობის ულამაზეს წლებს, რადგან პოეტი გასაგები ენით, ლაკონურად ესაუბრება პატარებს, არ აკლებს დარიგებასა და იუმორს, რაც მთავარია, პირველ პირში ნათქვამი – „მათი სათქმელი“ კიდევ უფრო გვაყვარებს პატარებსაც და ავტორის შემოქმედებასაც, რომელსაც მათი ასე კარგად ესმის:

„გიო დადგა, ხე წაიქცა, / აბა, გიო, გამაგრდი / ვდგავარ, მაგრამ ახლა რა ვქნა? / ჭირის ოფლი გადამდის...“

„ – სანამ შენი გავხდებოდი /სად ვიყავი დედა? / – იმ დაღანა ვარსკვლავებთან /ცის თალზე რომ ხედავ! / – მერე როგორ ჩამოვედი, / ფრთები მქონდა წინათ? / – ანგელოზმა მოგიყვანა, / ჩემო პაწაწინა! /ანგელოზი როგორია? /მინდა ვნახო, დედა! /დაიძინე და სიზმარში /შენთან მოფრინდება!“

„ – ცუგა, ჩემო თვალისჩინო, /უნდა გაითვალ-

ისწინო./ – ჩემს ბებიკოს როცა სძინავს,/არ აიკლო ყეფით ბინა! / – თუ იყეფებ კიდევ,/არ ჩაგირთავ ვიდეოს!“

„კაკი-კუკი, კაკი-კუკი, / ხეს გაუჩნდა მატლი თუკი/ წამსვე დასვამს დიაგნოზს, – /მის სამყოფს რომ მიაგნოს,/ხეკაკუნა პატარა/იწყებს ოპერაციას... /კაკი-კუკი, კაკი-კუკი /ნისკარტი გაქვს /ბასრი თუკი/ და კოდალას /გული თუ გაქვს,/რას დააკლებს/ მატლი მუხას!“

„ნახეთ, როგორი ბიჭი ვარ,/დათვი ყურებით მიჭირავს!/ ლომს ხელს ჩავავლებ ფაფარში! /კოვზს ამოვურევ ფაფაში.../ ზღვას გადავცურავ მხარულით,/ ჩემს გაზრდას ელის მამული!...“

და, აქვეა პატრიოტიზმით გამსჭვალული ლექსი „მოვუაროთ საქართველოს“; „პატარებო, ყური მიგდეთ, /სანამ უცხო მთივლიდეთ, /ჯერ მამული უნდა ნახოთ,/ მისი ტყე და მისი ახო,/ მისი მთა და ლილოჭრილო, /მზეზე ცვარი მოციმციმე. /ნაბიჯ-ნაბიჯ მოიხილოთ, /კუთხე-კუნჭულ, ამერ-იმერ.../ გულის ძარღვი მოუნახოთ/ დედა ენას, ზღაპრულ ჰანგებს, /მერე კრძალვით მიეახლოთ, /ტადრებსა და ფოლიანტებს./ ცისქვეშეთში, უფლის ნებით, /ყველა თავის წილხვედრს იცავს,/ჩვენ ღვთისმშობლის მიწა გვერგო,/ მოვუაროთ ამ საფიცარს!“

არაჩვეულებრივია ლექსები: „ენძელა“, „ზამთრის სიმღერა“, „ქარი და ღრუბელი“, „ნათლისღების თოვა“, „აიჩალება სიმინდი“, „წიწკანები წვიმაში“, „ზამთარი“, „ცივა“, „თაგვების ამბავი“, „ქარი და ციყვები“, „კნუტები“, „გიგას ცივა“, „გადაყვითლდა მუხნარი“, „ჭინჭველების ომი“, „მზეკაბა“, „პაპამ თქვა“ და სხვა. თუნდაც, მინიატურა „კარგი სიზმარი“:

„ნიავე არას ერჩოდა,/ თხილმა ისკუბა ჩეროდან,/ მოლს შეურხია კალთა და/ ნეშოზე მოიკალათა.“

„გოგრა იგივე კვახი /რომ დაიკარგოს,ახია! /წავა, გაჰყვება ხის ძირებს/და სხვის ბაღში იძინებს.“

„იფოფრება ჯეჯილი /კალთა შემოგლეჯილი.../ ვერას გახდა მშიერ ხართან,/ „დაუმოკლდა კაბის კალთა!“

„გოჭი ჭყვივის მეტიჩარა,/ გასატყეპად ატეხილი, /გაგონილა ბევრი ჭამა /ქარნაყარი მკვახე ხილის?“

ვერაფერს დაუწუნებ ენის გასართომებს; მაგალითად: „კვირას კურდღლების პიკნიკზე, /კაკ-აბმა ვერცხი დაკარგა, /კორდისიმღმა მოისაკლისა, / ჩამოკრიახნდა კარდაკარი!.. /კუმ, ბეკეკამ და კალიამ /ჩხრიკეს კომბოსტოს კვალა, /ჩხრიკეს ასკილის ბურქები, /კორდისპირ ბილიკ-ბურქები... /გაჩხრიკეს კორდის კალთები /მოლის ხასხასა ნატები, / განა ბეკეკამ, კალიამ,/ იმ კაკბის კვერცხი – კუმ ნახა!“

ეს ყველაფერი – შეცნობილი თუ შეუცნობელი ფერების, ფაქტების პოეტური თუ კითხვისმიერი სამყარო, ხან მხიარული, ხანაც სევდიანი, მოზარდებს ჩვენს ქვეყანას, ხალხს, ბუნებასა და ტრადიციებს აყვარებს.. აფიქრებს ღმერთის მიერ შექმნილ საუ-

ფლოზე... და როგორც ბატონი აკ. ბაქრაძე წერს: „...კეთილი საქმე მაშინ იძენს ღირებულებას, როცა იგი მართალია და გულწრფელი. სხვანაირად მწერლობა უქმი შრომაა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერება შეუძლებელია იყოს ცრუ და ორპირი“.

ლ. ჯაფარაშვილის ნაწერები გამოირჩევა არა მარტო ინდივიდუალური პოეტური ხერხებით, არამედ მდიდარი ლექსიკით, რომელიც მუდმივად თვალში-საცემია. მაგალითად, ბავშვებისათვის დაწერილ ლექსებს ყოველთვის ახლავს გარკვეული სიტყვების განმარტებები; ყველა ერთად შეკრებილი კი ქმნის მოკლე ლექსიკონს, რაც ასე აუცილებელია დღევანდელი მოზარდებისთვის. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება მათი გაცნობა: აიჩალება, ახო, ბზე, ბია, ბინული, გორმანი, ერდო, ერკემალი, ზაფრა, ზვარი, თრთვილი, იაბო, ისხარი, კუნელი, ლეგა, მემპტიანე, მთიები, ნარიყი, ნატი, ნაურდოვალი, ნეშო, სარეკელა, ფარტენა, ფოლიანტი, ფმანი, ქედანი, ყინჩვა, ჩერო, ჩოტი, ჩქერი, წიწკანა, ხალთა, ხარიხა, ხვიმირა...

სავსებით ბუნებრივია, რომ პოეტი შიო მღვიმელის სახელობის ლიტერატურული პრემიითა და ჯილდოებული, ასევე დიპლომებითა და სიგელებით. ერთ მცირე ზომის ლექსში იგი წერს:

„თივით დავხურავ, პატარა ქვითკირს,/ ფერების ტვერში დავიდებ ბინას,/ როგორც ბუდისთვის ჩიორა ჩიტი,/მიწას და ბუმბულს მოვზიდავ ფრთხილად, / ჩემს სათქმელს მაინც ვერავინ იტყვის, –/


ყველას თავისი სათქმელი სტკივა!“

ღიახაც, ქალბატონმა ლალიმ შესაშური ოსტატობით, საოცარი სიღინჯითა და მოთმინებით, თავმდაბლობით, სიყვარულით მოგვიტანა თავისი სათქმელი, რომელსაც თან ახლავს სევდიან-სიხარულიანი დღეების გამოძახილი. იმედი არის ერთადერთი რამ, რაც შეუძლებელია ადამიანში გაანადგურო. სწორედ ამიტომ შეუძახებს პოეტი ყველა იმედდაკარგულს:

„...ღმერთი განიშნებს, – /უფლის ხმას ენდე, /ბევრს ნახავ შენზე /ტანჯულს და ნაგვემს, /ყური მიაპყარ /ყინულის კედელს/ და სასომხდილოთ/ მიექომაგე... /იმედით სავსე, /ბედნიერ წუთებს, /უბრუნებ სხვებს/ და ნათელში სახლობ!“.

მისთვის – „...ცა სამომავლო ჩემი სივრცეა,/იმ სივრცეებში უკვე მიცდიან... /თუმც მიწა ბრწყინავს მოლის ნოტებით,/ მე ცის ბილიკით მოვემართები!“

ძალიან ლამაზია ეს წარმოსახვა, განცდა – სიტყვით მოტანილი, მაგრამ ჯერ ძალზე ნადრევი ფიქრი და ნოსტალგია „ცის ბილიკებზე“, რადგან ლ. ჯაფარაშვილი – შესანიშნავი ადამიანი, პიროვნება, კოლეგა, მამულის, ქართული სიტყვის უსაზღვრო მოსიყვარულე – ისევე სჭირდება ქართულ პოეზიას სადარბაჯოდ, მომავალ თაობას მრჩეულად და მასწავლებლად, სამეგობრო, სანაცნობო წრეს – მშვენიერი ქართული იერითა და ოჯახისშვილობით.



* * *

ცხოვრებას განვლილს რომ გავყურებ,
ხან ნისლიანს და ხანაც მზიანს,
გაოგნებული ვრჩები ხოლმე,
რამდენი შეცლომა დამიშვია.

უკან მიხედვის მეშინია,
როგორ მივლია მე ამ გზაზე,
ასაკში ვიყავ თუ უასაკო,
შეცლომას ვუშვებდი შეცლომაზე.

ასეთი კერპი რამ გამხადა,
ვფიქრობ და ველარ გამიგია,
არავის რჩევა-დარიგება
არასდროს ყურად არ მიღია.

ნეტა ვის ვედექი ასე ჯიბრში,
რატომ ვიყავი ასე ხელი,
ჩემი გამქონდა ყოველთვის და
ვიყავი ამით ბედნიერი.

წამში დავუშვებდი შეცლომას და
მერე სინანულით ვბრუვდებოდი,
მთელი ცხოვრება შეცლომების
გამოსწორებას ვუნდებოდი.

ცხოვრება მიდის ძველებურად,
მაგრამ ვერაფერში ვხედავ ნუგეშს,
ვფიქრობ და ველარ გამიგია,
ამდენ შეცლომას რატომ ვუშვებ.

მოდით და მოდით. შეცლომებო,
კვლავ არ მოხვდეთ, ნუ ჰქნას ღმერთმა,
რა კარგები ხართ, რომ იცოდეთ,
მოგროვილები ყველა ერთად.


ქვაკაცა

*კლდეებზე მდგარ, კაცის გამოსახულების
მსგავს სვეტებს აჭარაში ქვაკაცებს ეძახიან. ერთ-ერთია
ჭვანის ხეობაში მდებარე 10-მეტრიანი კლდის ქვაკაცა...*

ქვაკაცა, მომხვიე მზისფერი ტორები,
მიწას დარდის ბელტად შეზრდილი.
ღრუბლები მოედნენ ცას ზანტი ზმორებით,
სითეთრე ფსკერისკენ შეზიდეს.
რა ცოდვით მიჰკერიხარ კლდეშუბლა გორაკებს,
რა სისხლი გიმძიმებს მუხლებს,
მღუმარედ გაჰყურებ ხევისპირ ორ-სამ ხეს,
შენკბილა არყებს და მუხებს...
იციან ტყის ძილის დამფრთხობა ყორნებმა
ქვადქცევის მიზეზი შენი,
გწამლობ და ხავსს გაცლი,

რომ გულზე მოგება,

ქვა ხარ და ვერაფერს გშველი.
ქვაკაცა, შემძიქხ სალი კლდის ოდაში,
ვიქნები ქვისფერი სარძლო,
ქარი სურვილებად ყველა ქვას რომ დაშლის,
შენ ჯადოს აიხსნი ამ დროს.
იქნებ თქვა, რა მზერამ გაქცია დეკაცი –
რა წყევლამ, ცა – მიწის ქარგად,
ცხოვრობდე ღრუბლებში და მიწას ვერ ასცდე,
თან კაცი იყო და თან – ქვა.
ქვაკაცა, მომხვიე მზისფერი ტორები,
შემეხე, სამყაროს ხნისავ,
მე გეტყვი, რა სიზმრებს ხედავენ ცოლები,
როცა კაცები ჰყავთ ქვისა...



ივანე ჯაფარიძე,

ქართული ცეკვის რაინდი

საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი, დავით აღმაშენებლისა და
ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

ქართული ცეკვის რაინდს თენგიზ უთმელიძეს 2018 წლის 24 მაისს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. ძალზე ძნელია, გამორჩეულ და ღირსეულ პიროვნებას საიუბილეო დღეს შესაფერისი სიტყვებით მიმართო ან მისი შემოქმედება ისე შეაფასო, როგორც ის იმსახურებს, მაგრამ ახლო მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებული ვარ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა დიდებულ მოცეკვავესა და მსახიობზე, სუბიშვილების ანსამბლის ოქროს ხანის გამორჩეულ სოლისტზე, საქართველოს დამსახურებულ არტისტზე, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტზე, ქართული ქორეოგრაფიის მემკვიდრეზე, არაერთი წიგნის ავტორსა და რედაქტორზე, თავმდაბლობითა და არისტოკრატიული სულისკვეთებით გამორჩეულ სამაგალითო პიროვნებაზე – თენგიზ უთმელიძეზე.

დაუჯერებელია, რომ თენგიზ უთმელიძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება, რადგან იშვიათად მეუღლეა ადამიანი, რომელიც ასეთი სილაღით, ამადლებული სულიერებით, სპორტული სიმსუბუქითა და სილამაზით დააბიჯებდეს საქართველოში.

თენგიზ უთმელიძემ მთელი ცხოვრება უხმაუროდ, ჭეშმარიტი ქართველი რაინდის ძალმოსილებით განვლო, იღვანა ქვეყნის სასიკეთოდ, მრავალ ეროვნულ საქმეს უანგაროდ, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე ჩაუყარა საფუძველი, რითაც საზოგადოებაში დიდი სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა დაიმსახურა.

1957 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მოსკოვის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობისას, ილიკო სუბიშვილმა და ნინო რამიშვილმა სცენაზე იხილეს ულამაზესი გარეგნობის მოცეკვავე და მყისვე ჩარიცხეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში, თენგიზ უთმელიძის ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა ქართულ ცეკვას, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა მრავალი ინტერესიც

გააჩნდა.

თენგიზ უთმელიძემ სუბიშვილების ანსამბლში ყოფნისას დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70 ქვეყანა, აქ ჩამოყალიბდა იგი პროფესიონალ მოცეკვავედ და წამყვან სოლისტად, სადაც ბედმა არგუნა ყოფილიყო ცეკვა „ქართულში“ ლეგენდარული ნინო რამიშვილისა და დაუეციყარი სოლისტების – ლატაერა ფოჩიანისა და იამზე დოლაბერიძის პარტნიორი. ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით იგი წერდა: „ცეკვა „ქართულს“ მაგიური ძალა გააჩნია, იგი მშვენიერაა ქართული ხალხური ქორეოგრაფიისა, რომელიც შექმნილია უძველეს ხანაში. იგი დღესაც ერწყმის თანამედროვე ყოფას. ამ მხრივ ცეკვა „ქართული“ მსოფლიო ფოლკლორის შედეგია.

ვისაც „ქართული“ უცეკვია, არ მგონია რომელიმე მათგანს ძალუბდეს გადმოსცეს ის უხილავი და საოცარი განცდა, რომელიც ქართველი ერის ისტორიის ამ დიდებულ საუნჯესთან შეხებისას ეუფლება ადამიანს. ეს თითქმის შეუძლებელია.

მადლობა უფალს, რომ მაზიარა ამ ღვთაებრივი ცეკვის მაღლს, მომცა ძალა და უფლება, წლების მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე შემხურულებინა ხალხური ქორეოგრაფიის ეს საოცრება ლეგენდარულ ნინო რამიშვილთან, აგრეთვე ბრწყინვალე და განუმეორებელ იამზე დოლაბერიძესა და ლატაერა ფოჩიანთან ერთად“.

ცეკვა „ქართული“, გარდა იმისა, რომ თენგიზ უთმელიძისთვის უზარმაზარი განცდის მატარებელია, იგი მუდამ ეძიებს არა მხოლოდ მის ისტორიულ ძირებს, არამედ აგროვებს ყველა იმ გამონათქვამსა თუ შეხედულებას, რაც ცეკვა „ქართულის“ შესახებ დაწერილია ჩვენში თუ საზღვარგარეთ. აი, მის მიერ მოპოვებული რამდენიმე ნიმუში:

ნინო რამიშვილი: „არის ცეკვა, რომლის ანლებურად გააზრება კი არა, ხელის ხლება არ შეიძლება. „ქართულში“ ისევეა გაბრწყინებული ჩვენი ხალხის

გენია, როგორც შეუდარებელ „ვეფხსა და მოყმეში“, ვერ დააკლებ რამეს, ვერც მიუმატებ“.

გარდა ამისა, 1998 წლის 29 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში „მადლიერი შევირდი“, თენგიზ უთმელიძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქალბატონმა ნინო რამიშვილმა ჟურნალისტ ვილენ მარდალეიშვილს განუცხადა:

„მამ სამოცი წლისაა თენგიზი. იგი კარგა ხანს იყო ჩვენი ანსამბლში. სამაგალითო ადამიანური თვისებები და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა, შესანიშნავ სოლო ნომრებს ასრულებდა. ერთი ხანობა პარტნიორებიც ვიყავით – „ქართულს“ ვცეკვავდით. ვისურვებდი, რომ ჩვენი ანსამბლის ახლანდელ თაობაში და მომავალშიც ბევრი ყოფილიყოს თენგიზის სადარი პიროვნება და პროფესიონალი“.

როცა გრიგოლ რობაქიძემ 1962 წელს ქ. ჟენევაში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტზე ცეკვა „ქართული“ იხილა, გულის სიღრმიდან მთელ მსოფლიოს შესძახა: „ეს ცეკვა „ქართულია“, მას სხვა ვერაზინ იცეკვებს, ვერაზინ, ქართველის გარდა, რასსა არ ეყოფა!“

1967 წელს იტალიის ქალაქ რომში გასტროლებისას, ანსამბლის ერთ-ერთი კონცერტს ესწრებოდა „სანტა მარია დელა გრაციას“ ტაძრის მსახური, რომელმაც ცეკვა „ქართულის“ ხილვით აღფრთოვანებულმა, ასეთი რამ თქვა: „**ცეკვა „ქართული“ ისეთი ამაღლებული, სანეტარო და წმინდაა, შეიძლება ვატიკანში, რომის პაპთან იცეკვოთ!**“

ვინ იცის, ქართულ ცეკვაზე რამდენ ასეთ უნიკალურ გამონათქვამს მოუყარა თავი თენგიზ უთმელიძემ. სწორედ ცეკვა „ქართულით“ მსოფლიოს აღფრთოვანება, ამ ცეკვის შინაარსი, სიღრმე და სინატიფე გახდა მისი პოეტური შთაგონების წყარო, როცა 2017 წლის 25 დეკემბერს ეს ლექსი უძღვნა ქართული ქორეოგრაფიის მშვენიერებს:

ოდა ცეკვა „ქართულს“

ცეკვა „ქართული“ – ღმერთთან მისული, მძლავრი ფეთქება, ანთებულ გულის, ცეკვა „ქართული“ – გამობრწყინება და სიმფონია, ივერთა სულის.

ცეკვა „ქართული“ – უსპეტაკესი, პლასტიკით თქმული ვნება ფარული, ცეკვა „ქართული“ – სისხლში მბორგავი, ლექსი, სიმღერა და სიყვარული.

ცეკვა „ქართული“ – კდემით შემკული, უტყვი ტრფიალი ვაჟის და ქალის ცეკვა „ქართული“ – გულთამყრობელი, ხილული შეყრა მზისა და მთვარის.

ცეკვა „ქართული“ – უძირო სიღრმე, ფესვები მისი წარსულში მიდის, ცეკვა „ქართული“ – უზადო შერწყმა,

რაინდობისა და სინატიფის.

ცეკვა „ქართული“ – თვალმარგალიტი, მშვენიერება – გზნებაჩართული, ცეკვა „ქართული“ – ჩვენი საუნჯე, საუკუნეებს გადახლართული.

ცეკვა „ქართული“ – სრულყოფილება, როგორც ტაძარი ცამდე ასული,

ცეკვა „ქართული“ – წინაპართ სუნთქვა, გაცოცხლებული ჩვენი წარსული.

ცეკვა „ქართული“ – ღვთით ნაბოძები, ქვეყნის განძი და ერის ხატება,

ცეკვა „ქართული“ – ბეჭედი „რასსის“ და სილამაზის გამოცხადება.

ცეკვა „ქართული“ – ძეგლი-შედევრი, დიდებულება და სასწაული,

ცეკვა „ქართული“ – ხალხის გენია, მარადიული დღესასწაული.

ცეკვა „ქართული“ – წყარო ანკარა, სულის მალამო, მადლი უფლისა,

ცეკვა „ქართული“ – როკვის გვირგვინი, უკვდავი ჰიმნი სიყვარულისა!

რაინდული სულის მქონე თენგიზ უთმელიძის დახვეწილმა არტისტიზმმა, შესრულების მაღალმა კულტურამ, სცენური გარდასახვის უნარმა, კეთილშობილებამ და ტემპერამენტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შექმნილ ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება“, ქალბატონმა ნინო რამიშვილმა და ბატონმა ილიკო სუხიშვილმა ტარიელის შთამბეჭდავი სცენური სახის შექმნა სწორედ თენგიზ უთმელიძეს დააკისრეს, რაც მან ბრწყინვალედ განახორციელა თავის მეგობრებთან და პარტნიორებთან – თენგიზ



ნინო რამიშვილი, თენგიზ უთმელიძე – ცეკვა „ქართული“

სუხიშვილთან (ავთანდილი), ფრიდონ სულაბერიძესთან (ფრიდონი), ლატავრა ფოჩიანთან (ნესტანდარეჯანი), ნინო კირვალიძესთან (თინათინი), მანანა აბაზაძესთან (ასმათი) ერთად.

თენგიზ უთმელიძემ არა მარტო ქართულ ცეკვას, ქართულ კინოსაც გადაუხადა ხარკი. მან აბესალომის როლი შეასრულა რეჟისორ სიკო დოლიძის მიერ გადაღებულ ქართულ მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“. ასევე მიწვეული იყო მთავარ როლზე ფილმში „ნინო“, მაგრამ როცა დადგა საკითხი – ან ცეკვა, ან კინო – თენგიზ უთმელიძემ ცეკვა არჩია და ანსამბლის ყველა წარმატებას მრავალმხრივი ნიჭიერებით, კალმით, კინო თუ ფოტოაპარატით აღწერდა და აფიქსირებდა.

თენგიზ უთმელიძე ავტორია 1970 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ანსამბლის მოგზაურობის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმებისა. გამოაქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნარკვევი, წერილი, სტატია, ნოველა. წლების განმავლობაში იყო ქართული გაზეთების სპეციალური კორესპონდენტი საზღვარგარეთ, უცხოეთის ქვეყნებიდან ოპერატიულად აგზავნიდა წერილებსა თუ ფოტორეპორტაჟებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლების შესახებ. „სუხიშვილების“ ანსამბლის შემოქმედებით წარმატებებზე შექმნა უნიკალური ფოტომატთანე, რომელიც 32-ჯერ გამოიფინა თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

თენგიზ უთმელიძემ ცეკვის პარალელურად დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. შემდეგ კი, სხვადასხვა წელს, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროში, სახალხო განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებში, საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირში; 2001-2010 წლებში იყო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ – თავმჯდომარე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ გენერალური დირექტორი. ქართული კულტურის დღეების კოორდინატორი სან-დიეგოში (აშშ, 1999 წ.), სტამბოლში (თურქეთი, 2001 წ.), მოსკოვში (რუსეთი, 1998 წ.).

აღსანიშნავია, რომ თენგიზ უთმელიძის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2005 წელს საქართველოში დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, რომელიც ყოველწლიურად 11 ივნისს აღინიშნება, როგორც მოცეკვავეთა პროფესიული დღესასწაული.

ახლა, როცა 80 წლის საიუბილეოდ თენგიზ უთმელიძის მიერ განვლილი ცხოვრების გზას კიდევ ერთხელ გადავაკვლე თვალი, უფრო მასშტაბურად და

სახიერად წარმოჩინდა არისტოკრატიული თვისებების მქონე ღირსეული ქართველის ეროვნული მუხტი და თვალსაწიერი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის ფასად ქმნიდა უდიდეს საგანძურს, რომელიც წლების შემდეგ წიგნებად აკინძა და სუხიშვილების ანსამბლის 70 წლისთავის აღსანიშნავად, თავის ქვეყანას, საყვარელ ქართველ ხალხს საგანძურად დაუტოვა „რომანტიკული ფოტომატთანე – სუხიშვილები“ და „როკვით განფენილი ქართული გენია“, რითაც გააცოცხლა და ისტორიას არ დაუკარგა ქართული ცეკვის გენიალობა, ამ ლეგენდარული ანსამბლის „ოქროს ხანის“ ქალ-ვაჟთა უღამაზესი სახეები და მსოფლიოს აჩვენა ქართული ჯიშის უკვდავება.

თენგიზ უთმელიძის პიროვნული ნიბლი, სულიერი და ხორციელი სილამაზე, საოცარი კეთილშობილება, თავმდაბლობა და თანდაყოლილი არისტოკრატიზმი არაერთხელ გამხდარა მრავალი პოეტის შთაგონების წყარო, რასაც ადასტურებს მათი ლექსებიდან აქ მოტანილი ამონარიდები, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს ამ მართლაც ქართული ცეკვის რაინდის მიმართ.

ვულოცავ საყვარელ მეგობარს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ კვლავ ჩვეული ღირსებითა და შემართებით ევლოს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის კიდით კიდემდე.

მზია ხეთაგური – ქართულ ცეკვას – თენგიზ უთმელიძეს:

„შენ ქართულ ცეკვას დაუჩოქე და შეაბერდი, ვით ბრძოლის ველზე, არასოდეს დაგიკენესია, თვალთა ნაპერწკლებს, ხანჯლებივით, ცეცხლად აფრქვევდი, თუმც სააკაკაცოდ სიტყვა არსად აგიღესია“!

მიმოზა ცანავა – თენგიზ უთმელიძეს:

„თითქოს ფეხის წვერებზე მწველმა მზემ აიწია, მზერამ გამოაგნა და ღუელში გამიწვია. რა ნატიფი ნაკვთები, რა ნიბლი და რა ეშხი, ცერს შემდგარა მიმინო და თვალებით თავს გვესხმის.

ქართველი ძე ძლიერობს, ან ვინ წაშლის ამ იერს, როგორ არ მოგეფერო, ჩვენი დროის ტარიელს“!

ია სულაბერიძე – თენგიზ უთმელიძეს:

„სილამაზეს არ გაუდის ვადა – ასეთია უმაღლესი ნება, მოისმინე – მართალი და სადა – ქალისაგან მამაკაცის ქება: რა ვქნა, თუკი ვძველვმოდურობ ჯერაც და მიწაზე ვარსკვლავების არ მწამს, მთლად დიდ ცარგვალს შემოვავლო მზერა, – ვერ ვიპოვნი შენებრ ლამაზ ვარსკვლავს“...



პატიმრებისადმი...

მსჯავრდადებულთა დაწესებულებაში ოთხჯერ ვიყავი პატიმრებთან შეს-
ახვედრად, ორჯერ მამაკაცთა, ორჯერ – ქალთა კოლონიაში. ოთხივეჯერ
დანაშაულის განცდამ შემიპყრო, რადგან ვიგრძენი, რომ „თავისუფალ ზონაში“
მყოფნი არაფრით არ ვართ „შეზღუდულ ზონაში“ მოქცეულებზე უკეთესები.

ბოლოს ეს შეხვედრა შედგა 2017 წლის ოქტომბერში. ჩვენ შევხვდით იმ
პატიმრებს, რომლებიც ლექსებს წერენ. მათ შორის აღმოვაჩინეთ რამდენიმე
მართლაც პოეტი.

გული შეშეკუმშა, მაგრამ ამაყი ვიყავი მათი ნიჭიერების გამო.

შეხვედრაზე მიგვიწვიეს მე, ერეკლე საღლიანი, ზაურ კლანდია და მადონა
დვალი, რომელიც დედის ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო შეხვედრას და
ძალიან შეწუხებულმა, დეტალურად გამოძკითხა, თუ როგორ ჩაიარა „პაემანმა
პატიმარ პოეტებთან“.

ზაურ კლანდიამ (პროზაიკოსი, ჟურნალ „რივის“ მთავარი რედაქტორი)
თავის ჟურნალში ორი მსჯავრდებულის ლექსები გამოაქვეყნა და ჟურნალი
ავტორებს გადასცა, რითაც მათ ყოფას სხივი შეემატა...

ეს ლექსი კი 40 წლის მანძილზე მათთან ხანგამოშვებული შეხვედრებით
გამოწვეულმა განცდამ დამაწერინა.

როცა ხეები გაღმა ხმებიან...

თვალს ნუ მარიდებთ, – არ გეგონოთ, რომ თქვენზე უკეთ
ვიცი, რას ნიშნავს პატიოსნება...

თქვენ დაგივიწყეს, მიგატოვეს, გაგწირეს უკვე
ყალბი სპექტაკლის რეჟისორებმა!

თქვენ მოგათავსეს გალიებში, სადაც ფიქრისთვის
დრო, საკმარისზე უფრო მეტია...

თითქოს ჩასული მზეები ხართ სადღაც, მთის იქით
და თქვენთან ახლოს – მხოლოდ ღმერთია!

ჩვენ კი, გამოღმა ვიტყუებით, ვხოცავთ ერთმანეთს
სიტყვით, ღალატით! ვცრუობთ და ვცოდავთ! –

თითქოსდა, ვალი კაცობისა სულ არ გვემართოს,
ან თქვენ რომ გმართებთ, იმაზე ცოტა!

არ ღირს ზეიმი ამ ნაპირზე აურზაურით,
როცა ხეები გაღმა ხმებიან...

თქვენ დაგიმტკიცეს ჩადენილი დანაშაული,
ჩვენ კი, ჯერ არ დაგემტკიცებია!

ჩარჩოში ჩასმული სული

* * *

ზაფხულში თოვლი უკვალოდ ქრება,
ვითარც სიზმარი, ზმანება ღამის,
მაგრამ არსებობს რაღაც ამქვეყნად,
მსგავსი სიცოცხლის უკვდავი წამის.
ვისაც უყვარდა, თუნდაც წარსულში,
მიუხედავად დროის სიმუხთლის,
წყენის, ტკივილის, ღალატით წარღვნის,
ამ გრძნობას ჟამი კუბოს ვერ უთლის.
გული ჩვენს მკერდში მუდამ ძველს ობლად,
ის საყდარია უკვდავი გრძნობის,
გული თვის წიაღს არასდროს ბილწავს,
მხოლოდ მას შესწევს უნარი ცნობის.
გულს თუ დამკვიდრდა წმინდა სახება,
ჩვენსავე აღსასრულს იქ შეესწრება,
მისივე ნებით ამ ურყევ რწმენას
მწამს, ვერაფერი ვერ შეედრება!

სარკე

სარკის თვისება საუცხოოა,
ის არასოდეს სტყუის და სცრუობს –
რასაც იხილავს, იმასვე გვამცნობს,
ის მოჩვენებით ვერაფერს ჰგუობს!
სარკეს ნიჭი აქვს, იცის გარჩევა,
ის თეთრსა და შავს არასდროს ურევს,
მოთმინებითაც გამოირჩევა,
ჩვენს მოქმედებას არასდროს უსწრებს.
სარკე მინაა, ძგიდე-გამყოფი,
სააქაოს და მის მიღმა მყოფის.
იგი ჩვენსავე ნაკლს მზერას წარუდგენს,
და რჩევას გვაძლევს თავის სრულყოფის.
სამწუხაროა, რომ სარკე სულ სდუმს,
თუმცა თვალნათლივ გვიხსნის ყველაფერს.
ის არ თვალთმაქცობს, არასდროს სცრუობს,
ნანახს კი, სახელს არგებს შესაფერს!

* * *

გულის სიღრმეში არსებობს მღვიმე,
კაცის გონების მიუწვდომელი...
და იმ მწყვდიადში ბუღობს სინდისი,
ხელშეუხებელი, მიუღლომელი.
მხოლოდ ის არის ჩვენი მსაჯული,
მოსამართლევ და ჯალათიც ჩვენი!
და თუ შევცოდავთ, მას ეწიფება,
მოგვთხოვოს ცოდვა სხვა – დანარჩენი!
საკუთარ ცოდვებს ვამრავლებთ ჩვენვე,
მათი მალვით და ნიღბის მორგებით,
ცილისწამებით, სხვათა გაჭორვით,
და გაბღენძილნი ნარდის მოგებით!
მაგრამ ჩვენს სინდისს ვერ გავაბრიყვებთ,
ის არც ქრთამს იღებს და არც ტყუვდება,
მახეს დაუგებს გაქნილს და თაღლითს,
ბოროტების მქმნელს წინ აღუდგება!
გულის სიღრმეში, სამსხვერპლო მორზე,
სინდისი დასვამს კაცის „ღიღებას“,
მონანიების აღუძრავს წადილს
და აღასრულებს ამით ღვთის ნებას.
გამოქვაბული, გულის სიღრმეში,
ურღვევი არის და შეუვალი,
იქნებ სიცოცხლე ისე გავლიოთ,
ობოლი ბავშვის არ გვედოს ვალი!

* * *

„იმედის სხივო“, რკინის კარს მიღმა,
პატარა ქალო, ღვთიური სახით,
ნუ შემაჩვენებ ეულ პატიმარს,
თუ შეუყვარდი, მას, ერთი ნახვით!

* * *

თუ წავიკითხავთ „ჯაყოს ხიზნები“,
 დღევანდელი იქ თქმულს მახსენებს!
 ამპარტავნების აღლუმს რომ ვხედავ,
 სწორედ ეს არის, რაც არ მასვენებს!
 ვილაცა მარგოს როლს ისადაგებს,
 ვილაც კი – კვლავაც თეიმურაზობს,
 მავანი ხედავს, ირგვლივ რაც ხდება,
 ჩაქიმულა და უჩუმრად ბრაზობს.
 საოცარია, მაგრამ ფაქტია,
 ნაცნობობას აქვს ყველგან ადგილი.
 ვხედავ, „დეკრტი“ უკვე მოგვართვეს,
 თუმც არც გვინახავს თვალთ სადღილი!
 ჯაყოს სინდრომის პანდემიაა,
 ეს „გვახალისებს“, ეს გვეითხრის საფლავს.
 კულის ქიცინში ზოგს სულიც სძვრება,
 თუ მიუგდებენ ძვლისმაგვარ სახრავს!
 ყველა უფროსობს, როს მოიხელთებს,
 შექმნილზე არვინ არ აგებს პასუხს.
 ჯაყოს ვირუსით დავრდომილები,
 ვერ ანსხვავებენ საკვებს და სასუქს!

* * *

მიხედეთ მშობლებს, შვილებო,
 სანამ არ გახდა გვიანო,
 ხვალისთვის ნულარ გადაღებთ –
 ჟამნი არ დაგაცდიანო!
 მშობლებს მიხედეთ, შვილებო,
 ჩემი რჩევაა ალალი,
 ამ ქვეყნად მათი ბადალი,
 მსგავსიც არც რამე არ არი!
 დადგება ის დრო, როდესაც
 მშობლის დანახვას ინატრებთ,
 და უწინ მშობლის ვერ აღქმას,
 ჰოი, რა მწარედ ინანებთ!
 მიხედეთ მშობლებს, შვილებო!

* * *

კარგია, მეფე თუ არის „ლომი“,
 მაგრამ, როს „ტურა“ ჰყავს ქვეშევრდომი?!..
 რა ემართება სამეფო ალავს? –
 აქ ნათელს მოჰყენს ნათელში მდგომი!

ლექსებს მაშინ ვწერ

ლექსებს მაშინ ვწერ, როცა ვბობოქრობ,
 როდესაც მიჭირს და ვერაფერს ვცვლი.
 გულახდილი ვარ მხოლოდ ქაღალდთან,
 როცა ამ ჩემს თავს აღარაფრად ვთვლი.
 ლექსებს მაშინ ვწერ, როდესაც ვლელავ,
 როდესაც აზრი მთრგუნავს და მძირავს.
 ლექსები სიზმრებს მიცვლიან თითქოს,
 როდესაც ღამე სულ აღარ მძინავს.
 მე პოეტობის არც-რა მაცნია,
 მხოლოდ ჩემს ფიქრებს ვაბარებ ქაღალდს,
 ჩემს მჩქეფარე აზრს რითმში ვაწყობ,
 და ვეძალები ჭაჭას ორნახადს.
 იქნება ვინმეს მოსწონს კიდევაც,
 ჩემი ნაჯღაბნი გულის კივილი?
 მადლობა უფალს, ფურცელი მითმენს,
 მხოლოდ მას ესმის ჩუმი ტირილი...

მე ის მომწონდა

მე ის მომწონდა, როდესაც ჩემს ცოლს,
 მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე მე – ცოდვილს!
 მე ის მხიბლავდა, როდესაც ჩემს ცოლს,
 უკეთ რომ ეცვა, ვიდრე მე – ცოდვილს!
 მე ის მომწონდა, როდესაც ჩემს ცოლს
 მეტად აქებდნენ, ვიდრე მე – ცოდვილს.
 მე ის მომწონდა, რაც მას აღხენდა,
 სიხარულს ჰგვრიდა ახალი მოდის.
 მე ის მომწონდა, რაც მას შვენიოდა,
 რაც აზვირთებდა მის იერ-მანდილს,
 მე ის მინდოდა, რომ მას ეხარა,
 არ ვუზღუდავდი დროსა და მანძილს.
 მე მისი მწამდა, მისი მჯეროდა,
 ეჭვს ვიქარვებდი, ნიავს ვატანდი,
 ბურუსს, რომელიც თვალს მიბნელებდა,
 თავად ვქარგავდი, თავად ვხატავდი...

* * *

პატიოსნების არცოდნა,
 თანამდებობა როდია,
 გენი, ნამუსი, კაცობა,
 თანდაყოლილი კოდია!



ქართველი მსახიობი „სტელა ადლერიდან“, სადაც მარლონ ბრანდო და რობერტ დე ნირო სწავლობდნენ...

ანა ჩერქეზიშვილს ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი

თეატრის სამყაროს ბავშვობიდან ეზიარა... პირველი ნაბიჯები დამოუკიდებლად თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, დოკუმენტური კინოს სახელოსნოში გადადგა.

პირველი წარმატებაც სტუდენტობის წლებში მოვიდა... მისი სადიპლომო ფილმი: „ავვისტო – 2008 წელი“ ვისბადენის ფესტივალზე მაყურებლის რჩეული გახდა და გრან-პრი მიიღო. მანამდე იტალიური კინოს საერთაშორისო ფესტივალზე – CinemadaMare მისი ფილმი – „ისინი მოდიან“ საუკეთესო ფილმის დიპლომით აღინიშნა...

ამჟამად ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცნობილ სტუდია „სტელა ადლერი“ ეუფლება მსახიობის ოსტატობას... და პოლიუედის ვარსკვლავები ასწავლიან.

ამბობს, რომ საინტერესო შემოქმედებით გეგმები აქვს და ახალი მიწვევების მოლოდინშია. – ანა ჩერქეზიშვილის პერსონა.

– დავიბადე 1987 წელს, 21 დეკემბერს, ჩემი მშობლები ხელოვნების სფეროში არ მოღვაწეობდნენ, მაგრამ ბავშვობაში, თეატრში ხშირად დამატარებდნენ. სწორედ ბავშვობიდან ჩამრჩა მესსიერებაში ზღაპარი ნაცარქექიაზე. მას მერე ამ სპექტაკლმა ჩემში ყველაფერი შეცვალა და ვიგრძენი სხვანაირი კავშირი სამყაროსთან.

ბავშვობიდან ძალიან დაკვირვებული ვიყავი, მაშინ სამოქალაქო ომის პერიოდი იყო, ვგრძობდი, რომ არასასიხარულო გარემოში ვცხოვრობდით. როდესაც მშობლებმა თეატრში მიმიყვანეს, ამან გამახალისა და სხვა სამყაროში გადამიყვანა. ამის მერე ხშირად ვითხოვდი თეატრში წაყვანას, ან მულტფილმებს ვუყურებდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, უკვე ფილმებსაც ვუღრმავდებოდი. ძალიან მომიწონდა ამ სამყაროსთან დაახლოება. როგორც კი კითხვა ვისწავლე, მხატვრულმა ლიტერატურამ გამიბატა, არჩილ სულაკაურის შემოქმედება სულიერად მკვებავდა.

სკოლა რომ დავამთავრე, მაშინვე მოვინდომე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში შესვლა. გა-

დავწყვიტე, დრო არ დამეკარგა და კინო-ტელე ფაკულტეტზე დოკუმენტური კინორეჟისურის სპეციალობით განვაგრძე სწავლა. დოკუმენტური კინოს სახელოსნოში პროფესორი, ბატონი გია ჭუბაბრია იყო ჩემი ხელმძღვანელი. დავწერე თემა ბავშვობისდროინდელ მოგონებებზე, სოფელზე. ბატონ გიას ეს მოგონება მოეწონა, ჩათვალა, რომ ბუნებისადმი და მეგობრებისადმი ძალიან მგრძნობიარე ვიყავი, და მითხრა, შენ ადამიანის ფსიქოლოგიაზე დაკვირვება გიყვარს და ცხოვრების მიმდინარეობას დრამატული თვალთ უყურებ, რაც კინოს გამოადგებაო.

– პირველი წარმატება საქართველოში მცხოვრებ ბოშებზე გადაღებულმა ფილმმა მოგიტანათ...

– პირველი დოკუმენტური ფილმი, რაზეც ვიმუშავე და წარმატება მომიტანა, ბოშებზე იყო და ერქვა: „7 წუთი ბოშებთან“.

დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, რუსთავის ერთ-ერთ სოფელში აქტიური კომუნიკაცია მქონდა ბოშებთან. ფილმი, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ბოშა ქალების სოციალურ პრობლემებზე, რომლებსაც უჭირთ საზოგადოებასთან ინტეგრირება.

ამ ფილმმა „ინტერნიუსის“ მიერ მოწყობილ კაკასიური კინოს ფესტივალზე – „გზავარდინი“ 2007 წელს პრიზი მიიღო. ეს იყო პირველი წარმატება, რამაც ძალიან გამახარა.

ამის შემდეგ ძალიან საინტერესო გოგონაზე, მარინა მიქიაშვილზე დოკუმენტური ფილმი გადავიღე და უკვე იტალიაში მუშაობა შემომთავაზეს. ასე გავემეზავრე 2010 წელს სამხრეთ იტალიაში. გადაღებები სამხრეთ იტალიის ულამაზეს ქალაქებში მიმდინარეობდა, თემა იყო იტალიური კულტურა, მათი ტრადიციები. ყოველი კვირის ბოლოს მზადდებოდა მოკლემეტრაჟიანი ფილმები. იტალია, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქვეყანაა, რაც კი მინახავს. ქალაქის მაცხოვრებლები სიხარულით ერთვებოდნენ გადაღების პროცესში.

ამის პარალელურად, ჩემი და პაკისტანელი რეჟისორის – კამრან ფაიქის ერთობლივი ნამუშევარი შეიქმნა. ფილმზე „ისინი მოდიან“ ასევე მუშაობდნენ: ხმის რეჟისორი ნინო თევდორაშვილი და ოპერატორი ლევან მახარაძე.

ამ სურათმა იტალიური კინოს საერთაშორისო ფესტივალზე – CinemadaMare/„კინო და ზღვა“ საუკეთესო ფილმის ნომინაციაში მიიღო პრიზი. ეს არის ჩემი ჯერჯერობით ერთადერთი სამსახიობო ჯილდო და ძალიან მეძვირფასება.

ამ ფილმში შედგა ჩემი სამსახიობო დებიუტიც. პირველად ვითამაშე ფილმში... და თან გადავიღე. ამ ფილმის იდეა ასეთი იყო: წარსულის ცოდვები ერთ ადამიანს უბრუნდება, რომელმაც მეუღლე მოკლა. მე ვითამაშობდი მეუღლის როლს. რატომღაც დიდი დრამატული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე და ფილმმა გაიმარჯვა.

– **თქვენმა სადიპლომო ნამუშევარმა აგვისტოს ომი ასახა... ფილმმა „აგვისტო – 2008 წელი“ –**

გერმანიის ფესტივალზე გრან-პრი აიღო...

– სადიპლომო ფილმი: „აგვისტო – 2008 წელი“ მთლიანად 2008 წლის აგვისტოს ომზეა. ეს არის შემზარავი ფაქტები უკომენტაროდ. ამ ფილმმა 2011 წელს გერმანიის ვისბადენის ფესტივალზე გაიმარჯვა. გრან-პრი აიღო, როგორც საუკეთესო ფილმმა. ეს იყო მაყურებლის რჩეული ფილმი და პრიზი ფაქტობრივად მაყურებელმა მომანიჭა.

– **თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, გადაწყვიტეთ, სამსახიობო მოღვაწეობა ამერიკაში... ამჟამად ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცნობილ სტუდია „სტელა ადლერიში“ ეუფლებით მსახიობის ოსტატობას...**

– ამერიკაში წასვლამდე გავიარე ტრენინგი აუდიოვიზუალური ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაში, პროფესორ ელისო ერისთავთან. კინოინდუსტრია ძალიან რთული ინდუსტრიაა ამერიკაში, რომ როგორც რეჟისორმა, ისე იმოდვანწევო. რადგან მე სამსახიობო გამოცდილება მქონდა, გადავწყვიტე, თეატრი მეცადა...

ნიუ-იორკში ჩასული რამდენიმე თეატრალურ სტუდიაში მივედი... კასტინგი გავიარე და ერთ-ერთ ძალიან ცნობილ სტუდიაში „სტელა ადლერიში“ მოვხვდი. სტელა ადლერი ცნობილი ამერიკელი მსახიობი იყო, რომელმაც სკოლა რუსეთში სტან-ისლავსკისთან გაიარა, ძალიან უყვარდა ჩეხოვი და ფაქტობრივად თავისი სკოლა რუსული თეატრის კულტურაზე დააფუძნა. ამ სტუდიაში უამრავი ცნობილი მსახიობი, მათ შორის მარლონ ბრანდო და რობერტ ლე ნირო სწავლობდნენ... ძალიან გამიხარდა, რომ გამიმართლა და ამ სტუდიაში აღმოვჩნდი.

როგორც კი შევედი ამ სტუდიაში, მაშინვე დავიწყე მუშაობა ისეთი ტიპის პიესებზე, რომლებიც ჩემთან ახლოს. მაგალითად, კულტურულად ვიყავი



დაკავშირებული ჩეხოვთან. როცა უყურეს ჩემს წარმოდგენებს და სცენებს, მითხრეს, ჩეხოვი იმდენად გათავისებული გაქვს. ძალიან ახლოსაა შენთანო.

თავდაპირველად ჩეხოვის პიესიდან „სამი და“ წარვადგინე სცენა, სადაც ირინას ვთამაშობდი. ეს ისტორია არისტოკრატ ქალებზეა. მეოცე საუკუნის დასაწყისია, გარდატეხა ხდება, ინდუსტრიული სამყარო შემოდის და პერსონაჟებიც ვერ ხედავენ გასაქანს, დაბნეულები არიან...

ამ სცენის თამაშისას საკუთარი გამოცდილება გამოვიყენე. ეს ყველაფერი დავუკავშირე საქართველოს, თუ როგორ გამოვედით საბჭოთა კავშირიდან, გავიარეთ სამოქალაქო ომი... როგორ გაუგებარ ვითარებაში მოვხვდით, არ ვიცოდით, ევროპისკენ მივდიოდით თუ საბჭოთა კავშირში ვრჩებოდით... ჩემი ეს გამოცდილება დავუკავშირე ამ პერსონაჟს, რომელიც ძალიან რთულ პოლიტიკურ მიმენტში, ასე ვთქვათ, გაჩერებული და შებოჭილია. არ იცის, როგორ გადადგას შემდეგი ნაბიჯები. ეს აისახება მის პირად ცხოვრებაზეც. ვერ პოულობს სიყვარულს, ყველა დაძაბულია გარშემო. არ იციან, რა იქნება შემდეგ... ძალიან მოეწონათ სიუჟეტის ჩემეული აღქმა...

შემდეგი სპექტაკლი იყო შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, რომელშიც ვითამაშე არამთავარი როლი. ეს პერსონაჟი ხელოსანია. მაგრამ ამით მთლიანად გავიცანი შექსპირის სამყარო. მომეწონა, რომ ენას ავუღე ალღო, რადგან შექსპირი ინგლისურ ენაზე ძალიან რთულია სამუშაოდ.

ამის შემდეგ „ბერნარდა ალბას სახლში“ მგლოვიარე ქალი ვითამაშე.

შემდეგი იყო ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, აქ უკვე მთავარ როლს ვთამაშობდი, ადამიანისას, რომელიც ისტორიას ყვება. ეს, შეიძლება ითქვას, იყო ჩემი მისია ამ სპექტაკლში, რომ მომეყოლა ადონისის და ვენერას ისტორია.

– „ოტელოში“ მამაკაცის როლი შეასრულეთ...

– ამერიკაში შექსპირთან დაკავშირებით ექსპერიმენტებს ატარებენ და ზოგჯერ ქალები თამაშობენ კაცის როლს. მე მომიწია დეზდემონას ბიძაშვილის, ლოდოვიკოს როლის შესრულებამ. მისი მისიაა, ბოლო სცენაში აუხსნას მას, რომ განუმეორებელი შეცდომა ჩაიდინა, რომელიც არასოდეს ეპატიება.

ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო ამ პერსონაჟზე მუშაობა, რომელიც სიმართლის მხარეს იყო. ძალიან ძლიერ ადამიანს, როგორც ოტელოა, ფაქტობრივად, საკუთარი შეცდომების წინაშე დააყენებს.

გფიქრობ, ნიუ-იორკული შემოქმედებიდან ყველაზე საინტერესო იყო სპექტაკლი „აკო დავიდი“. მე ვიმუშავე კომპანიასთან Dramatic Adventure Theatre-სთან ერთად.

ეს იყო ნიუ-იორკული კომპანია, რომელთან ერთადაც სამი თვის განმავლობაში სლოვაკეთში ვიმო-

გზაურეთ, სლოვაკეთში ბოშების საზოგადოებასთან ვმუშაობდით და მათი ტრადიციებისგან ბევრი რამ ვისწავლე. მერე ამ ისტორიებზე სპექტაკლი დავდგით.

ჩვენ, ყველანი, მსახიობების ჯგუფი, პიესის ავტორი ვიყავით. რეჟისორი იყო ამერიკელი ტომ კასტელი, რომელმაც ეს სტუდია ოსტატურად შეკრა ერთ გუნდად.

სამი თვის განმავლობაში ბოშებთან ერთად ვცხოვრობდით და თეატრალურ თამაშებს და თეატრის თეორიას სკოლაში ვასწავლიდით.

ვეწვიეთ პატარა სლოვაკურ სოფელს, ვენმარე-ბოდით სახლების აშენებაში, ორი დღის განმავლობაში ვთხრიდით მიწას, აგურებს ვალაგებდით. ამან დამარწმუნა, რომ თეატრი არ არის მხოლოდ ის, სადაც დადგე და წარმოდგენა გამართო. შენ შეგიძლია, აქტიურად ჩაერთო და დაენმარო ხალხს.

შემდეგი სპექტაკლი – „ლატუნდას ისტორია“ ამავე კომპანიასთან ერთად დავდგით, ეს პროექტი სამხრეთ ამერიკაში, ეკვადორში განხორციელდა. სამხრეთ ამერიკაშიც ამ თეატრის კომპანიას ზუსტად იგივე სახის პროექტი ჰქონდა. რეჟისორი რაინა ვინემი.

ვმუშაობდით სკოლის ბავშვებთან და მათ თეატრის თეორიას ვასწავლიდით. ამავე დროს, ვსწავლობდით ეკვადორულ კულტურას და თან ჩვენს პიესას ვქმნიდით. ეს პიესა ეკვადორული ზღაპარია და ერთ-ერთი ჯადოქრის ისტორიას ეფუძნება. მერე ნიუ-იორკში გაიმართა მისი პრემიერა.

და კიდევ ერთი საინტერესო გამოცდილება იყო სპექტაკლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ამ სპექტაკლს ერქვა: „ვიდლის ნამდვილი ფერები“...

სპექტაკლი ბიჭზეა, რომელიც ფერების ქალაქში დაიბადა. ამ ბიჭს აქვს განსხვავებული ფერი. ამიტომ ამ ქალაქში და ამ საზოგადოებაში არ არის მიღებული. სპექტაკლი ასე მთავრდება – ეს ბიჭი იკარგება იმის გამო, რომ განსხვავებული ფერია, მაგრამ ამ ქალაქში ყველა ხვდება, რამხელა დანაკლისია ეს ბიჭი და ყველას ენატრება.

ეს სპექტაკლი სპეციალურად ამ ბავშვებისთვის დავდგით და მათზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ყველაფერს განათებული თვალებით უყურებდნენ. დღემდე მანსოვს მაშინდელი შთაბეჭდილებები, ძალიან კარგი მისია იყო ეს.

– სტუდიაში სწავლას მალე დაამთავრებთ...

– უკვე მექნება კასტინგებში მონაწილეობის მიღების საშუალება, რომ მერე სხვა თეატრებში გადავიდე და თანდათან უფრო მეტი გამოცდილება შევიძინო. კინოშიც მინდა მოღვაწეობის გაგრძელება და თუ საშუალება მექნა, რეჟისურასაც დავუბრუნდები. მაგრამ ახლა ვცდილობ, როგორც მსახიობმა, რამდენსაც მოვასწრებ, თეატრსა და კინოში გამოცდილება დავაგროვო. ეს სამომავლოდ დამეხ-

მარება პროფესიონალიზმის ამაღლებაში და ამერიკაში მოღვაწეობაში.

– თქვენი პედაგოგი პოლიეუდის ცნობილი მსახიობი ანტონი ზერები...

– ერთადერთი კავშირი, რაც პოლიეუდთან მქონდა, ეს არის ცნობილი მსახიობი ანტონი ზერები, რომელიც იყო ჩემი პირადი მასწავლებელი.

მან ამარჩია ამ სტუდიაში, რომ ჩემთან ემუშავა. მასთან მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან შესანიშნავი ფსიქოლოგია და ძალიან საინტერესოდ გამაცნო ჩეხოვი.

ჩეხოვი ანტონი ზერებისგან უფრო კარგად გავიგე, განსაკუთრებით გამოგარჩევი პიესებს: „სამი და“, „ალუბლის ბაღი“. უამრავი სპექტაკლის მონაწილეობაზე ვიმუშავე.

ასევე მან ახლიდან გამაცნო ცნობილი ამერიკელი მწერალი და დრამატურგი ტენესი უილიამსი, რომლის სამყაროც ასევე ძალიან კარგად დავინახე...

შემდეგ მქონდა შანსი, დავსწრებოდი ინტერვიუს პოლიეუდის ცნობილ მსახიობ სკარლეთ იოჰანსონთან, სადაც კითხვების დასმის საშუალება მომეცა. ესეც ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო ჩემთვის, რადგან პირადად შეხვდა სტუდენტებს სამსახიობო ტექნიკაზე სასაუბროდ... რომელიც ისევე და ისევე სტანისლავსკისგან, რუსული თეატრისგან მოდის. მონარული ვარ, რომ ის, რასაც საქართველოში ვსწავლობთ, რუსული თეატრის სკოლას, ამერიკაშიც ფასდება და სამსახიობო ტექნიკის საძირკვლადაც მიიჩნევა...

– რას გეგმათ მომავალში? – იქ, სადაც მოღვაწეობთ, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ქართველი ხართ...

– ვფიქრობ, დავრჩე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვიმოღვაწეო თეატრსა და კინოში. მე ჯერჯერობით ქართველებს ვერ ვხვდები იქ. ამ თეატრებში და კინოსფეროში, სადაც მე ვტრიალებ, მხოლოდ მე ვარ... გამიგია, რომ რამდენიმე ქართველი სტუდენტი სწავლობს სამსახიობოზე და იმედია, რომ მათ მალე გავიცნობ.

– საქართველოს იცნობენ ამერიკაში?

– ზოგი არ იცნობს. ზოგი იცნობს, მაგრამ ვინც იცნობს, მგონი, ჯერ კიდევ ვერც ასხვავებენ რუსეთისგან... ან მუდმივად ჩნდება ასეთი კითხვა, ევროპაშია თუ აზიაში? ყოველთვის ვეუბნები მათ, რომ ჩვენ ჩვენი კულტურა გვაქვს, ორივე კულტურის ელემენტი გვაქვს, მაგრამ საქართველო როგორც უნიკალური კულტურის მქონე ქვეყანა, არის ცალკე, რაც ძალიან უკვირთ ხოლმე...

აბსოლუტურ გაცეხას იწვევს და ყოველთვის აინტერესებთ ქართული ენაც, რომელიც მათთვის ძალიან უცხოა... ცნობილმა მსახიობმა ლინი მაკკორნიკმა ერთხელ მთხოვა, გადამეთარგმნა ინგლისური მონოლოგი ქართულად და მეთამაშა ჩვენს ენაზე. ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა,

რადგან პირველად გაიგეს ქართულ ენაზე ამ ეტყველებული ტექსტი. გაცეხებულები მიყურებდნენ, ეს არც რუსულია, არც ევროპულ ენას ჰგავს და შენ აბსოლუტურად სხვა ენაზე მეტყველებო...

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მიხვდი, რომ ენაც კი ძალიან ეუცხოვებათ.

ერთხელ იბსენის ცნობილ სპექტაკლში პატარა სცენაზე ვმუშაობდი რუს მეგობართან ერთად. როდესაც ინგლისურად ვთამაშობდით, ჩვენმა პედაგოგმა გაგვაჩერა, რადგან არ მოეწონა, აბა, სცადეთ და თქვენს ენაზე ითამაშეთ ეს ტექსტი, იმპროვიზაცია გააკეთეთო...

ამ გოგომ რუსულად და მე ქართულად გავაკეთე. უცებ ამან ისეთი ემოცია გამოიწვია ორივეში, რომ აბსოლუტურად გამოასწორა მთელი სცენა. იმას, რაც არ იყო სრულყოფილი და ინგლისურად კარგად არ ჟღერდა, მშობლიურმა ენამ სასწაული მოახდინა და ემოციური მუხტი შესძინა.

მაშინ პედაგოგმა მითხრა, არასოდეს უარყო ის ფაქტი, რამხელა ემოციური ძალა აქვს შენს ენასო. მთხოვა, რომ დამენერგა ეს სტილი ჩემს მუშაობაში, მის რჩევას ხშირად ვითვალისწინებ და ძალიან მშველის...

– ჰობი...

– კითხვა მიყვარს, ძალიან შემიყვარდა შექსპირი და მისი პიესები. მაინტერესებს მუზეუმები, უზომოდ მიყვარს ბუნება, მოგზაურობა... პარკებში ვსეირნობ, თუ სადმე რაიმე ახალს ვნახავ, ჩემზე ბენდიერი არავინ არის.

– ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში... გაიხსენეთ აღრინდელი და ახლანდელი თბილისი...

– ყოველი ჩამოსვლის დროს განსხვავებულ საქართველოს ვხედავ. ერთი წლის წინ რომ ჩამოვედი, პოლიტიკური ცვლილებების გამო უფრო დეპრესიული მომეჩვენა საქართველო.

ახლა რომ ჩამოვედი, მგონია, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ მიდის. ხალხი უფრო გააქტიურებული ჩანს, თითქოს გადალახეს ის პოლიტიკური ცვლილებები და პროცესები, რაც იყო და ყველა თავის ცხოვრებას, რეგულარული ცხოვრების წესს დაუბრუნდა. მოიხსნა შოკი, დეპრესია, რაც ბოლო წლებში იგრძნობოდა. ახლა თითქოს ყველაფერი კალაპოტში დგება.

ჩემი აზრით, ვიზალიბერალიზაცია უზარმაზარი ნაბიჯია, ფაქტობრივად, ქართული კულტურის აღიარება ხდება. ევროპა უკვე გზას უხსნის ქართულ კულტურას, რომელსაც ისინი კარგად არ იცნობდნენ. ეს ყველაფერი ძალიან დიდ რამეს ნიშნავს მომავალი თაობებისთვის.

მე – ახალგაზრდას, რომელიც ცვხვობს საზღვარგარეთ, ჩვენი დიდი კულტურა და ისტორია ძალას მძლევს და საკუთარი თავის რწმენას ბევრად მიმტკიცებს.



* * *

თემურ ჩალაბაშვილს

ბელურა

გავცქერი მინდორს იმედით სავსე,
ცად ამიყვანოს ბუნებამ ლამის,
ხეზე მიცოცავს სიმწვანით ხავსი,
ვარსკვლავად ცვივა წუთი და წამი.
მინდვრად ბელურა ხატულა პეპლებს
და სილამაზეს უცხადებს ბრძოლას,
ნუთუ სიკვდილის მეცა ვარ მსხვერპლი, –
გავიფიქრე და შემიპყრო ძრწოლამ.

ქართულად ტირის კალამი,
ჩივის ბედს ქართლოსისასა,
სააკადის ხმლის კვეთებას,
ომის ბედს მარტყოფისასა.
უხარის გამარჯვებები
ჩალაბაშვილის კალამსა,
ცრემლი სდის, როცა იგონებს
ღალატით მარცხსა მრავალსა.
იხარე, გულო ქართულო,
მივენდოთ სურვილს ღვთისასა,
წმინდა გიორგიმ დაგლოცოს
ჯვართა ლამარისათა.
უმღერე, კიდევ უმღერე,
ბედს ძველი ქართლოსისასა,
მომავალ ქართველს უამბე
ომისა მარტყოფისასა.

ო, ამაღეო...

ისევ მოღელავს სენა,
მონმარტრზე ფუნჯი როკავს,
და უნებურად ფიქრი
წარსულის სურათს მოაქვს.
მოხეტიალეს გხედავ,
სევდა გიფარავს სახეს,
სიღარიბე და შური
ერთად გიგებენ მახეს.
ო, ამაღეო, შენი
პარიზი სადღაც გაქრა,
და წარუშლელი კვალი
ლუვრის კედლებში დარჩა.
კვლავაც აცრემლებს პარიზს
მოდელიანის სევდა,
როგორ მადარდებ პოეტს,
როგორ გვჭირდება დღესაც!

ნინო ხარბელიას

დრომ მოგისაჯა დევნა,
სიყვარულისთვის, ნინო,
არ დაგცდენია ძვირი,
შაბაშ! ქართული ღვინო,
სამშობლოსათვის იწვი,
ფრთამოკვეთილი ხვითო,
ლამაზ ბგერებად აწყობ
სიტყვებს სულ თითო-თითოს...
კოლხეთს ნაწრთობო ვარდო,
გასაწირ იყავ განა?
ნოსტალგიური ცრემლით
ისმენ „დიდოუ ნანას“...
მრავალჟამიერ მედვრად,
იყავ, კოლხურო ვარდო,
შაბაშ! ქართული ღვინო,
სამშობლოს წვაკ და დარდო!

ტყის ფერდობის ათქვირებულ ბალახს
 ახალისებს ზიზილო და გვიძრა...
 გვირილა თოვს, როკავს მოღზე, მღერის,
 ყაყაჩო კი ფასობს ძალზე ძვირად...
 სიკამკამით გაგაოცებთ მთვარე,
 ტყის ფერდობზე შეფენილი რემა,
 დედა ცხენი კვიცს სათუთად ყნოსავს,
 სიხარული იგრძნო გულმა ჩემმა.
 ამ ზღაპარში სიძულვილი ვერ ძოვს,
 ყველაფერი სიყვარულით სუნთქავს...
 პიონები უღიმიან ერთუროს
 ბუღბუღს მერცხლის შეხუმრება უნდა.

ოცნების ქარსა და ქარაშოტს
 მიმსხვრევენ თავნება ფიქრები,
 გაფრინდნენ წლები და ღლეები,
 უღვინოდ ვქეიფობ, ვითვრები...
 ბავშვობის სურნელი მაფხიზლებს,
 ყრმობისას სევდა აქვს უღლევი,
 ფიქრები სურვილად აკინძე,
 დრო გარბის ხარბი და უძლები.
 სიბერე შემოდის სხეულში,
 სული ყვაგილობას არ იშლის...
 საყვედურს არ ვეტყვი სამყაროს,
 თუ ჩემი ნაგრამი აქ ივლის...

მოგონებები

თითქოს არ ყოფილა...

მოგონებები ცისარტყელად გაშვიდფერადლა,
 უკუნ ღამეში გაბრწყინდა და გამოანათა,
 ის უტყვი ღამე შეხვედრების
 ლოცვას ჩურჩულებს,
 და გახსენება მცირე ამბად ამოლაგა,
 სიყვარული კი,
 არ დასრულდა განშორებასთან,
 ყაყაჩოს ზღვაში ჩაინისლა
 სისხლის ფერებად,
 წარსულის ჩუმი მდუმარება არაფერს
 არ ცვლის,
 ცოცხლდები ლექსის სტრიქონებში
 ლამაზ ბგერებად,
 მოგონებები ცისარტყელად გაშვიდფერადლა,
 და გახსენება მცირე ამბად ამოლაგა.

თითქოს ყველაფერი გაფერძკრთაღდა,
 თითქოს არ ყოფილა ფარნავაზი,
 სიტყვადაცლილი და აზრდაცლილი
 გზაზე მიტორტმანებს ქარავანი...
 მრუში დედაკაცი სიძვას ამკობს
 „ვეფხისტყაოსანის“ აფორიზმით,
 უცებ ქვესენელიდან აფეთქდება
 ლექსი აკინძული აკროსტიხით...
 გაქრა, გაიძარცვა ეროვნული
 თუკი რამე იყო დარჩენილი.
 ცხენი ალა-ხანის მიწას ტორავს,
 ყალყზე შემდგარი და აღერლილი.

 თითქოს არც ყოფილა დავით მეფე,
 არცა დიდგორი და ტაშისკარი...

მაოცებს ერთი

გაფრინდნენ ღლეები, წლები
 და მაინც ვერაფერს ვხვდები,
 რადა აქვს ადამის მოღმას
 ერთუროთის შური და ცოდვა.
 ბავშვობაც გაფრინდა, ყრმობაც,
 თეთრად დამათოვა დრომაც...
 და მაინც მაოცებს ერთი –
 ჭიდილი ეშმას და ღმერთის...

ღვანე ხანილი



* * *

გულო, როდემდე უნდა ითმინო,
გახეებულხარ, როგორც ქვითკირი,
ზოგჯერ ცრემლებად უნდა იდინო,
უნდა იტირო კიდეც ქვითინით,
ან, სისხლო, ფეხებს რატომღა ითრევ,
უნდა დაბრუნდე და უნდა გალღვე,
იცნობი ვიდრე, იგრძნობი ვიდრე,
უნდა მოენტო გაყინულ ძარღვებს,
სისხლო, არ უნდა დამიძაბუნდე,
ცრემლო, თვალები უნდა დანამო,
და, ლექსო, ჩემთან უნდა უნდა დაბრუნდე,
ჩემს საკურნებლად და ჩემს მაღამოდ.

* * *

შეუნდეთ უმეცარს და პოეტს მდაბიოს,
მსახიობს უნიჭოს, საცოდავ მასხარას,
მსახიობს, რომელსაც უთმობდით ამბიონს
და ის კი უტიფრად მართავდა მასკარადს.
მსახიობს, რომელსაც იცნობდით აშულად
და ურცხვად ატარა პოეტის ნიღაბი
და ძმობის პასუხად და ნღობის პასუხად,
თავით ფეხებამდის შემოსილოს სიყალბით.
რადგანაც მან უკვე ფარდები დახურა,
რადგანაც ის უკვე სხვას უთმობს ასპარეზს,
შენდობას მოითხოვს, რომ ვერ იმსახურა,
და მისი სახელით შეუნდეთ მასხარებს.

იქ, სადაც ჩემი ლაღო უკრავდა,
სადაც ჩემი და უკრავს,
იქ სიცოცხლე და ლექსი უყვარდათ,
ახლაც სტკივათ და უყვართ,
ის „ცხელი გული“ ისევ ანთია,
იქ გული ისევ ვარდობს,
ისე მღერიან ომში დარდიანს,
როგორც უყვარდა ლაღოს,
ლენხუმის მთების ამაყ შევარდენს
ქროლვას შეჩვეული ქარში,
უნდა ცხენისწყლის ჩქერში შევარდეს
მამისეული ლაფშით,
რბის სიჭაბუკე, ჩქერს სიჭაბუკე
დაუდუღარი მაჭრით,
ფიცხელ ჭიდილში იწვევს ქარბუქებს,
ქარბუქებს მთებში გაჭრილს.

* * *

მოგიყვებოდით, რომ მე ახლა „დაღუპვის წინ“ ვარ,
რომ ახლა უფრო იშვიათად ვკითხულობ ლოცვებს,
რომ ახლა უფრო იშვიათად ვესწრები წირვას,
რომ ახლა უფრო იშვიათად ვინსენებ მოძმეს,
მაგრამ ახლა მე სხვა რამეზე ვიწყებ ლაპარაკს,
ახლა იქ ვდგავარ, სადაც ქუჩა სახლისკენ უხვევს,
აქ თოვლმა ირგვლივ ყველაფერი თეთრად დაფარა,
თოვლმა, რომელიც სადაცაა ასცდება მუხლებს,
მინდა სირბილით გავიარო სახლამდე ქუჩა,
მაგრამ ბელურა შემეცოდა თოვლით დამფრთხალი,
თეთრია ახლა, სულ თეთრია ჩვენი მუხურჩა,
თეთრად დაფარა თოვლმა შენი მწვანე დაფნარიც,
დღეს ვინახულე ჩვენი სოფლის სადა ტაძარი,
დღეს გულითადი საუბარიც მქონდა მოძღვართან,
და მცირე ძალა, რაც მიწაზე ყოფნას მამალეებს,
ისევ ძარღვებში ამოდრავდა, ისევ მოზღვავდა,
ველარ გავბედე, მეგალობა მლოცველთა გუნდთან,
ველარ დავენდე ხმას უგემურს, ხმას უმარილოს,
ახლა ვბრუნდები და ბავშვობაც დაბრუნდა გულთან,
ბავშვურ მოტივზე გულში ვმღერი შობის
აღიღოს.

* * *

ნ. დ-ს

შენს მთას უხდება სიმაღლე ორბის,
 სიმძიმე ხარის შეგნის ჩემს მიწას,
 შენთან ზვირთები შმაგურად მორბის,
 ჩემთან ზმორებით მოაქვს ცხენისწყალს.
 შენს მთას სხვაგვარი სიმაღლე მისცეს
 და მზერა ფრთხილი გამართებს გუშაგის,
 მე ვავლებ ხნულებს და მივდევი სივრცეს,
 როგორც გამრჯე და დინჯი მუშაკი.
 შენ განდეს მთები ურღვეველ ბჭედ და
 ჩემს მძიმე მკლავებს ანდეს ბელელი,
 განგება ერთი ბელისთვის გვჭედდა
 და გვქონდა ძმობა გაუტყუხელი.
 ჩვენ მაინც ერთი დინება გვმართავს,
 ერთად ვიტვირთეთ ძმობის უღელი,
 გზას ასე ქართულს და ასე მართალს,
 მივყვებით ასე მუხლჩაუხრელნი.

* * *

ვფიქრობ და ვუმზერ სევდიანი მიღმიდან ფანჯრის,
 ბავშვობის ეზოს გადათოვლილს,
 თეთრად გაფენილს,
 იღვიძებს თითქოს ყმაწვილური სურვილი გაჭრის,
 სურვილი ბავშვის, კარში გაჭრის, ქარში

გაფრენის...

შენ უწინდელი სიმსუბუქით მოდიხარ, ფიფქო,
 ციდან ჩემამდე ძველებურად სერავ მანძილებს,
 მეც ძველებურად მიყვარს თითქოს და მაინც
 ვფიქრობ,
 რომ შენი მოსვლა წლიდან წლამდე უფრო
 მამძიმებს,
 რადგან ჩემამდე მოგაქვს წლები ცივი და მკაცრი
 და ჩემთან მოდის შენზე უფრო თეთრი სიბერე,
 სიბერე მოდის და უწინდელ სიმაღლეს მაცლის,
 მცივა და სულში ტკივილებმა უფრო იბევრეს,
 და მზერას მაინც ძველებურად სარკმლებში გაფრის,
 მე მაინც მინდა შენთან ვიყო და შენ გეფერო,
 მე გიღებ კარებს, მოდი ჩემთან და ჩემთან დარჩი,
 თორემ მარტო ვარ, თოვლო, ჩემო თეთრო ბებერო.

* * *

გაგიფრინდა მაფშალია
 შენი ხელით ნახარდი,
 შენი ძუძუ დამშრალია,
 გაქრა შენი ლაზათი,
 შენი ზეცა იღრუბლება
 ბელი შენი – კევრია,
 შენი შვილი იღუპება,
 ქვრება შენი კერია,
 დედის ნანავ, სიმგამწყდარო,
 დედის გულო, მოკლულო,
 განა მართლა არა გწყალობ,
 განა მართლა ორგეგულობ,
 ტყვიამ შენმა მოსახვედრმა
 მე მიწიოს, კოლხეთო,
 მაგრამ თვითონ მოსახედმა
 როგორ უნდა მოგხედო,
 ჩემო მიწავ, ჩემო წყალო,
 ვერ გიხილო როდემდე,
 ბელო, ჩემზე შემომწყრალო,
 სანამ უნდა მომდეკდე,
 ნეტავ, როდის დაბრუნდება
 შენი შვილი, ეგრისო,
 შენს კალთაზე დაბუდებას
 როდის უნდა ველირსო...

ჰელადოს

როცა გზები დაბრუნების არ მოჩანდნენ,
 ტკივილივით შიგნიდან რომ ენათა,
 გულის პირზე ბავშვობიდან ამოვმანთე,
 მზიანი და შორეული ელადა,
 ახლა, როცა ვბრუნდები და მე ამ გულით
 მიმაქვს სისხლის შორეული ძახილი,
 მე დავბრუნდი, ვერ დაბრუნდა იანგული,
 გული მტკივა გაწყვეტილი ძარღვივით,
 ვბრუნდები და რომ დავბრუნდე,
 სად დავბრუნდე,
 რანაირი უბედური კაცი ვარ,
 ვაი, რომ ვერ მეშეტება ძველი ბუდე,
 ბუდე, სადაც გამომზარდეს არწივად.

ბიოხიბი ყაიხაშვილი



ღმერთი ჩვენს სახლებში

„მოვა დრო, როცა ხალხი ჭკუიდან შეიშლება, ხოლო ვინც არ შეიშლება,

მას ეტყვიან, რომ შენ შეშლილი ხარ, რადგან არ გვგავხარ ჩვენ“...

(წინასწარმეტყველება)

სხვებისგან გამორჩეული იყო. სილამაზით შეიძლება ბევრს ვერ ჯობდა, თუმცა შინაგანად იყო საოცრად განსხვავებული. ადამიანების მოსმენა და მათზე დაკვირვება უყვარდა. განცალკევებით ჯდომა ახასიათებდა და ცნობისმოყვარე მზერით გაადავლებდა, ხოლმე თვალს ირგვლივ მყოფთ. ვერასდროს შეამჩნევდით მის იქ ყოფნას, თუმცა აშკარად გამოირჩეოდა ხალხის იმ მასისგან, რომელნიც უაზროდ აყოლილნი იყვნენ ჩვენს დღევანდლობას. დანარჩენებს მხოლოდ იმის სწამდათ, რაც თვალთათვის ისედაც ნათელი იყო, ის კი ამ დროს მათი სულების ამოცნობას ლაპობდა. ადამიანისთვის არაადამიანსაიათებელი დაინტერესებები ჰქონდა. ბევრს სეირნობდა ქალაქის ქუჩებში, ხოლო დღე-ღამეში სულ ერთი-ორი საათი ეძინა. მამამისის ნაჩუქარი ფული, რომლითაც მანქანა უნდა ეყიდა, პირველივე შემხვედრ გაჭირვებულს დაუტოვა, ხოლო უკან დაბრუნებულმა მისივე მშობლის მანქანა დაწვა. უნდა გენახათ, რა ამბავი იყო მის ოჯახში. ყველას ეგონა, რომ ჭკუიდან იშლებოდა, არადა სხვისი სულების გადასარჩენად იბრძოდა. ეს მინიშნებები იყო იმ ბრმათათვის, ვისაც სიკეთისა და სიყვარულის არსებობა ავიწყდებოდათ.

ტანსაცმლის ყიდვაზე ლაპარაკით მასთან ფუჭად გაირჯებოდით. ნათესავის ქუდით, მეზობლის ფეხსაცმელითა და მეგობრის ქურთუკითაც ძალიან თავმომწონედ დაიარებოდა ხოლმე. იშვიათად თუ შეხვდებოდით სადმე უწიგნოდ. არც ზურგჩანთა და არც საფულე... თან მხოლოდ წიგნი ჰქონდა.

მასხოვს, ერთხელ მის სახლთან დიდი აყალ-მაყალი იყო. დილიდან გასული თურმე უკან გვიან ღამემდე არ დაბრუნებულყო. ოჯახის წევრებს უკვე საპატრულო ეკიპაჟი ჰყავდათ გამოძახებული, როდესაც ქუჩის ბოლოდან სულ მთლად გათოშილი მოსეირნობდა. იმას ნუ იკითხავთ, თუ რაში იყო საქმე. უკანასკნელი ხურდებით, თურმე უბილეთოდ დარჩენილი მოხუცისთვის გადაუხდია მგზავრობის საფასური, თვითონ კი ქალაქის ბოლოდან წამოსულა ფეხით.

ვერც იმას გეტყვით, რომ მის მშობლებს დიდად ეამაყებოდათ შვილის ასეთი საქციელები. ეს ამბავი არც მას აღარდებდა. ყოველთვის იცოდა, რომ მას ვერავინ გაუგებდა, რადგან არც არავის სურდა მისი გაგება. შეყვარებული არასდროს ჰყოლია. იმხანა, რომ მეორე ნახევარი ეს ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც შენი სულის ნაწილი უნდა გახდეს. ამ უკანასკნელს კი, მგონია, რომ ვერავინ გაუძღვებოდა. შესაძლოა, სული შედარებით სუფთა მაქვს და მსუბუქი, მაგრამ სიკეთის სიღიადეს ვერ გაუძღვებ ის, ვისაც არც კი უცდია მსგავსი რამ. მას ეს სიმსუბუქე მძიმე ტვირთად ექცევა, რადგან საკუთარ მშობლებსაც კი ვურთულებ ცხოვრებას ჩემი არსებობით.


უბრალო პიროვნება იყო ყველასთვის, ხოლო ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ.

სკოლაში ფრიადოსანი იყო, ხოლო უმაღლესში სწავლა აღარ გაუგრძელებია. ამბობდა, რომ იქ სადაც ფულია, არ არსებობს ჭეშმარიტებაო, არამც თუ სწავლება. არცერთი მისი ქცევა არ იყო ხელოვნური. ის ბუნებრივად ნამდვილი და ლამაზი მასხოვს. მისი თვალების შემოხედვაც კი საკმარისი იყო, რომ მაშინვე ვკარგავდი დროის აღქმას და მენანებოდა იმ დღის დასრულება.

თუ ვინმესთან საუბარს მოვისურვებდი – ეს ის იყო. მოძებნა არ მიჭირდა. უმეტესხანს სახლის აივანზე ატარებდა კითხვაში გართული. ბავშვობის დროინდელ ხის სკამზე ჩამოჯდებოდა და ფეხებს მაგადაზე შემოაწყობდა ხოლმე. ხელში ყავის ჭიქა მისი განუყოფელი ნაწილი იყო.

როდესაც ვესაუბრებოდი, თითქოს ასაკი მემატებოდა და სულ სხვანაირი ვბრუნდებოდი შინ. მას ღმერთის სწამდა, ხალხს – სასწაულის, ბავშვებს – ზღაპრების, მე კი მისი მწამდა, რადგანაც ჩემთვის სასწაული მხოლოდ ის იყო. ერთხელ კინაღამ მოძვარმა ჩაკეტა ტაძარში და რომ არა მოხუცი დედაკაცის ყურადღება, ალბათ ასეც იქნებოდა. ლოცვა არ მქონდა დასრულებული და ღვთის სახლი ასე, როგორ დამეტოვებინაო?!

ეკლესიაში მხოლოდ არასადღესასწაულო დღეებში მიდიოდა. არ უყვარდა ხალხთან ერთად ღვომა. ღმერთთან პირისპირ დიალოგი ერჩია. თუ რაიმე



სასწრაფო დაკვეთის
შესრულების დროს,
ავტომობილის ხელოსნის,
კერძოდ კი,
მეთუნუქის
ა ღ მ ზ რ დ ე ლ ო ბ ი თ ი
„საუბარი“ 13 წლის
შვილთან

(ანტიჩანაწერი)

თუ განათლება არ გაქვს – დაილუპები?
გაუნათლებელი კაცი მკვდარია. ზომბია, ცოცხ-
ლებს შორის და მეტი არაფერი.
ვერც კი წარმოგიდგენია, რა კარგი რამაა –
ცოდნა, კითხვა, სწავლა?
როგორ შეიძლება კაცს არ უნდოდეს განათლება,
არ უყვარდეს კითხვა, არ ეტრფოდეს ლიტერატუ-
რას.
მთელი დღეა ვფიქრობ ლიტერატურაზე.
ვფიქრობ, მთელი დღეა ლიტერატურაზე.
Cogito Ergo Sum! – ვაზროვნებ, ესე იგი ვცოცხ-
ლობ!
– მღჭ-მღაჭ-მჭღ-მღაჭ!
რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ იცოხნები! ნუ
იცოხნები! ნუ იცოხნები! ნუ იცოხნები!
– მღჭმღაჭმჭღმღაჭ!
რამდენ ცალს ღეჭავ ერთდროულად! ვეღარ
ლაპარაკობ... გააჩერე პირი... რას ვამბობდი?
ჰოო, მთელი დღეა ლიტერატურაზე ვფიქრობ.

გაუჭირდებოდა ცხოვრებაში საერთოდ აღარ აკ-
ითხავდა ეკლესიას, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთ
დღეებში მისვლა არ იქნებოდა მართებული. ღმერთი
ყოველთვის ახსოვდა და არა მხოლოდ გაჭირვების
ჟამს. ყველაფერს ამით ხსნიდა ხოლმე ჩემთან. არც
მარტოსული ყოფილა არასდროს.

ადამიანები ძალიან უყვარდა... უბრალოდ მათგან
ვერ გრძნობდა ანალოგიურს. ერთხელ ატირებული
მოთქვამდა, რომ ადამიანებისგან სიყვარულს კი ვერ
ვგრძნობ, არამედ საერთოდ ვერ ვგრძნობ მათში
სიყვარულსო. სიზმარი უნახავს თურმე, ძალიან უც-
ნაური:

„ქალაქში დავხეტიალობდი, როგორც ყოველთ-
ვის. შემდეგ სიარულისგან დაღლილი ერთ სახლში
შევედი. იქ მხოლოდ სკამები დამხვდა. შემდეგ მე-
ორე და მესამე სახლშიც ვიყავი. ყველგან ერთი და
იგივე მეორდებოდა. ადამიანებსაც შევხვდი რამდენი-
მეგან, თუმცა რაღაცნაირი სიცარიელე იგრძნობოდა
ამ სახლებში. ბოლოს ქალაქისგან განცალკევებით
მდგომ სახლს მივუახლოვდი. შიგნით შესვლისთა-
ნავე ვიგრძენი, რომ ეს ჩემი სახლი იყო. ჩემსას
ნამდვილად არ ჰგავდა, როგორც რეალურად მაქვს,
მაგრამ სიზმრად ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი სახლი
იყო. ბევრად ნათელი იყო სხვებთან შედარებით.

ამ ყველაფერში უცნაური კი ისაა, რომ ერთ-
ერთ ოთახში უფალი იჯდა. ცალი ხელი მაგიდაზე
ჩამოედო და თავი დაბლა ჰქონდა დახრილი. შეს-
ვლისას მაშინვე შემამჩნია და სასიამოვნოდ გამ-
იღიმა. მასთან მიახლოება ვერ გავბედე და იქვე,
შემოსასვლელში, მოკვალათდი იატაკზე.

როგორც მახსოვს, დიდხანს ვისაუბრეთ. მის
თვალეებში საოცარი სიმშვიდე იკითხებოდა... თუმცა
რაღაც მაინც არ იყო რიგზე. საუბრის მიწურულს
ფეხზე წამოვდექი და გასასვლელისკენ დავიძარი,
რა დროსაც უფალი მომიახლოვდა და მითხრა: „თუ
შენ წახვალ აქედან, მაშინ მეც შევწყვეტ არსებობას
ამქვეყნად, რადგან მხოლოდ შენს სახლში განვა-
გრძობ ცხოვრებას. თუ ამ სახლშიც აღარ ვიქნები,
მაშინ ყველაფერი დასრულდება. მხოლოდ შენს
გულშია დარჩენილი ჩემი რწმენა და მხოლოდ შენს
სახლშია დავრჩი მე“...

მითხრა, რომ ის დარჩა იმ სახლში. ახლა კი თა-
ვისი ცხოვრებით ცდილობს, რომ დააბრუნოს ღმერ-
თი ჩვენს სახლებში. მთავარია, რამდენად გაუგე-
ბენ ამ ადამიანს და რამდენად აღარ ჩაუთვლიან
სიგიჟეში ცხოვრების იმ მიმდინარეობას, რომლითაც
ის ცხოვრობს.

...არ მახსოვს, გითხარით თუ არა, რომ ის სხვები-
სგან გამორჩეული იყო?!

დასასრული

ლიტერატურაზე მთელი დღეა ვფიქრობ.
პოეზიაზე, ბელეტრისტიკაზე, ესეისტიკაზე, ოდებზე,
მის სხვადასხვა განხრებსა და მიმდინარეობებზე.
ვაკეთებ საქმეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევ წინ და
ვფიქრობ ლიტერატურაზე.
ვფიქრობ ლიტერატურაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ მივი-
წვევ წინ.
ნაბიჯ-ნაბიჯ ვფიქრობ ლიტერატურაზე და წინ
მივიწვევ.
ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევ წინ და ვფიქრობ ლიტერა-
ტურაზე.
მივიწვევ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ და ლიტერატურაზე
ვფიქრობ.
მივიწვევ წინ და ვფიქრობ ლიტერატურაზე, ნა-
ბიჯ-ნაბიჯ...
ლიტერატურაზე ვფიქრობ... ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევ
წინ და...
არა კონკრეტულ ლიტერატურაზე, ანუ არა მხ-
ოლოდ ვიწრო ეროვნულ, ან ახლო სამეზობლო
ლიტერატურაზე, არამედ მსოფლიო ლიტერატურა-
ზე.
უსაზღვრო უგამშვებ პუნქტებო, უპასპორტო, უბა-
ჟო და უვიზო ლიტერატურაზე.
მსოფლიო ლიტერატურაზე.
თუმცა, რაა მსოფლიო ლიტერატურა, თუ არ
ფიქრობ კოსმიურ-ზეციურ ლიტერატურაზე.
კოსმიურ ლიტერატურაზე, რომელსაც არა აქვს
ენა, მაგრამ აქვს ღრმა აზრი...
რადგან მთავარია აზრი და არა სიტყვები.
არა სიტყვები... რადგან მთავარია აზრი... და...
სიტყვები არა. რადგან აზრი მთავარია...
მაგრამ აქვს ღრმა აზრი... რომელსაც არა აქვს
ენა... კოსმიურ ლიტერატურაზე.
აზრია, უმთავრესი და არა „ბაყაყი წყალში ყი-
ყინებს“, ან „რომელმან შექმნა სამყარო“...
მთელი დღეა ვაკეთებ საქმეს და ვფიქრობ ლიტ-
ერატურაზე.
აბა, ვშრომობ და ვფიქრობ, ვშრომობ და ვფიქრობ.
გაუგებარია, აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ
შეიძლება არ გიყვარდეს მშობლიური ლიტერატურა,
ან გიყვარდეს მხოლოდ მშობლიური ლიტერატურა?
– ამბღრჯღსმჭფურა!
ახლა რაღას ჭამ? გამოტენილი პირით ვერ ვხ-
ვლები რას ამბობ?
– ამდებევრჯანჯღსისხმჭფურა!
გადაყლაპე ეგ ლუკმა და ისე გამაგებინე რა გინ-
და?... რა გინდა? რა გინდა?...
ხაარ, კულტურული ადამიანი, რომელიც დაიბადე
და გაიზარდე კულტურულ გარემოში და გასაოგ-
ნებელია, რომ არ გიყვარს მშობლიური ლიტერა-
ტურა?
ვერ გრძნობ მის ჟღერადობას, სიღრმეს და სიდი-

ადეს?
ის ხომ გონების საკვებია?
ბეგრების ჰარმონია, რომელიც ქმნის ღრმა აზრს?
როგორ ღრმას? ისეთს, რომ შეიძლება დაიხრჩო?
მერე რამდენი ემოციაა?
რამდენი ვნება?
როგორც კი გადაშლი, სისხლი ისე ავიჩქოლდ-
ება, რომ აღიდებულ თერგზე უფრო ძლიერად ამხ-
უილდება და აბობოქრდება!
„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან! / მაგრამ სალა-
მურს თუ მოჰკრა ყური,
ანდამატურის ძალით გამოსწვეს / აქეთკენ მის
გულს ხმა უცნაური“...
როგორი აღწერებია, ბუნების, ადამიანების, სი-
ლამაზის, ატმოსფეროს, მაღიანი საჭმლის,
სასიყვარულო სცენების, დედა-შვილობის, მამა-
შვილობის, დედა-მამობის, ცოლ-ქმრობის, ბებო-
შვილიშვილობის, ბაბუ-შვილიშვილობის, ბებო-ბაბო-
ბის, მამა-ბებობის, ბაბუ-დედობის
დედა-მდედრობის, მამა-მამრობის
„თქვენი ჭირიმე, ჰო, მთებო / ქედაწვდილებო
ზეცადა,
რამ გაგაჩინათ, ნეტარა, / ჩემფერის კაცის
ბედადა?!
ხან კი რომ დაითოვნებით, / ხან დაგედებათ
ნისლი“...
კაცო, ხომ ადამიანი ხარ? ადამიანმა არა გშავა?
ხასიათი ხომ ჩამოგიყალიბდა?
ბაღში ხომ გატარა? ახლა, დამატებით მასწავლე-
ბლებთან, ხომ დადინარ?
მერე კიდე ხომ სწავლობ? ხომ სწავლობ სას-
წავლებელში? სწავლობ, ხომ სასწავლებელში? სას-
წავლებელში, სწავლობ ხომ? სასწავლებელში, ხომ
სწავლობ? ხომ სასწავლებელში სწავლობ?
– იიიიიიი! მშშ! მმმმმ! ავაავავ!
რამხელა ხმაზე ამთქნარებ? არა გრცხვენია?
ხელი მანც აიფარე! გამოუძინებელი ხარ? რატომ?
რატომ? ხომ სწავლობ სასწავლებელში? სწავლობ,
ხომ სასწავლებელში? სასწავლებელში, სწავლობ
ხომ? სასწავლებელში, ხომ სწავლობ? ხომ სასწავ-
ლებელში სწავლობ?
რა, არა გაქვს პასუხი? არ გაქვს რაიმე სათქმე-
ლი? რას ჩაგივდია ენა? რატომ ჩაგიწყვეტია ხმა?
– მნნნ! მნნნნნ! მმმმმმნნნნნ!
რას ხვნეში? რას?
რას კრუსუნებ?
რაას?
მეტი როგორ ავიხსნა? მეტი რა უნდა ვითხრა?
რანაირად ჩაგაგონო მეტი? როგორ ავიხსნა
მეტი?
გჭირს რაღაც სენი. სენი გჭირს რაღაც. რაღაც
სენი გჭირს...

აბა, როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?

როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?.. აბა?

არ გიყვარდეს ლიტერატურა, აბა?.. როგორ შეიძლება?

რანაირად შეიძლება, არ გიყვარდეს ლიტერატურა?

მთელი ცხოვრება ლიტერატურა მასულდგმულებს.

ლიტერატურა რომ არა, შეიძლება ტერორისტი გავმხდარიყავი და ლიტერატურამ მაქცია გაწონასწორებულ კაცად... ჩამომყალიბა ყველასაგან დაფასებულ პიროვნებად...

ღირსეულად გადამალახინა გადაულახავი და დამადლევი დაუძლეველი!

ლიტერატურა, ახლაც მაიძულებს, ადამიანად ვიგრძნო თავი... და შენ, რა გჭირს?

რამ გადაგიგვარა, ეს გონება?

Scientia Potentia Est! – ცოდნა ძალაა.

არა, ნამდვილად რაღაც სენი გჭირს... სენი გჭირს?

დედაც, შენი... ასეთი იყო ასეთი შენი დედაც იყო... ასეთი დედაც შენი იყო შენი დედაც ასეთი... იყო დედაც იყო, შენი ასეთი...

მასაც ბევრჯერ შევა გონე და მერე შეუყვარდა. არ უყვარდა ლიტერატურა, მაგრამ მერე...

– ეეეუუუ! ჰმ! ააახმმმ!

იზმორება კიდევ. ერთ ადგილზეც კი ვეღარ ჩერდება?!

შენი დედა ტყ...ულად აღარ ხარჯავდა დროს...

დედაშენს, უდე... უდე... უდე... უდედ-მამო ბავშვობა ჰქონდა და ალბათ იმიტომ...

ვერავინ შეც... შეც... ვლის მშობლის ამაგს და ამიტომ მასაც არ უყვარდა ლიტერატურა, მაგრამ მერე შეც... შეც. შევააააგონე და შეუყვარდა...

თუკი ამდენი ლაპარაკის მერე კიდევ არ გეყვარება ლიტერატურა, მართლა რაღაც ტრ... ტრ... ტრავმა გქონია. ან სულიერად ავადმყოფი ხარ...

გქონია ტრავმა ან ხარ სულიერად ავადმყოფი მეეე, ლიტერატურამ, ამ ერთგვაროვან მასაში, ხალხში – ადამიანები, პიროვნებები დამანახა!

იცოცხლენად მრავალფეროვანია ხალხი?

უბრალოდ მრავალფეროვანი კი არა, ძალიან მრავალფეროვანი...

მრავალფეროვანი და საინტერესო ადამიანები. ღრმად ადამიანურები. ძალიან ღრმად. ადამიანურები ღრმად.

ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად. ძალიან ღრმად.

ძალიან ღრმად. ეეეჰმ! ოოოჰმ!

მართალი ხარ! მრავალფეროვანი და საინტერესო ადამიანები. ღრმად ადამიანურები. ძალიან ღრმა...

მთელი დღეა ვფიქრობ ლიტერატურაზე. პოეზიაზე, ბელეტრისტიკაზე, პროზაზე, ესეისტიკაზე, ჰაგიოგრაფიასა და დოკუმენტურ პუბლიცისტიკაზე...

ვცოცხლობ – მივაბიჯებ. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევ წინ და ვფიქრობ ლიტერატურაზე.

ვერა ვხვდები, როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?..

დედაც, შენი... ასეთი იყო... ასეთი შენი დედაც იყო... ასეთი დედაც შენი იყო... შენი დედაც ასეთი იყო... დედაც იყო, შენი ასეთი... არ უყვარდა ლიტერატურა, აბა?.. შენც არ უნდა გიყვარდეს? ეს როგორ შეიძლება?

დედაც, შენი... ასეთი იყო... ასეთი შენი დედაც იყო... ასეთი დედაც შენი იყო... შენი დედაც ასეთი... იყო...

გჭირს რაღაც სენი. სენი გჭირს რაღაც. რაღაც სენი გჭირს... დედაც იყო, შენი ასეთი... დედაც, შენი... ასეთი იყო...

აბა, როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?

ასეთი შენი დედაც იყო... ასეთი დედაც შენი იყო... შენი დედაც ასეთი... იყო დედაც იყო, შენი ასეთი...

არ გიყვარდეს ლიტერატურა? ჰმ, აბა?.. როგორ შეიძლება?

მეტი როგორ ავიხსნა? მეტი რა უნდა გითხრა? რანაირად ჩაგაგონო მეტი? როგორ ავიხსნა მეტი?

გჭირს რაღაც სენი. სენი გჭირს რაღაც. რაღაც სენი გჭირს...

აბა, როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?

– აფცი! აააფციიი! მნნნ! მნნნნნ! მმმმმმნნნნნ!

იცოცხლე! გაცივდი სადმე? აქეთ გადმოჯექი და მოიფარე ეს!

როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?.. აბა?

რანაირად შეიძლება არ გიყვარდეს ლიტერატურა?

მთელი ცხოვრება ლიტერატურა მასულდგმულებს.

ლიტერატურა, რომ არა, შეიძლება ტერორისტი გავმხდარიყავი და ლიტერატურამ მაქცია გაწონასწორებულ კაცად...

ღირსეულად გადამალახინა გადაულახავი და დამადლევი დაუძლეველი!

გადაულახავი ღირსეულად გადამალახინა და დაუძლეველი დამადლევი!

დამადლევი ღირსეულად გადაულახავი და გად-

ამლახინა დაუძლეველი!

ლიტერატურა, ახლაც მაიძულებს ადამიანად ვიგრძნო თავი...

ახლაც მაიძულებს ლიტერატურა, ვიგრძნო თავი – ადამიანად...

ადამიანად ვიგრძნო თავი, ლიტერატურა ახლაც მაიძულებს...

შენ რა გჭირს?! რა გჭირს შენ?!

რამ გადაგიგვარა ეს გონება?

არა, ნამდვილად რაღაც სენი გჭირს არა, სენი გჭირს ნამდვილად რაღაც რაღაც სენი ნამდვილად გჭირს არა? ნამდვილად სენი გჭირს. სენი გჭირს, ნამდვილად... გჭირს ნამდვილად სენი

ენსი. ენსი. ნისე. ინსე. სინე. ნესი.

იცი რა ერქვა კალიფორნიის 33-ე გუბერნატორს და ამერიკის მე-40 პრეზიდენტის ცოლს?

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ! მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

არ იცი!

ნენსი.

ენსი. სინენ. ნიენს

...თუ განათლება არ გაქვს – დაიღუპები!

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

ნუ იცოხნები! საიდან გაქვს ამდენი საღეჭი რეზინი იცოდე, გაუნათლებელი კაცი მკვდარია. ზომბია, ცოცხლებს შორის და მეტი არაფერი.

ვერც კი წარმოგიდგენია, რა კარგი რამაა – ცოდნა, კითხვა, სწავლა?

კაცს როგორ შეიძლება განათლება არ უნდოდეს?! კითხვა არ უყვარდეს?! არ ეტრფოდეს ლიტერატურას

არ ეტრფოდეს ლიტერატურას და კითხვა არ უყვარდეს?! არ უყვარდეს კითხვა?! ლიტერატურას არ ეტრფოდეს ლიტერატურას არ უყვარდეს?! კითხვას არ ეტრფოდეს კითხვას – ლიტერატურას არ ეტრფოდეს და არ უყვარდეს?! არ ეტრფოდეს და არ უყვარდეს კითხვა – ლიტერატურა კითხვა არ უყვარდეს?! არ ეტრფოდეს ლიტერატურას...

გაუნათლებელი კაცი მკვდარია. ზომბია, ცოცხლებს შორის და მეტი არაფერი. მკვდარია გაუნათლებელი კაცი. ცოცხლებს შორის ზომბია და მეტი არაფერი. გაუნათლებელი კაცი ზომბია. მკვდარია, ცოცხლებს შორის და მეტი არაფერი...

...ესეც ასევე! მორჩაა...

Aquila non captat muscas! – არწივი არასოდეს დასდევს ბუხებს.

„ვოტ ი ვსიო!“.

„ფინიტა ლა კომედია!“

აბა, როგორ შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს?

რამ გადაგიგვარა ეს გონება?

არა, ნამდვილად რაღაც სენი გჭირს.

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა. / გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! – / ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა. / და ვწერ ვინმე მესხი მეღეპსე მე რუსთველისად ამისა.“

– მშია მე!

მეც, ისე მომშივდა, რომ ძვლებიანად შეგახრამუნებ! გააქვს ერთი ცალი საღეჭი რეზინი? მეც მომინდა. მაღლობა, შვილო!

Finis Coronat Opus! – საქმეს დასასრული ავირგვინებს. აბააა?!

დავიძარიო.

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

იცი, იყო დრო, როცა შენხელა, ჩემხელა, უფრო პატარები და და უფრო ბებრები... ერთად ვიდექით და ვმღეროდით:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..

აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,

თუმცა ძველნი დაგვმორდნენ, ახალნი ზომ შენია... მათ ახალთ აღვიდგინონ შენ ღიღების ღღენია, –

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?“

ვმღეროდით და ყველას გვბურძღვავდა... ვმღეროდით და ეს ერთი ციცქნა ქვეყანა უზარმაზარი ხდებოდა...

„წვილშვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი,

გულმტკიცები,

მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,

არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდობი.

მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით

მთენია, –

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?“

სად წავედით, სადა? რა დაგვემართა? რაა?

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

– მამა მშია! მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

– ჩემო თვალის სინათლევე... წავედით ვჭამოთ!

მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

– მღვ-მღაჭ-მჭლ-მღაჭ!

ხობა /ჩახობ-ახა/ ახაბანი



გაზაფხული ჩემს სამშობლოში

რაკი აქა ვარ, ჩემს სამშობლოში...

და მე სულ აქა ვარ, –
პირველად ჟინვალის კართან – არაგვისპირას
შევხვდები გაზაფხულს,
მჭკვივანა ბზებთან და თიბურ-ლენგისგან დამწვარ
ქალაქთან
და დავრჩები სახტად!..

სისხლსა და ძვლებზე კარგად ხარობს

გაზაფხული...
გასკდება კვირტი და იქცევა მწვანე ჰაერად...
ყვავილი გაისკვნება და კოკორში მზე ჩაიბუდებს,
საკურთხეველის გადახრილ კედელთან, ტყემლის
ტოტზე,
ჰყვავის ჩვილის თეთრი კვართი...

მერე გამეპარება, წავა გაზაფხული ჟინვალიდან
და მომიცდის ფშავში...

მე სწრაფად გავეკიდები უკან:
მეორეჯერ იქ – შუაფხოში შევხვდებით ერთმანეთს,
ბებერი ხევისბერის, მაღალი ბიჭურის სახლთან –
სადაც ისევ ძოვენ ლაშარის უმწყემსო კრავები...
და მწვერვალებზე გადმოდგარ მთვარეს
ნისლისფერი გველები ლოკავენ...

დაჭრილი სუმელჯის ქალი გამოიხედავს საკმიდან
და გამსკდარ კვირტს დამანახებს –
მე სიხარულის ცრემლი წამსკდება...
მერე ფუტკრები თაფლიან ხილილოს მომიტანენ
და მტკივან გულზე სალბუნს მდებენ...

მესამეჯერ ხევსურეთში შევხვდები გაზაფხულს –
იქ მიმელის გაზაფხული:
ჯერ თოვლიანი მთების ძირას, გიგაურთისველაში,
სადაც გაცვეთილი კუტმაღალის ნიში ისევ დგას
და ქალწულები ლამაზი ნაგაზებით სდარაჯობენ...
შემდეგ მწვერვალებისაკენ ილტვის
ბებერი ხევისბერის, მაღალი ბიჭურის სახლთან –

სადაც ისევ ძოვენ ლაშარის უმწყემსო კრავები...
და მწვერვალებზე გადმოდგარ მთვარეს
ნისლისფერი გველები ლოკავენ...

დაჭრილი სუმელჯის ქალი გამოიხედავს საკმიდან
და გამსკდარ კვირტს დამანახებს –
მე სიხარულის ცრემლი წამსკდება...
მერე ფუტკრები თაფლიან ხილილოს მომიტანენ
და მტკივან გულზე სალბუნს მდებენ...

მესამეჯერ ხევსურეთში შევხვდები გაზაფხულს –
იქ მიმელის გაზაფხული:
ჯერ თოვლიანი მთების ძირას, გიგაურთისველაში,
სადაც გაცვეთილი კუტმაღალის ნიში ისევ დგას
და ქალწულები ლამაზი ნაგაზებით სდარაჯობენ...

შემდეგ მწვერვალებისაკენ ილტვის
და ჯვრის უღელტეხილიდან ერთად გადვიხედავთ
შატილისკენ!
მშვიდობა სამწყსოსა ამას:
ტყეთა, წყაროთა და ფრინველთა!
ნეტაი იმას,
ვისაც წელიწადში სამჯერ შეუძლია გაზაფხულთან
შეხვედრა
და შესაძლოა, უფრო მეტჯერაც, თუ ჭკვიანად
იქნება!..

სამწუხაროდ, ქალაქებს არა აქვთ ნამდვილი
გაზაფხული, –

იქ სულ ერთი დროა,
ხალხის გახუნებული ტალღა ერთიდაიმავე კალოს
ლეწავს
და ჩრჩილის ნაჭამი პალტოები ვერ ასწრებენ
სულის მოთქმას...

სარდაფებში არ იცის გაზაფხული!
გაზაფხული არაგვის ჭალებზე იცის,
ლიხთ – იმერეთში იცის ხის წისქვილებთან,
წაბლისა და ბროწეულის ველურ ტყეებში...
ქალაქში კი გაზაფხული ადიდებულ მდინარეებს
ჩამოაქვთ!

ჩვენს ყოველ შეხვედრას,
ჩემს სამშობლოში გაზაფხულის გამოცხადებას,
თან უსაზღვრო სიხარული და ვნებათაღელვა
ახლავს, –
რომელიც ჯვარისწერის მისტერიას უდრის...
და რის შემდეგაც, ერთხანს მარტოკა ვრჩები
და მოჟრიალე წვიმების კარავში ვცნოვრობ!



ბრძენი მალალობელი

ლალი ურდულაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

ეს მოკრძალებული მოსაგონარი თბილისის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის რექტორს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, არაერთი თაობის აღმზრდელსა და ახალგაზრდობის ქომაგს, ბატონ ვახტანგ თორაძეს ეძღვნება.

ვახტანგ თორაძეზე წერა ადვილიც არის და ძნელიც.

თითოეული ადამიანის მოვლინება უზენაესის ღვთიური ნებაა და ალბათ ყოველ ჩვენგანს მასზე დაკისრებული გარკვეული მისია აქვს დედამიწაზე. ვახტანგ თორაძის შემთხვევაში ეს არის ის, რასაც სიკეთის ქმნაობა და მისი მსახურება ჰქვია. სწორედ სიკეთისთვის, მხოლოდ უანგარო, ქვაზე დადებული სიკეთისთვის იყო მოვლენილი ბატონი ვახტანგი წუთისოფელში. ქველმოქმედება და უნარი ამ ქმედებით საკუთარი ბედნიერების შეგრძნებისა, იყო ვახტანგ თორაძის ამქვეყნიური არსებობის საყრდენი და საფუძველი.

ერთხელ ერთმა ბატონი ვახტანგის უახლოესმა მეგობარმა თქვა, ამ კაცის მთელი სიმდიდრე და ქონება მხოლოდ მისი სახელი და გვარიყო. მართლაც ასე იყო, ოღონდ ეს სახელ-გვარი ბევრის მილიონობით დაგროვებულ სიმდიდრეს აღემატებოდა.

სულიერ ტალანტს, ღვთისგან საჩუქრად ბოძებულს, საწყაო არ გააჩნია. არც არავის აუზომ-აუწონია ის მაღლი, რაც უანგაროდ გაიცემა ისეთი ალალ-მართალი კაცის ხელიდან, როგორც ბატონი ვახტანგი ბრძანდებოდა. ბუნების ძალას უმურველად დაებერტყა მისთვის ადამიანების სიყვარული, მათი თანადგომისა და თანალობის უნარი, მატერიალურ ქონებაზე სულიერი სიმდიდრის აღმატებულობის პატივისცემა, რაც ასე იშვიათია საზოგადოებაში დღესაც და ნებისმიერ ეპოქაშიც.

მრავალწლიანი ურთიერთობის მანძილზე ბატონი ვახტანგი მუდმივად გვაოცებდა თავისი ამოუწურავი ენერგიითა და სიცოცხლის ხალისით, ოუმორით, დაუშრეტელი ფანტაზიითა და ახალ-

ახალი სიურპრიზებით. მისი მორალურ-ზნეობრივი კრელოს გამომხატველი იყო ის შეუღარებელი სადღეგრძელოები, რომლებიც ერთდროულად დაგაფიქრებდა და აღგაფრთოვანებდა კიდეც. გაცებით მოვისმინე მისგან მონღოლის სადღეგრძელო. ვერ მივხვდი, რატომ უნდა დაგველოცა საქართველოს დაუძინებელი, სისხლისმსმელი მტერი. ეს იმ მონღოლს გაუმარჯოს, ვინც ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა დაინახა და დააფასაო. ან კიდე, იმ ბედისწერას გაუმარჯოს, რომელმაც შიმშილისაგან სულთმობრძავი არწივი მძორს არ მიაკარა, მონადირის ტყვიამ განგმირაო.

მახსოვს მის კაბინეტში მოწყობილი ლოცვის კუთხე. აუცილებლად ყოველ დილას აანთებდა სანთელს და ღმერთს აღუვლენდა ვედრებას. ძალიან უყვარდა ყვავილები. ყოველთვის ამშვენებდა მის კაბინეტს ულამაზესი ყვავილების თაიგული და ასევე თაიგულით გვილოცავდა ყოველ დაბადების დღეს.

წლების განმავლობაში ინსტიტუტში ჰყავდა მოხუცი დამლაგებელი ქალი ანიკო. არასდროს ავიწყდებოდა მისი დაბადების დღე და აუცილებლად საჩუქრით აღუნიშნავდა ხოლმე. დეიდა ანიკოს ცრემლი მოადგებოდა თვალებზე და მაღლიერებით ეტყოდა: ბატონო ვახტანგ, თქვენს მეტს არავის ახსოვს ჩემი დაბადების დღეო.

ბატონ ვახტანგს ჰქონდა უნარი, მოებრუნებინა და სწორ გზაზე დაეყენებინა ნორმალური ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნილი ახალგაზრდები. მისი სათნოებისა და კეთილშობილების წინაშე უძღური იყო თვით ყველაზე დიდი ბოროტებაც.

საოცარი იყო ის გარემოება, რომ ბატონ ვახტანგს გამოვლილი ჰქონდა ძალიან რთული და მძიმე ცხოვრების გზა, ნაგემი ჰქონდა ობლობის სიმწარე და გაჭირვება, გადაყრილი იყო არაერთ უმსგავს და ბოროტებით სავსე ადამიანს. ძველ თბილისელებს დღემდე ახსოვთ ვახტანგ თორაძე-

სიცოცხლის ბოლომდე ბავშვივით სუფთა და შეუ-
რყენელი, უმწიკვლო და პატიოსანი—ამ სიტყვის
ყველაზე მაღალი მნიშვნელობით. მას თითქოს
არც ეხებოდა ცხოვრების ბიწი და ადამიანურ
ცოდვათა ქარიშხალი, არადა, მას, წლების მანძილზე
ინსტიტუტის რექტორს, არაერთი მაცდუნებელი
წინადადების მოსმენა მოუწია, თუმცა მის სულს
მანკიერება არ მიჰკარებია. ბავშვივით უხაროდა ის
მცირედი ყურადღებაც კი, რის გამოჩენასაც ჩვენ,
მეგობრები, ვახერხებდით ყოფიერების სიმძიმედან
გამომდინარე.

ძალიან შთამბეჭდავი იყო და არის ჩემთვის
დღემდე მისი დამოკიდებულება და განცდა დედის
მიმართ. სისტემატურად დადიოდა ბატონი ვახტანგი
დედის სასაფლაოზე, დიდი ტკივილითა და სიყვარუ-
ლით იხსენებდა ყოველთვის და საგანგებოდ უვლიდა
მის საფლავს. საგულისხმოა, რომ სწორედ დედის
გვერდით პოვა სამუდამო განსასვენებელი.

ბატონი ვახტანგის განსაკუთრებული და გულის-
გულში გატარებული სიყვარული იყო მისი ერთად-
ერთი ასული ნინო — ისიც ისეთივე არაორდინარული,
სხვათაგან გამორჩეული თავისი პიროვნული თვისე-
ბებით. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ბატონი
ვახტანგი ნინოს ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ სულ
რამდენიმე თვეში აღესრულა. ის, ვინც მეგობრობდა
ბატონ ვახტანგთან, სრულიადაც არ გაიოცებდა მის
უეცარ აღსასრულს. ნინო იყო მისთვის ცხოვრების
აზრი და მიზანი, იმედი, ნუგეში და სამყაროსთან
მაკავშირებელი ძაფი. არასოდეს დამავიწყდება ბა-
ტონი ვახტანგის გაქვავებული, უძარღვო, გაყინული
სახე ნინოს სამარის წინ. მე მაშინ გავიაზრე, რომ
მამაც შვილთან ერთად დაიმარხა იქ, იმ დღეს, იმ
საათში. სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის შემდეგ
დაიწყო იმ სენის აბობოქრება, რომელმაც იმძლავრა
და ბოლო მოუღო მას.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ვახტანგ თორაძის
კოლოსალური ნაშრომი „საქართველოს მართლ-
მადიდებლური ეკლესიის ისტორია“, რომელსაც ის
სამი ათეული წლის განმავლობაში მეცნიერული
კეთილსინდისიერებითა და ისტორიული სამარ-
თლიანობის დაცვის პრინციპით, შთავგონებითა
და რუდუნებით ქმნიდა. ეს წიგნი დიდი ხნის
განმავლობაში ელოდა მზის სინათლეს... ავტორს
სთავაზობდნენ უზარმაზარ თანხას საავტორო
უფლების დათმობის სანაცვლოდ, ფიზიკური გა-
ნადგურებითაც კი ემუქრებოდნენ, მაგრამ ამაოდ.
პიროვნული და მეცნიერული პირუთვნელობა
ყველანაირ ცდუნებაზე მაღლა იდგა მისთვის და
მაღლობა ღმერთს, რომ ეს შეუდარებელი მონოგრა-
ფია ავტორმა იხილა წიგნად გამოცემული. ალბათ
დადგება საქართველოში დრო, როდესაც ბატონი
ვახტანგის ამ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს ადეკვა-
ტური შემფასებელი გამოუჩნდება და ეს მართლაც
ფასეული ნაღვაწი ფართო საზოგადოების ყურადღე-
ბას მიიპყრობს, გვეჯერა ის დამსახურებულ ადგილს

დაიკავებს ქართული კულტურისა და საქართველოს
სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში.

ცალკე აღსანიშნავია ვახტანგ თორაძის პოეტური
კრებულები, რომლებიც განათებულია ავტორის სუ-
ლის მზითა და მაღლით.

ბატონი ვახტანგი ყოველთვის ახერხებდა გამოე-
ძებნა დრო მეგობრისათვის, დასდგომოდა გვერდში
სწორედ იმ მომენტში, როდესაც ასე ელოდნენ მის
თანადგომას. სამწუხაროდ, ეს ყველა ჩვენგანს არ
ძალგვიძს, ალბათ ჩვენივე ცხოვრების აჩქარებული
მაჯისცემიდან გამომდინარე, ან კიდევ უფრო დიდი
შინაგანის არქონის გამო. ერთხელ მე და ჩემმა
მეგობარმა მოვინდომეთ გვესაძლია. გავჩერდით შუა
ქუჩაში და ვთქვით, მოდი, დავრეკოთ მეგობრებთან,
ვნახოთ, ვინ მოვა ახლა ჩვენთანო. ბატონი ვახ-
ტანგი იმ მომენტში საჯარო ბიბლიოთეკაში იჯდა
და თავის მომდევნო წიგნზე მუშაობდა (ძალიან
სურდა გამოეცა „ქართული სპორტის ისტორია“).
დავრეკეთ, გვითხრა, ვმუშაობ და ვერ მოვახერხებო.
გული დაგვწყდა. სულ რამდენიმე წუთში თავად
დარეკა, სად ხართ, მოვდივარო. მართლაც, ცოტა
ხანში ჩვენთან გაჩნდა.

თავისი საქციელით ის გვაძლევდა სანიმუშო
მაგალითს ჭეშმარიტად გულითადი, მეგობრული
ურთიერთობისა. მას ყოველთვის შეეძლო მოეძებნა
ის სიტყვა, რომელიც დაგამშვიდებდა, საკუთარი თა-
ვის რწმენას შევმატებდა, თავისთავში დაგაბრუნებდა.
მისი შეგონებანი არასდროს ატარებდა სამომდევრო
ხასიათს, მხოლოდ მინიშნებით, იუმორითა და
ლალი საუბრით მოგაწვდიდა ცხოვრებისეულ გამოც-
დილებას, ამიტომაც აღიბეჭდა ის ჩვენს ხსოვნაში,
როგორც ბრძენი მალაღობელი.

მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა
ოთხასი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულ
ფერეიდნელ ქართველთა იმ პირველ ნაკადს,
რომელთაც არასდროს დაავიწყებიათ ბატონი ვახ-
ტანგის მშობლიური ზრუნვა და ამაგი. ჯერ კიდევ
ათი წლის წინ ის, ჩვენი სასიქადულო პატრიარქის,
ილია მეორის შემდეგ, რეალურად პირველი დაუდგა
მხარში ცისარტყელას ქვეშ გამოვლილ, შაჰის მიერ
ირანის უდაბნოში გადახვეწილ ქართველთა შთა-
მოძავლებს, სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა
მათ თავის ინსტიტუტში მშობლიურ ენასა და
ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, ხალხური
სიმღერის ანსამბლიც კი ჩამოაყალიბა მათგან, ჩონხები
შეუქერა და ქართულ სცენას აზიარა.


ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც არიან საზოგა-
დოებაში ადამიანები, რომლებიც არ ბერდებიან.
ვახტანგ თორაძეც ამ იშვიათ გამონაკლისთაგანი
იყო. ის არ დაბერდა. არ დაბერდა, რადგან სი-
ცოცხლის ბოლომდე უხვად ეფრქვეოდა სითბო
და სიყვარული მეგობართა, ახლობელ-ნათესავთა,
აღზრდილთა, დიდთა და პატარათა... მაგრამ, როცა
მისი უმთავრესი მაცოცხლებელი წყარო დაიშრიტა
მისი ნინოს სახით, მაშინ ბატონი ვახტანგიც უხმოდ,

თუმცა დაუბერებლად წავიდა ამქვეყნიდან.

მუდამ ამაღლებული განწყობით მოსიარულე, ღიმილიანი, იმედიანი, უჩვეულოდ რომანტიკული, წყვილადშიც კი სინათლის მაძიებელი, მეოცნებე და ილუზიური სამყაროს რეალობად გარდამქმნელი, – ასეთი ახსოვთ ბატონი ვახტანგ თორაძე მის ახლობლებს, მეგობრებს, სტუდენტებს, კოლეგებს, თუნდაც შემთხვევით ნაცნობებს.

დიდებული ადამიანები, მართლაც, ჩუმად მიდიან ამქვეყნიდან, ისევე როგორც უხმაუროდ მიედინებიან დიდი მდინარეები. ვახტანგ თორაძის მამულიშვილური ღვაწლი და შემოქმედებითი მიღწევები ხაზგასმით არასოდეს აღნიშნულა მის სიცოცხლეში, მხოლოდ „იმედის გმირების“ ერთ-ერთი გადაცემის მოკრძალებული პერსონაჟთაგანი გახლდათ. თუ მწერლობა მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლებაა მართლაც, როგორც დიდი მწერალი ბრძანებს, მაშინ ეს მცირე სიტყვაც ბატონი ვახტანგის მამულიშვილური ღვაწლისა და გამორჩეული ზნეობრიობის მოსარჩლედ დარჩეს.

ახალი ნიგნინი



გამოიცა ლალი ურდულაშვილის კრებული – „მზისა და ვახის ძალით აღვსილი“

გამოვიდა ფილოლოგიის დოქტორის, ლალი ურდულაშვილის წერილებისა და ესეების კრებული: „მზისა და ვახის ძალით აღვსილი“.

კრებული ეძღვნება დიდი მეცნიერის – რევაზ სირაძის ნათელ ხსოვნას... მისივე სიტყვები უძღვის კრებულს წინ: „მშვენიერება სასწაულია, ისაა იდუმალეზით მოცული და მიმზიდველი „რაღაც“. ეს იდუმალეზა ეხსნება და ემორჩილება სულითა და ხორციით ძლიერთ, ვისაც ძალუძთ ამ სასწაულით ტკობა“. სწორედ ეს იდუმალი მშვენიერებაა ჩაქსოვილი ლალი ურდულაშვილის თითოეულ წერილსა თუ ესეში. კრებულში მრავალ საინტერესო ნაწარვეს გაეცნობით, რომელსაც ლიტერატორი სხვადასხვა გამოცემაში აქვეყნებდა.

„შეგუნარჩუნოთ სულს – ადამიანში ღვთაებრივს – ღვთაებრივი არსი“, – ასკვნის ავტორი ბოლოთქმაში. ეს წიგნიც ამ ღვთაებრივის გადარჩენას ემსახურება.

წიგნის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, რეცენზენტი – ნანა კობახიძე.



ნიკო ლექავა, ანუ „ერთი შვილ მაინც გავზარდე“...

ერთი ცელქი, ონავარი ბიჭი იყო, მაინცადამაინც კარგად ვერ გრძობდა თავს მერხზე, არც მასწავლებლები ვეხატებოდით დიდად გულზე, რადგან მის თაობას მასწავლებელი თოფიან კაცად მიაჩნდა, მოსწავლე კი – მიჯაჭვულ ამირანად, ყოველ შემთხვევაში ასე წერდნენ თავიანთ ფოლკლორში, მაგრამ, როცა იწვინა და საკუთარ გულში ჩაიხედა, საიდანაც სინდისმა შეანათა თვალებში, პოზიტივისკენ შემობრუნდა, ასე დაიწყო კათარზისის ერა მის ცხოვრებაში – რამეთუ მოხდა გაუგონარი მეტამორფოზა.

პირველად აფხაზეთში გაეშურა, სადაც ვაჟაკ-ცურად იბრძოდა... იქიდან დაბრუნებულმა ეკლესიის კარები შეაღო – მორწმუნე ქრისტიანი გახდა და პატიოსან შრომას მიჰყო ხელი. მალე ცოლიც შეირთო და სამშობლოს წინაშე გენეტიკური ვალიც ბრწყინვალედ მოიხადა – ექვსი შვილის მამა გახდა.

ნიჭი ბავშვობიდანვე დაჰყვა: ემარჯვებოდა ფუნჯი და უჭრიდა კალამიც, რომელთა წყალობითაც შექმნა შესანიშნავი ფერწერული ტილოები და საინტერესო მხატვრული ნაწარმოებებიც; მოთხრობათა კრებული, სახელწოდებით „დღიური“ და ფანტასტიკურ-ფილოსოფიური ჟანრის რომანი „ციხის სახლი“, რომელიც, ჩვენი თვალთახედვით, გახლავთ შედევრი ქართული პროზაული შემოქმედებისა.

ნაწარმოებში წარმოჩენილია XX საუკუნის მიწურულის საქართველო, კონკრეტულად მოქმედება მიმდინარეობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც სრულად მოჩანს ის სინამდვილე, რაც ეპოქისათვის განხლდათ დამახასიათებელი: ერთთავად და ტრადიციულად ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ მღვრიე წყალში დიდი, მსუყე თევზის დაჭერის სურვილი, მოხვეჭის დაუოკებელი ჟინი და უსუსურთა უღმობელი ჩაგვრა. ამდენად, აქაც არის ტრადიციული დაპირისპირება კეთილსა და ბოროტს, სიწმინდესა თუ უწმინდურებას, გონიერებასა და უგუნურებას შორის, (მოქმედებენ დადებითი და უარყოფითი პერსონაჟებიც), მაგრამ მაინც არის სიახლე, რომელიც ვლინდება ამაღლებულ იდეათა არსებობის უტყუარობის, მათი გამარჯვებისათვის ბრძოლის აუცილებლობასა და ამ გამარჯვების მიღწევის სწორუპოვარ ინტელექტუალურ

დასაბუთებაში. ნაწარმოები, გადაუჭარბებლად ვაცხადებ, გამოაგნებელია მსოფლმხედველობრივი სიღრმით, აზრთა მდინარებით, აფორიზმების სიუხვით და ა. შ. – ხოლო არაორდინალურია წერის მანერით, მხატვრული სტილით, რაც თავს იჩენს, პირველ რიგში, ორიგინალური სიუჟეტის შერჩევასა და პერსონაჟთა ინდივიდუალიზმში (ფსიქიატრიულ პაციენტთა ცხოვრება, წარმოსახული სამყარო), შემდეგ კი გამოსახვის საშუალებებში. ჩვენი აზრით, მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას ძირითადად განსაზღვრავს დიალოგების სიუხვე და მათი ოსტატურად მიმდინარეობა, რაც იშვიათად ეხერხება ბევრ მწერალს, არადა საშინელებაა უბოლოო მონოლოგის მანერით შესრულებული ნაწარმოები, მოსაბეზრებელი უგრძესი თხრობა, რაც ბევრ ქებულ მწერალს ახასიათებს, მაგრამ მაინც განდიდებულია, რატომ – გაუგებარია!

ნიკო ლეჟავას გამოსახვის საშუალებათაგან კი გასაოცარია სწორედ მოსხეპილი, ცოცხალი, აფორისტული ფრაზეოლოგიით პირსავსე დიალოგები და ახალი სახის იუმორი – ირონიზირებული, აქა-იქ ცინიზმში გარდამავალი, მაგრამ მაინც ჯანსაღი იუმორი – გამოვლენილი განსაკუთრებით ჭარბად „ცის სახლში“.

ნაწარმოებში სიუჟეტი ასე იშლება: საავადმყოფოს თვით მის ხელმძღვანელთა ინიციატივით ესტუმრება ფოტოხელოვანი ალექსი, რათა გადაიღოს ის მძიმე სურათი, რაც აქ არსებობს ავადმყოფთა კვებით მომსახურებასა თუ სხვა აუცილებელ საჭიროებათა მიწოდების მხრივ. მიზანი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისაგან დახმარების გამოტყუებაა, რათა თვითვე ისარგებლონ ამით და არა შეუმსუბუქონ მდგომარეობა პაციენტებს, რომლებიც, ზოგჯერ საავადმყოფოს გარეთ გადიან სარჩოს მოსაპოვებლად: მათგან ვინ მათხოვრობს, ვინ ბუნკერში იქექება, ვინ რაღაც საშუაოს ეწვევა, მაგალითად, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი პაპარაცი და ა. შ.

პაციენტებს გართობის არავითარი საშუალებაც კი არ გააჩნიათ. ალექსს შეებრალება ისინი და შეუძენს ტელევიზორს, მაგრამ მთავარი ექიმი მას იპარავს. ავადმყოფებს რჩებათ მხოლოდ მუყაოს ყუთი, რომელსაც ხსენებული პაპარაცი არ მოიხვრის, შედებს კარადაზე და წარმოიდგენს მთელი ტელევიზიის სახით – ასე იქმნება წარმოსახული სამყარო, რომელსაც წარმართავს პაპარაცი და „მიჰყავს გადაცემები“. აღსანიშნავია, რომ წარმოსახულ სამყაროში მოქმედების მიმდინარეობა ისე ვირტუოზულადაა არეკლილი, რომ მყარად აღიქმება, როგორც რეალობა. ზოგადად კი მთელ ნაწარმოებში მრავალი ისეთი თემა თუ პრობლემაა დაყენებული, მთელ კაცობრიობას რომ აღელვებს. მაგრამ აქა-იქ არის ისეთი ინტელექტუალური ლაბირინთებიც, რომელთა გარღვევა მოკვდავს გაუჭირდება და მხოლოდ გონივრული ინტუიციით თუ გაიკვლევს

გზას – ისე, ვით ამ მიმოხილვის ავტორი.

პირველად „პაპარაციის ტელევიზიაში“ ხელოვნების თემა იხილება, რომელსაც მხატვარი პაციენტი გაიოზი წარმართავს, ვინც აწყობს რა თავისი ნახატების – „სიზმარი“, „ნადირობა“, „ბუშტის მბერავი“ და სხვა მრ. გამოფენას – თავადვე მსჯელობს მათზე, ყვება რა, თუ რამ უბიძგა ამ ნახატების შექმნისკენ. სწორედ აქ იქმნება ინტელექტუალური ლაბირინთი, რადგან მსჯელობა ძალზედ მრავალწახნაგოვანია და რთულია მათი დანაწევრება, რთულია, „ვინაიდან“ აქ იმდენი ალეგორია, სიმბოლო, აზრი, პერსონაჟი (თვით კაენიც კი) ირევა, მათში გაღწევას ფანტასტიკური გონება სჭირდება, თვალსაჩინოვდება მხოლოდ ის, რომ მწერალს და მის პერსონაჟს აღელვებთ, რომ ერთ დროს საზოგადოებას გაუჭირდა მხატვრობაში ზოგიერთი მიმდინარეობის, მაგალითებზე იმპრესიონიზმის, შემეცნება, აღელვებთ ასევე ისიც, რომ ოდესღაც პრიმიტივისტებსაც ზემოდან დახედეს და გულგრილად მოეკიდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ „გაიოზის გამოფენაზე“ ნიკო ფიროსმანის ლანდიც გაიელვებს და ამგვარი დიალოგი იმართება:

- ნიკალა, ყველას ყველაფერი გვაპატიე...
- გვაპატიე, შიმშილში რომ ამოგხდა სული!
- სულიერი საზრდოთი ვიყავი მადლარი.
- გვაპატიე, შენს საფლავს რომ ვერ გაუფრთხილდით!

– ცოცხალ კაცს საფლავი არ სჭირდება!

მონანიება და მადლის დანახვა ნიკო ლეჟავას სულის მარგალიტებია. გაიოზის შემდგომ წარმოსახული ტელევიზიის სამყაროს ეწვევა პაციენტი „მეცნიერა“ – გიჟად შერაცხილი თავისი ორიგინალური შეხედულებების გამო. ის ეხება კაცობრიობის მიერ დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემას სამყაროს წარმოშობის შესახებ და ისე დასაბუთებულად ანგრევს (რასაკვირველია, პაპარაცთან დიალოგში) მატერიალისტურ მსოფლმხედველობას ამ პრობლემის ირგვლივ, შეუძლებელია, მოაზროვნე გონის საწიერი ტექტონიკურად არ შეზანზარდეს. მეცნიერა აცხადებს: „მეცნიერებაში გაბატონებული აზრის თანახმად, სამყარო წარმოიქმნა დიდი კოსმიური აფეთქების შედეგად. მისი აზრით, აფეთქება აქ არაფერ შუაშია. მიაჩნია, რომ სამყარო არა მზარდი, არამედ რხევადია გარმონის გახსნა-შეკუმშვის ანალოგიური. აქვე წაიცინიკებს, რომ „მეცნიერთა ერთ ნაწილს „გარმონის“ ხსენებაზე დოლი და ღვინით სავსე ჭიქები გაახსენდება. მას აღიზიანებს, რომ მეცნიერება ცნობს მხოლოდ მატერიალურ სამყაროს, არადა არამატერიალური სამყაროც არსებობს“ – მტკიცედ ასკვნის. მისი აზრით, მატერიალური და არამატერიალური სამყარო (ეს ცხადია თავისთავად) ერთად არსებობს, მაგრამ აქ ერთი მეორეზე იმდენად აღმატებულია, რომ მას დამოუკიდებლადაც გააჩნია სრულყოფილი სახე, რომელიც მატერიალურის არა პარტნიორი, არამედ მისი

მფლობელია“.

მეცნიერას აზრით, ადამიანი სამყაროს ანალოგიურადაა შექმნილი და შედგება სხეულისაგან, რომელიც მატერიაა და სულისაგან, რომელიც მატერია არ არის. თვლის, რომ „სული ადამიანში ყველაფერია“ და სწორედ ამის ნიშანია ის, რომ სული სხეულში მხოლოდ დროის გარკვეულ მანძილზე იბუდებს და შემდეგ მისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას“, ამიტომ, როგორც ადამიანის შემთხვევაშია – სხეულს განაგებს სული, ასევე სამყაროშიც მატერია ემორჩილება უზენაეს ინტელექტუალურ ძალას... სულს... დიახ, სამყარო სულია და მისი გაშლა არა დიდ აფეთქებად წოდებული უსულო ფიზიკური მოვლენაა, არამედ ის პულსია, ცოცხალი ორგანიზმის სუნთქვა“ – დასკვნა ნიკომეცნიერასათვის დამახასიათებელი ცინიკური იუმორის სახით კეთდება: „ადამიანი მაიმუნისგან არ წარმოქმნილა, მაგრამ დიდი საშიშროებაა იმისა, რომ ამ არსებად ვიქცეთ. დიახ! ალაგ-ალაგ ნიკო ცინიკოსია, მაგრამ ჯანსაღი – კომიზმში გარდამავალი მსუბუქი ირონიით, ვუალიზირებული ცინიკოსი.

ამგვარად, „ცის სახლის“ ავტორი დღემდე გაუგონარი დამაჯერებლობით, შეიძლება ითქვას, მეცნიერულად ასაბუთებს, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა და კიდევ უფრო განსაკუთრებულად დამაჯერებელი ხდება ეს თვალსაზრისი იმ ეპიზოდში, რომელშიც მსჯელობს ფუტურების მიერ კოლექტიურად საქმის აღსრულებაზე, როდესაც ამ მწერებს „ცალკეული სამუშაოები ერთმანეთში დანაწილებული აქვთ“. „როგორ გაინაწილეს საქმე, როცა ფიქრისა და ბჭობის უნარი არ გააჩნიათ?“ – სვამს კითხვას ავტორი და იქვე პასუხობს: „აი, აქ იკვეთება გარეშე ინტელექტის აქტიურობა, ანუ ღმერთის. რომელმაც ეს მწერები დააპროგრამა, თუ რომელმა საქმის რა ნაწილი უნდა შეასრულოს. ადამიანის ხელებიც ასეთნაირადვეა მოწყობილი (დაპროგრამებული – შეთანხმებულად ერთ საქმეს აღასრულებენ, ოღონდ „შეთანხმება“ არა მათ შორის მოხდა, არამედ ისინი გონებამ დააპროგრამა“.

მეტად შორს რომ არ გაუყვე და არ გადამაგიფყდეს, ბარემ აქედანვე მივმართავ ქართველ მკითხველ საზოგადოებას! – ვისაც გსურთ სიამით შეიმეცნოთ ღვთის არსებობის უტყუარობა და დასტკბეთ ღმერთის აღმოჩენის ბედნიერებით, აუცილებლად წაიკითხეთ ნიკო ლეჟავას „ცის სახლი“, რადგან ამ მტკიცებულებას ისეთი ლოგიკური არგუმენტებით და ღრმა დამაჯერებლობით ვერსად ვერ ამოიკითხავთ, როგორც ის არის წარმოჩენილი ამ ნაწარმოებში.

„ცის სახლის“ წასაკითხად ვუხმობ იუმორის მოყვარულთაც, რათა შეიმეცნონ, რომ „აქაური“ იუმორი პოეტურად აღმაფრენია მოულოდნელობის ეფექტით, დაუპატიჟებლად რომ იჭრება ნიკო ლეჟავას აკადემიურ ტაძარში და აგვიტაცებს ხოლმე, ხალისით გვაესებს. გახსოვთ, ალბათ, „მეცნიერამ“

თავის აზრთა ღრმულიდან ამოყურყუმაღავების შემდეგ ისარივით რომ გვტყორცნა: „ადამიანი მაიმუნისგან არ წარმოქმნილა, მაგრამ დიდი საშიშროებაა იმისა, რომ ამ არსებად ვიქცეთ“. შემდეგ კი, პაციენტებმა „მსმენელ“ – „მეცნიერ“ – „მხატვრებიანად“ სასადილოში რომ მოიყარეს თავი, სადაც მათ კუჭი გაუხელმწიფდათ, ასეთი „ლლაბუცი“ გამართეს:

– პაპარაცი, მოდი აქ, ადგილი შეგინახეო!

– ფლავი გასინჯე, ისეთი გემრიელია, ღირს ამის ფასად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვირიცხებოდეთო!..

როგორც ერთხელ უკვე მივუთითე, „ცის სახლში“ დახვავებულია უამრავი თემა-პრობლემა, რომლებიც მთელი ძალით გაჰკვივან საკუთარ ტკივილებზე, მაგრამ მათ ყიჟინში ყველაზე მაღალ ხმაზე მაინც მორალის პრობლემა გაჰკვივის და იმდენად მაღალ ხმაზე, რომ მთელ მსოფლიოს და საუკუნეს სწვდება, რაც მწერალმა თვისეული ლაკონური ცინიზმით მოასმენინა ჩვენს ყურთაც – სექსი! – როგორც 21-ე საუკუნის ხიბლი! „ცის სახლის“ ავტორს კარგად ახსოვს, რომ მე-19 საუკუნეში თავად ევროპა აცხადებდა: სილამაზე იხსნის მსოფლიოსო, მაგრამ მე-20-ის ზღვარზე თვითვე დამარხა ეს იდეალი მე-19 საუკუნესთან ერთად; ხოლო 21-ე საუკუნეში ურცხვად სულ სხვა, უხამს ხმაზე დასცა ყიჟინა – ეს ყიჟინაა – სექსისა, რომელიც „ახალუხლებს“ ახარებთ არა იმდენად გამრავლების, არამედ უფრო გადაჯიშების ნიჭით, რაც, ნიკოს ენაზე თუ ვიტყვით, ნიშნავს იმას, რომ „ცივილიზაციამ უკუათვლა დაიწყო“.

მოცემული მსჯელობიდან, ალბათ, ყველასთვის ცხადი გახდება, რომ ნიკო ლეჟავა მსოფლიო-საკაცობრიო იდეალების გულშემატკივარი მწერალია, მაგრამ სრულიადაც არა შაბლონისტი, რამეთუ, როგორც სიტყვის საუკეთესო ოსტატი და ორიგინალური მხატვარი, უნიჭიერესად აბითურებს ამ იდეალების ბრაკონიერებს, მაგრამ იგი მხოლოდ საკაცობრიო იდეალებით ატაცებული ბეცი ქართველი არ გვეგონოთ. მართალია, როცა ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობს, დიდად ორიგინალური არ არის, რადგან იგი მოდას აყლილი მოაზროვნე არ გახლავთ, მიაჩნია რა, რომ ქართველმა 90-იანელებმა უგუნური პოლიტიკა გაატარეს, როცა მთელი ენერგია შეალიეს იმ „კარების შემტვრევას, რომელიც მალე ძალდატანების გარეშე გაიღებოდა“ (რა ბრწინავალედ არის ნათქვამი არა, ქართველებო?). ასევე, ვინ მოთვლის რამდენი ქართველის გულში გაივლის, როცა ასმენს, რომ რუსეთი მოკავშირედ უნდა გაგვეხადა და არა მტრად (აფხაზებმა და ოსებმა გვაჯობეს, მოგვიგეს რა ომი ჭკუით, განა ეს სამარცხვინო არ არის, თანამემამულენო?); და, რა თქმა უნდა, უგუნურება იყო და არის ისიც, რომ საქართველო მსოფლიოს დიდ ქვეყნებს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა, რაც, შეიძლება, მთელი კაცობრიობისათვის ტრაგედიადა

იქცეს, რასაც შეუძლებელია, ნიკოც არ განიცდიდეს და განა ჩვენ ეს გვეკადრება?

სხვათა შორის, მსოფლიო-პოლიტიკური გათვლების საკითხში „ცის სახლის“ ავტორი არაორდინალურად მსჯელობს, როცა არღვევს რუსეთის უძლეველობის თეორიას, უწინასწარმეტყველებს რა დიდ მომავალს ჩინეთს და სჯერა, რომ „საბოლოოდ რუსეთი თავის კარში გაიტანს გოლს“. და საერთოდაც, ნიკო ძალზე ბევრ საკითხშია არაორდინალური. მისთვის უცხოა დგომა მანე სიახლის გვერდით, ჯანსაღი ძველი ურჩევნია, მახინჯ, ბოროტ სიახლეს. მხარს არ უჭერს სტიქიურ ნგრევას, რამაც ქართველები აიტანა 90-ანი წლებიდან. „ისინი ანგრევთ, ვისაც შენება არ შეეძლიათ“, – ამბობს ის. მძინვარედ ნათქვამი მისი ეს სიტყვები მეტად მრავლისმთქმელია და, ამის მიუხედავად, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, მის შემოქმედებაშიც, კერძოდ „ცის სახლშიც“ არის დაპირისპირება, მაგრამ ეს არის დაპირისპირება კეთილსა და ბოროტს შორის არა ფიზიკური, სისხლიანი ჯახის, არამედ უსისხლო მშვიდობიანი ფორმის სახით: პაციენტები უპირისპირდებიან რა კორუმპირებულ მედპერსონალს, თუმცა თავდაპირველად კი შეიარაღდებიან, მაგრამ შემდეგ მოისვრიან იარაღს, გადაწყვეტენ ზურგი აქციონ ბოროტების სავანეს, აღმართონ დიდი ნათელი, ავი თვალისთვის უხილავი, ცისფერი და წითელი ლენტებით მორთული „ცის სახლი“, სადაც ყველანი ერთად ბედნიერი იქნებიან, ამ ოცნების აღსრულებაში მათ ბუნებაც ეხმარება: ცა გაიხსნება და მის ლაჟვარდოვან ზედაპირზე აკიაფდება მოციმციმე მზის ზომის მნათობი, რომელსაც კიდევ ორი ანალოგიური მნათობი შეემატება, რომლებიც ერთმანეთს შორის სრიალს იწყებენ, ასე გრძელდება იქამდე, ვიდრე ღრუბლის უკანასკნელი ნაგლეჯიც არ გაიწოვება ციდან.

ნაწარმოები სრულდება ასე: „მედპერსონალი სასადილოს ფანჯრებიდან დამფრთხალი შესცქეროდა ცაზე გამოსახულ სასწაულს – „ცის სახლს“ და ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ის რას ნიშნავდა, რადგან ეს სასწაული მათ არ ეკუთვნოდათ“.

ამგვარად, ნიკო ლეჟავას იდეალი ცაა, რადგან იგი ღვთის საბრძანისა და მწერალიც ხომ კაცობრიობის ხსნას ღმერთთან მიახლებაში, ანუ ზნეობრივ განსპეტაკებაში ხედავს და არა გაუთავებელ ფიზიკურ დაპირისპირებასა თუ ლაყბობაში. მისი აზრით, კამათში იბადება არა ჭეშმარიტება, არამედ მხოლოდ სიძულვილი, შუღლი და დავიდარაბა“.

„ცის სახლის“ ავტორისათვის მორალი სწორედ ღვთის სიყვარულშია. ამდენად, ნიკო შეუდარებელი მორალისტი, მეცნიერი ქრისტიანი და მწერალია; და კიდევ! არნახული ლოგიკოსი, უაღრესად თავისთავადი და საინტერესო მოაზროვნე, რომლის წერის მანერაც საყურადღებო სიახლეა ქართული სიტყვის ხელოვნებისათვის. მინდა, საზოგადოებას ვაუწყო ისიც, რომ ამ მიმოხილვის

ავტორს არ უყვარს მეტაფორული რებუსებით დაწერილი ნაწარმოებები, რამეთუ მიაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოების ვალია, გული (რასაკვირველია, გონიერი) აუძგეროს მკითხველს და არა ტვინი გაუხვრიტოს. ცის სახლშიც არის რებუსები, მაგრამ რაოდენ გაუვალიც არ უნდა იყოს აქ ერთგვარი ალგორითული ლაბირინთები თუ კატეგორიული სილოგიზმები, მაინც გამოსჭვავის იქიდან სინათლის სხივი და მოჩანს გზა, რომლის წყალობითაც ნაწარმოები იკითხება ძალზედ საინტერესოდ, რამეთუ მთელი სიუჟეტი მიჰყავს ქართული სინამდვილისთვის მოუცილებელ ისეთ ფენომენს, როგორც არის იუმორი. ნიკო ლეჟავას იუმორი ერთობ დინჯად ირონიზირებული და რაფინირებულია. ყოველივე ამის გამო თავს უფლებას ვაძლევ, განვადილო ეს ნაწარმოები იმ დონეზე, რომ თამამად განვაცხადო, თუკი სტალინმა გორკის ნაწარმოების („Девушка и смерть“) შესახებ თქვა: „Сильнее чем Фауст“ და არავინ შესდავება, იმ ღირსებების შემდეგ, „ცის სახლზე“ რომ ჩამოვთვალო, ვერავინ უნდა დამცინოს, თუ ვიტყვი, რომ ნიკო ლეჟავას ხსენებული ნაწარმოები არაფრით არ ჩამოუვარდება გოეთეს „ფაუსტს“.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ერთ დროს ონავარი ბიჭისგან დღეს დადგა ჩინებული მოქალაქე, ამაღლებული სულიერების მატარებელი ქართველი და საოცრად საინტერესო საკაცობრიო ღირებულებების შემქმნელი მწერალი. უნდა ვადიაროთ, რომ ქართულ მწერლობას ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე პროზაული ნაწარმოები თითქმის არ შეუქმნია, ამიტომ არ გვაქვს უფლება, არ შევიძინოთ „ცის სახლი“ თავის ავტორიანად. დიდი შეცდომა თუ შეცოდება იქნება, თუ 21-ე საუკუნის ქართული მწერლობის სათავეებთან ადგილს დაიკავენ ის ადამიანები, უხამსი სკანდალირებით რომ გაიკაფეს გზა ლიტერატურაში და დღეს მწერლებად იწოდებიან. იქნებ მოვიდეს დრო, უფრო სწორად, სასურველია, დადგეს ჟამი, როცა ქართველები დავდგებით ნაცნობ-მეგობრობაზე მაღლა. ვადიარებთ მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭს და სხვას არაფერს, ნიჭის გარდა. ასევე, ყურს მივაპყრობთ სასიამოვნო ლამაზ ჰანგებს თუნდაც ის ძველ-მოღურ მოტივებს შეიცავდეს. ქართული კულტურის სათავეში ყოველთვის იდგა მწერლობა – წიგნი და ეს ასე უნდა დარჩეს ბოლომდე. დავამატებ იმასაც, რომ მე, ამ სტატიის ავტორი განზავართ ასაკით 80 წლის, რომელსაც საღი გამაჩნია მხოლოდ ცალი, მარცხენა თვალი, ვატარებ არცთუ ისე მორგებულ სათვალეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, „ცის სახლი“ დაახლოებით 6-ჯერ მაინც წავიკითხე და...

ნარბიზა თოდრია,

ნიკო ლეჟავას ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი.

ახალი ნიგნინი



„გმირთა ვარამის“ კაცი...

ლევან გოთუამ ქუთაისელ შოთა შავგულიძეს „გმირთა ვარამის“ კაცი უწოდა. ისინი ერთად იყვნენ ვორკუტაში გადასახლებულნი და ტუსადის მძიმე ხვედრი ერთად ზიდეს.

შოთა შავგულიძემ ცხოვრებაში მრავალი უსამართლობა ნახა, ყველაზე მძიმე წუთები იყო სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის განაჩენის ორჯერ მოსმენა და საპატიმრო ადგილებიდან სამჯერ გაქცევა...

1941 წლის ბოლოს, პოლტავასთან ბრძოლის დროს დაჭრილი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და არნახული ტანჯვა-წამება გამოიარა. ამის შესახებ თავად იგონებდა: „ყოფილვარ პოლტავის ტყვეთა ლაგერში, ნოიჰაიმერის კავკასიელ ტყვეთა ბანაკში, მიტენვალდის კავკასიელ ტყვეთა ბატალიონ „ბერგ-მანში“ ბერლინის ციხეში, გარმიშპარტენკირხენის ციხეში, ჰანაუს ტყვეთა ლაგერში (გაქცევა), ბადორბის ციხეში, ვილჰელმსაფენის ტყვეთა ლაგერში, დიუმერლოჰაუზენის გლეხებთან მომუშავე ტყვეთა ბანაკში (გაქცევა), ინგლისელების ზონაში – ოსნაბრიუკის სარეპატრიაციო ბანაკში, ორთაჭალის ციხეში, რუსთავის პატიმართა ლაგერში (პოლიტიკურ პატიმართა აჯანყება და გაქცევა), რუსთავის იზოლატორში, თბილისის საგამომიებო ციხეში, ბაქოს ციხეში, როსტოვის ციხეში, მოსკოვის ციხეში, ვოლოგდის ციხეში, ვორკუტის კატორღელთა ლაგერში (8 წელიწადი)..."

2017 წელს პოეტ ემზარ კვიციანიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოვიდა შოთა შავგულიძის მოგონებებისა და ჩანაწერების კრებული – „ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები“. ეს წიგნი ასახავს იმ ეკლიან გზას, რომელიც მისმა ავტორმა გამოიარა... და უამრავი წუთი და წამი ნამდვილ ჯოჯოხეთში გაატარა.

წიგნში შოთა შავგულიძე დიდი სითბოთი მოიხსენიებს ცნობილ მწერალს ლევან გოთუას და ექიმ დავით კვიციანიშვილს (პოეტ ემზარ კვიციანიშვილის მამა), რომელთაც ვორკუტაში მასთან ერთად ტუსადის ხვედრი ერგოთ. სწორედ მამამ გააცნო ბატონ ემზარ კვიციანიშვილს შოთა შავგულიძე.

ვილჰელმსაფენის საკონცენტრაციო ბანაკიდან („ცოცხალთა სასაფლაოდან“) გრიგოლ რობაქიძემ იხსნა ის და რამდენიმე ქართველი, გერმანიაში მოღვაწე დიდი ქართველი მწერლის უშუალო მონაწილეობით გადაიყვანეს უკეთეს პირობებში.

ემზარ კვიციანიშვილი წერს: „ერთხელ მცირე ზომის მოგონება მომიტანა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ გერმანელების ტყვეთა ბანაკში მყოფებს, მას და რამდენიმე ქართველს როგორ უშველა გრიგოლ რობაქიძემ (შოთა შავგულიძემ როგორღაც მოახერხა და სახელგანთქმულ თანამემამულეს ერთ-ერთ ჟურნალის რედაქციაში წერილი გაუგზავნა). სასურველ შედეგსაც არ დაუგვიანია, ქართველები იმ თავდასაწყველი ადგილიდან შედარებით ადამიანურ პირობებში მოხვედრილან. მე მაშინ ვთხოვე ბატონ შოთას, რომ თავისი თითქმის დაუჯერებელი, უადრესად დრამატული თავგადასავალი (ფაშისტურ და კომუნისტურ საპატიმროებში წლების მანძილზე ტანჯვა დოკუმენტურ მოთხრობებად დაეწერა). გულდაგულ შეუდგა მუშაობას. მალე ზედიზედ გამოაქვეყნა“...

ამ წიგნში ვორკუტის ცნობილი აჯანყება, რომლის უშუალო მონაწილეც შოთა შავგულიძე იყო სტალინის სიკვდილისა და ბერიას დახვრეტის მერე მოხდა. ერთ-ერთ მოთავედ ლევან გოთუა სახელდებოდა.

ამაღელვებელია ქვეთავი „კატორღაგამოვლილი წიგნის ისტორია“, სადაც შოთა შავგულიძე იმ წიგნს იხსენებს, რომელმაც ლევან გოთუას ხელში გამოიარა. ეს იყო 1945 წელს გამოცემული ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, რომელიც ლევანმა შეგზავნა ბანაკში. იყო ისეთი დახურული ბანაკებიც, სადაც გაუგონარი სისასტიკე მძვინვარებდა...

ლევანმა წიგნი დავით კვიციანიშვილს გადასცა, მას, როგორც მკურნალს, მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ქართველ პატიმრებთან შეხვედრისა. დავითმა შეძლო ძნელად შესაღწევ ბანაკებში ორი-სამი კვირით წიგნის გადაგზავნა. კატორღელები მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოვანეს სახარებიდან იწერდნენ მათთვის სასურველ ადგილებს. ქართულმა ოთხთავმა მოიარა ვორკუტის უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებული მკაცრი რეჟიმის ბანაკები.

შოთა შავგულიძემ ოთხთავი სამშობლოში ჩამოიტანა ლევან გოთუას სახლ-მუზეუმისთვის გადასაცემად.

„ყურძენს საწნახელში დაწურავენ, ჭაჭას წნენში გაატარებენ. ამის შემდეგაც კი შეიძლება ყურძნის ერთი მარცვალი სადღაც სასწაულებრივად გადარჩეს. აი, ასეთ პირობებში შევიწარჩუნე სიცოცხლე“... – წერს იგი ამ წიგნში.

90-იან წლებში იგი სათავეში ჩაუდგა პოლიტიკურ რეპრესირებულთა საზოგადოებას. 1998 წლის ნოემბერში შოთა შავგულიძე ქუთაისში, მშობლიურ უბანში, ოლასკურას სასაფლაოზე დაკრძალეს.

ბიო ზედხაჯი



მთვარეს კიბო აქვს

ეკო მესხს

მთვარეს კიბო აქვს...
რენტგენის სურათი
ღამეში აჩვენებს მოშავო ლაქებად
მომავალს, რომელიც არ არის სულერთი,
რომელიც მოკვდავებს ანადვლებთ
ნაკლებად.

მჭვარტლიან ბუხართან აგდია მოპასანი,
გაშლილი ყვავილივით – გარე ყდით.
კარებში – ჩემი თეთრი ბოტასები,
ზაფხულის ღამეა და გარეთ კი...
ეზოა ნათელი, მთვარიანი.
ყორესთან-მეგობრების ხორხოცი.
მინდორი – ისე ნამიანი,
თითქოს მთვარეს ცრემლი მოხოცეს...

რა ვქნა, ვიზიარებ, პოეტებო,
თქვენგანაც ველოდები სამძიმარს.
ხვალ, ალბათ, მთელ სოფელს მოედება –
მოკვდა მთვარე,
რალა აზრი აქვს,

წერო...

ვის ვუწერო სონეტები,
როგორ დავითენებ ალიონს...
კეკეოზ, მაგის ღედაც ავატირე,
წამო,
ძუსის პირას დავლიოთ!!!

შავლეგო აბესაძეს

გლების გული. ფხალი მინდვრის,
ყველი – დერგის, ღვინო – ღოქის,
მირჩვენია სუფრას მდიდრის.
დახატული ჩემი სოფლის
ერთი თოვლიანი ფოტო
საგზლად ბარე ექვს თვეს მყოფნის.
მე თბილისშიც ვლოთობ,
მაგრამ ჩემი ფუძის განაყოფის
მოკითხული თაფლის არყით
ემშში შესულს
აღარ მყოფნის
არც სასმელი,
აღარც ლექსი,
აღარც თოვლი გუშინდელი.
შავლეგ, გინდა ადექ ფეხზე,
მე არაფერს ვუშინდები..
რას უყურებ, შენ ჩემ სახეს,
არყით ნაგვემ-აჭრელებულს.
ასე მაღლა აყვეთ სახლებს,
მოვიკითხოთ რაჭველები.
ჰაჰა, მეტრი იყოს თოვლი
იაგორას ნაყანებთან.

.....
მივდიოდით გზაზე ორნი
და გზად ძუსა ყაყანებდა.

* * *

ფურცელზე წერა მომენატრა, უბრალოდ წერა
ფურცელზე წერა მომენატრა... მუხურის ეზო...
ჰამაკი... ბევრჯერ წაკითხული გრანელის ლურჯი
წიგნი და... ყვითელგულიანი ჩიტები ხეზე...
ბიძაშვილები – თავგებივით შესული ბუჯვერს...

ხალმიდან ყველის ამოდება და მერე ჭიშკარ-
გადაღმა ფრთხილად გადაპარვა, ბიჭებთან ძუსის
სანაპიროზე ცოფიანი არაყით „თიშვა“...
თხმელებში – ბანქო, სივარეტი და სამი ტუზი.

საერთოდ წერა მომენატრა... მსუბუქად წერა...
მწვანე მინდორი... მოლოდინი გვალვაში ავდრის;
მე ახლა ზემო ვარკეთილში დივანზე ვწევარ
და ზედვაკეში მარტო ჩემი ოცნება დადის.

ფურცელზე წერა მომენატრა, უბრალოდ წერა...

მეკვლე

დილით ცეცხლი რომ დაძვინთო
თონეში, თოვლში იმ,
გზა ნიჩბით უნდა შემკვლია.
და მეკვლედ გვყავდა ვინ?
მეზობლის გოგო პრანჭია,
კისკისა გოგო და.
მე რომ თონეში გავრბოდი,
ის ჩვენთან მორბოდა.
ჩვენგან წასული, თოვლივით
მოფენდა სოფელს ჭორებს.
ჭიშკარგადაღმა გასული
უცაცხანებდა ღორებს.
იმ დაცლილ მთიან სოფელში,
ის ერთი იყო ბავშვი,
მე ბავშვზე ცოტა დიდი
და დანარჩენები – ხანში.
წავიდა ყველა გზა მართალს,
ათოვს ტანმაღალ ეკლებს.
ეს ლექსი ფოსტის ბარათს ჰგავს,
ვუძღვნი გათხოვილ მეკვლეს.

ბედნიერება

გამზირი.
კაფეები,
სარდაფი-თეატრები,
რეცეპტი „საცობები“
სალამომ გამოწერა
ნერვების დასავლევად.
მორსა ხარ,
მენატრები,
რა მაგრად გააკოცები!
.....
გალუმბულ ყაყაჩოებს
დავეცი ყაჩაღივით,
მინდა, რომ გიზგიზებდნენ
ოთახში ჩირაღდნებად!
.....
ლოტოში მოგებული მაქვს შენი სიყვარული,
რომელიც წლები არის ნელ-ნელა მინაღდდება.
.....
ქალაქის თვითმფრინავებს ვაკეთებ სერიულად,
შვილებს – სიხარული, საქმეს – გადადება!
ყეფს ძალღი ნერვიულად და ჩვენი ვიტრინიდან
ჩანს წვიმა გადაბმული, ერთადერთ სადარდებლად.

ინანა, მე სუსტი გლეხი ვარ

მზისფერი მაისიცი მივიღე,
ვაშლებიც დამწიფდა შაქარა.
მე ახლა დავეხსენ იანვარს,
ღრუბლებს ვდევ მინდია – შაქანი.
მე მთვარის ყურება მომბეზრდა,
შენ მინდა გიყურო, ინანა.
ლანდი ვარ ხიმიან ღობესთან,
და ყოველ დათრობას ვინანებ.
შეხედე, მზე მოდის – უთუა,
რალაცა წამები დილამდე...
მე დამღლის სინათლე უთუოდ,
ვეკვრები სიბნელის ბინადრებს.
ინანა, მე სუსტი გლეხი ვარ
ისე, რომ მეფეებს აქადელთ
ვუფროთხი და ვემალვი მეხივით
ჩვენს ერამდე და აქამდეც.
ინანა, მე მხოლოდ ის მინდა:
(ოცნება ცხენივით უბელო)
ღრუბელზე ვისხედეთ და მისმენდე,
ორივეს გვიძლებდეს ღრუბელი.

სიმარტოვის მელანქოლია

წავლენ დაჩიდან,
წავლენ ისე, რომ
არ მოიხედავს უკან არავინ.
ხის ქვეშ დარჩება ჭიქა და ჩერო,
ველზე – ბორცვები, ბორცვზე – კარავი.
მე თქვენ არავის შეგეცოდებით,
მე თქვენ მიტოვებთ სოფელს სრულიად –
ხემო იმერეთს თავის ოდებით
და ტყეს, რომელიც დანისლულია.
თქვენ არ გადელვებთ ჩემი შიშები,
იქნებ კარებთან დამხვდეს ტოტია!
არ გესმით, როცა ვყვირი: „მიშველე“
და თოფს კედელზე ვეპოტინები.
ყველა წავიდა, ყველამ გაიშვა,
და, ჩემო თავო, დარჩი რაღა შენ?
შენც გადაგელო ფოტო პარიზში
კომკთან
ან ლუდის კათხით პრალაში.
გავსებულია ვაშლით სახილე,
მსხალიც თავისით წყდება ყუნწიდან.
წავედი, ვნახო ჩემი ნახირი,
ფეხიდან ნაკელს გამოვუწმინდავ.

პეტრე-პავლობა

ხსნილია. 12 ივლისი,
პეტრე-პავლობის საკურთხი.
12 კაცი „ვილისში“... 12 კმ გზა...
ერთი აღმართის ავლა და:
მთას მოდებული ბზა.
სკოლის ეზოში ალვები,
ტოტებნალეწი ბლები.
„ბავშვებო, მოგესალმებით“.
ცნობისმოყვარე თვალები.
ცნობისმოყვარე ქალები,
ცნობისმოყვარე ქმრებით.
მე მათთვის უცხო მგზავრი ვარ,
მომცეს საერთო სალამი.
ახალი ნაწვიმარია,
ასი მეტრი მაქვს სავალი.
ამ თავნოტორა ბავშვების
დარად ძუსაზე კალმასხს
დავდევი ჩქიფით, დაშნებით,
აქ დავეჩვიე არაყს!
მეც მეცვა გამოხეული
ქლორით ნახატი ჯინსები.
ყვირილით გამირეკია
„ზედვაკეს“ ლეგა ნისლები.
მეც ვტანტალეზბდი ხრეშიან
გზებზე შიშველი ფეხებით.
აქ ძალლი დამიგეშია,
იქ – დამიბელავს ვერხვები.
რამდენჯერ გამირეკია!!! –
კედლებზე ვწერდი კირით:
„მიყვარხარ“...
„ქვების ძირამდე“,
„მიჭენებია“ ვირი.
ეპეი, რა დროს გასულა,
მოვედი, ჩემო ბუნარო,
მოვედი, ჩემო წარსულო, გთხოვ,
დაღვრემილი ნუ ხარ!
მოვედი, ჩემო მარანო,
მიწადწასულო ღვინო
და უსიმინდო ბეღელო –
დამთავრებულ კინო.
მოვედი პეტრე-პავლობას,
კედლიდან მიმზერ ბაბუა.
ისეთი მკაცრი სახე გაქვს,
რომ ზურგით შემომამბრუნა,
აფსუს, დაზარდე შვილები,
და გყავდა შთამომავლობა.
აფსუს, მაგ შენი ჯაფა და
ბებიაჩემის ქალობა!
ტოტებნალეწი ბლები და
სკოლის ეზოში ალვები.
ბავშვებო, შემოგველებით,
ბავშვებო, მოგესალმებით!

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ,
მეველე ვიყავი სოფელში და დილის
ექვსს აკლდა წუთები, ვანთებდი კერიას,
მზის პირველ კბილამდე – ყანაში!
სადილი
მოჰქონდა ბებიას – ქოთანში ლობიო,
კედლებზე ცვრებისგან მტირალი მათარა.
„ – ნაწვიმარია და მიწას ობი აქვს,
ცივია, ბებია, არ დაჯდე მაქანა,
შენ გაზდას“.
მეტყოდა ასე და მეც ჯიბრით
ვეხუტებოდი ცივ ბელტებს, არიქა.
ვბიჭობდი,
მიწაზე ვიწექი ბეჭებით,
ჩემი ჭკუაში ჩაჯდომა არ იქნა...
მერე, როდესაც დავტოვე სოფელი,
ყოფილი მეველე ქალაქის უსიერ
ქუჩებში შეცვლილი სახით და პროფილით,
თეთრი პერანგი და ლამის მუსიე,
თამბაქოს ვარჩევდი ოდნავ რბილს, მენთოლით,
კვარგავდი რითმასაც, რაც უყვართ თბილისში,
დღეს ისე უბრალოდ ვერაგინ მენდობით,
როგორც თავს გაცნობდით – ჟორჟიკას
შვილიშვილს.

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ.

გაუშვი

გაუშვი, განა სულ ითოვებს ასე, განა სულ...
დაე, ფიფქებმა ჩვენი ეზო თოვლით აავსოს.
დე, გავეყაროთ უთოვლობით დღემდე დანაესულ
ყინვიან ზამთარს, ვიგუნდაოთ ერთად, ლამაზო.

გაუშვი, გაუ... თეთრი ქუდით, თეთრი კაშნეთი
ჩვენს თეთრ ეზოში ჩვენი გოგო, ისიც თოვლივით
თეთრი... ხომ იცი, რომ ხარობენ თოვლით
ბავშვები?

– გაულე კარი, ყინვის შიშით ამოქოლილი.

შენედე, შენე, შე... მის სახეს აკამკაშებულს,
არ შეიძლება ახლა მისი იქ არ გაშვება!
ეს იქნებოდა, როგორც ცოდვა, დანაშაული,
უფრო მარტივად, მშობლებისგან გადამლაშება!

გაუშვი, გაუ... განა მარტშიც ასე ითოვებს,
მარტში ეს მიწა დაჟანგდება, ატალახდება.
მოვა დრო, როცა ის სარკესთან თმებს შეისწორებს
და შესძულდება თოვლი, როცა დიდი გახდება.



ნიკალა

იყო და თითქოს არა იყო რა,
მზემ მთელი სითბო თან გაიყოლა,
გზად მიდიოდა ღამით ნიკალა,
იმ დღეს ბახუსი არ გაიკარა..
არც სიყვარული და არც ოთახი,
როგორ სტკიოდა ბედის სიელმე
და აწამებდა ბუნებით მდიდარს
ამ წუთისოფლის სიცარიელე...
ბოლო გროშებით ნაყიდ თაიგულს
აღბათ თითებში ჭმუჭნიდა, როცა
ველარ შეიგრძნო კარების მიღმა
იმ ერთადერთის ღვთიური კოცნა...
გრძნობას, რომელიც ებრძოდა მანძილს
და თეთრ ფერებში ხატავდა ნიკო...
იმ ქალის სახე კვლავ ტანში გასცრის,
თითქოს იყო და თან არა იყო...

* * *

ახლა ღამეა და ირგვლივ ხმაურია,
გრძნობამ საფიქრალი სულ მთლად აურია...
ისე გადამელო, ისე გაიგივდა,
შემომეჩვია და ჩემში გაირინდა..
აწეწილი ქარი ერეკება ღრუბლებს,
აღბათ ისევ, ისევ ფუჭად ვისაუბრებ...
მღალაღებლის ხმები უდაბნოსა შინა,
იმედიც და სევდაც ერთნაირად ღვივა...
და მიყვები ქუჩებს, ქართველი ვარ ერთი,
ეფიქრობ, მანსოვს, ხანაც მაეიწყდება ღმერთი..
გამოწვდილი ხელი აირიდე, თვალო?
შენც ხომ ევას მოდემის და მაცდური ხარო...
მინდა ვიყო ფიფქის სისუფთავის მსგავსი,
თუმცა, სურვილები არის თოვლის ფასი...
თუნდაც, სულ ვერ ვიგრძნო გაზაფხულის
ძალა,
მინდა ვუთხრა სევდას არა, ისევ – არა...
აწეწილი ქარი ერეკება ღრუბლებს
და ფოთლების ჯარი უწესრიგოდ ყრია,
მათ სევდაში თითქოს ჩემი სევდაც სუფევს,
რადგან სულ ყველაფერს დროებითი ჰქვია...

„ჩვენ ვიპოვნით გზას, ან თავად
გავიყვანთ მას“...

ჰანიბალი

ჰოდა, გავკვალავ გზას,
თუ ვერ ვიპოვნი მას,
ბრძოლის სურვილი მაქვს,
კვლავ არ ვემდური მკლავს.
სევდა ვერაფერს მძენს,
და გული ისე ძგერს,
თითქოს მოელის ღმერთს,
როგორც ნაპირი გემს..
მაინც მოვიგებ ომს,
მშვიდად გადავალ ფონს,
ჩემთვის ავაგებ ქოხს,
მერე კი წავალ შორს.
რითმები ისევ მწერს,
თვალი მიჰყვება ხელს,
თოვლი ფაფუკად ფენს,
გარეთ ბუნება თვლემს.
მჯერა, გავკვალავ გზას,
თუნდაც ჩამოწვეს ბინდი...
მთვარით ნაფერებ ცას
მოვტაცე სევდა მშვიდი...

* * *

როცა არ ძალგემს შეცვალო ყოფა,
მხოლოდ ლოდინი დაგდევს აჩრდილად
თუმც, ყველაფერი, რაც მისით მოვა
ის არის, რაც კი გსურდა ნამდვილად?!
ლტოლვა და ბრძოლა, გაკვალავ გზები,
ისე ძნელია, თანაც ადვილი...
ფერს დაიბრუნებს ფოთოლი ხმელი,
თუ ძლიერია აღბათ წადილი...
კითხვა მეტია, ვიდრე პასუხი
აღწევდე მიზნის ბუნდოვან კიდეს
არ მსურს ამაო, ფუჭი არსობის,
ან მიუწვდომლის სურვილი მჭირდეს..
მაგრამ, ბუნება, ჩვენი ბუნება,
მანამ ეძიებს, ვიდრემდის სუნთქავს..
როგორც მზის სხივებს გზა ვერ აჩერებს
და აბრეშუმი დაეძებს თუთას..
რომ ისე აჰყვე ცხოვრების ნოტებს,
არ შეუშინდე მაჟორს და მინორს...
ყველა ჩვენგანი, ყველაზე მეტად
ამოუცნობის შეცნობას ცდილობს...
გაზაფხულია, სხივები მათბობს,
რაცა შორეულს მიაბობს ქარი...
ნეტავ შემეძლოს მარტივად აღქმა,
ანდა, საერთოდ არ მერქვას ქალი...

სოფია ჩხახაიანი



* * *

ღამეებს დასჩემდა დარდი და გოდება,
ცხოვრების კადრები იცვლიან საფარველს,
ამ გულში ათასი სათქმელი გროვდება,
გონება იისფერ ტალღებმა დაფარეს.
დროებამ წალეკა სიმშვიდის სამყოფი
თვალებს რომ ცრემლები უჩუმრად სდიოდა...
ეს მიჯნა ცხოვრების გამხდარა გამყოფი,
მივხვდი, რომ მიჭირდა, მივხვდი, რომ მციოდა.
ერევა სიმართლეს სიცრუე წყეული,
ლოდინით ხეებსაც ატყვიათ ჭაღარა...
მომყვება გოდება სიზმრებად ქცეული,
ფიქრებმა გამწირა, ქაოსმა დამღალა...
სულ სხვაა, შეივრძნო მომავლის სურნელი,
სამოთხის ბაღში კი დაკრიფო იები,
იტირე, თუგინდ რომ გიწოდონ სულელი,
ან თვალწინ ათასჯერ დაგიწყონ ტყვიები.
რას აღარ ყვებიან მთრთოლვარე ტურები,
რამდენჯერ მესტუმრა მღუმარე ნაღველი...
დღეს წვიმამ დარცხვენით დანამა ქურები,
მრავალი ამბავის დღეს გავხდი მნახველი.
ღამეებს დასჩემდა დარდი და გოდება,
ცხოვრების კადრები იცვლიან საფარველს...
ამ გულში ათასი სათქმელი გროვდება,
გონება იისფერ ტალღებმა დაფარეს...

* * *

სანთელი იწვის, ფიქრებია უფალთან ახლოს,
გულში ჩაღვრილი იმედები სიწმინდით იცდის...
საგალობლები განფენილა, სულში რომ სახლობს,
ყოველი აზრი დაფარული ღმერთმა ხომ იცის...
ზოგს სული სტკივა,
მუხლმოდრეკით წარმოთქვამს ლოცვას,
სულის ნუგეშად მყუდროების ნაპერწკალს ეძებს...
ალბათ რამდენი ინანიებს ჩადენილ ცოდვას,
ცრემლთა დინებით ჩამორეცხავს ეშმაკის ფერებს...
ხატებზე ნათლად გამოსახულ წმინდანთა სახეს
მზის სხივი ასე მოკრძალებით უძებნის ნათელს...
ეს მაშინ, როცა საუკუნო გრძნობები სუფევს,
ეს მაშინ, როცა მოწიწებით იკავებ სანთელს...

* * *

შენი სიცოცხლის მე ვარ სტუმარი
და ვემსგავსები ჟამთა აღმწერელს...
სიზმრად გაცრიცეს თავსასთუმალი,
ვუმზერ შორიდან სევდის სარეცელს.

გადაპენტილი თოვლის ფიფქები
მკრთალი სხივების ფონზე თამაშობს,
დღეს გადასახლდნენ სხვაგან ფიქრები,
სიცარიელეს დარდი დარაჯობს.

ვატყობ, რითმებიც გაბრუებულან,
ფურცლებს ეძებენ ნავსაყუდელად
სულის წიაღში დაღუძმებულან
იქვე უძრავად, უხმოდ, უთქმელად...

ნატანჯ თვალების მიჯნას დარაჯობს,
რაც გახუნებულ მზერას ატყვია...
ჩემი სხეული სპექტაკლს თამაშობს,
ფეხქვეშ ნიღბების წყობა აწყვია.

* * *

სხივი ელვარებს დილის გარიჟრაჟს
სოფელი მყუდრო, ძილშია ისევ...
ფიქრები მძიმე, საღაც წამიყვანს,
მოგონებების ნაკვალევს მივსდევ.
მიწა სველია, მსუყეა ცვარით,
ნამტირალევი მდინარე დარდობს,
გამოუკვებავთ ბოსელი ჩალით,
გლენი იშენებს იმედის სამყოფს...
იანვრის სუსხმა გაცრიცა გზები
და სანუგეშოდ უცქერენ ბუნარს,
მე კი სიმშვიდის შეგრძნებით ვთვრები,
მელანქოლიას ასე რომ უყვარს.
მაბრუებს ძლიერ სურნელი მთების,
საღაც განთიადს რეკავდნენ ნახირს,
რომელიც დღესაც ღირსია ქების
და გადმოჰყურებს მდინარის ნაპირს.
გათენდა, ვითვლი ღრუბლების ჩრდილებს,
რომ არ აცდიან მზის სხივებს სუნთქვას,
ამოვქარგავდი მრავალჯერ ფიქრებს,
ყოველ განთიადს გონების სტუმარს.
შორს ეკლესია სიწმინდედ მოჩანს,
სად მუხლმოდრეკით გალობენ ერთხმად
სად ღაღადებენ მხურვალედ ლოცვანს,
მარად სიმშვიდე სუფევდეს ქვეყნად...
სხივი ელვარებს დილის გარიჟრაჟს,
სოფელი მყუდრო ძილშია ისევ...
ფიქრები მძიმე, საღაც წამიყვანს,
მოგონებების ნაკვალევს მივსდევ...



ამანათი

– გოგონა, ვისთან აგზავნით ამ ამანათს? – შეეკითხა ფოსტის თანამშრომელი ალის. მან დაიმორცხვა და თავჩაღუნულმა ჩუმად ამოლერდა:

– ვასიკოსთან.

– ვასიკო? გვარი არ აქვს ამ შენს ვასიკოს? რა მისამართი აქვს? – ისევ ჩაეკითხა გაღიზიანებული ქალი.

– უბრალოდ ვასიკოს, მისამართი ფრონტის ხაზი, – აღელვებულად უპასუხა გოგონამ. ვასიკოს ხსენებაზე თვალები უცემციმებ და, თითქოს ნათებას იწყებდა ალი.

– ე.ი. „ღლია ვასილი ლინია ფრონტა, – რუსულად დააწერა ფოსტის თანამშრომელმა, რომელიც დიდიდან ქოთქოთებდა, იმდენი ხალხი ჰყავდა რიგში – მერე და ყოველი მესამე რუსი ვასილია და სად იპოვიან ახლა მაგ შენს ვასიკოს.

– ვასიკო ქართველი მხოლოდ ერთია, – ჯიუტად თავისას არ იშლიდა მიაძიტი გოგონა და ცოცხალი თავით არ ამხელდა გვარს. თვალნათლივ ჩანდა, რომ არ მოეშვებო და ფოსტის თანამშრომელს, სანამ თავისას არ გაიტანდა. სიხარულით აღვსილი ალი ფეხით ბრუნდებო და სახლში. საკმაოდ დიდი მანძილი იყო ქალაქიდან. სამი საათი უნდებოდა სოფლამდე ჩამოსვლას. სასიამოვნო ფიქრები უტრიალებდა გონებაში. თითქოს უჩუმრად ებაასებოდა ვასიკოს და შორიდან ეპრანჭებოდა. გრძელ ალისფერ თმებს სახეზე ჩამოიშლიდა, წარბებს ნერწყვით გადაისწორებდა, კაბას შეითვალეიერებდა და ნელა მიყვებო და სოფლისკენ მიმავალ გზას.

– ახლა ჩემი ვასიკო ამ წინდებს რომ მიიღებს და ჩაიცვამს, არ გაცივდება. იმ ცივ რუსეთში ამბობენ, ყინვებიაო. სხვებსაც დაურიგებს ამ წინდებს, დიდები დავქსოვე, ყველას მოუვა. ქუდებიც ჩავდე. ვასიკო ეტყვის, ეს წინდები ჩემმა საცოლემ გამოგიგზავნაო...

მერე ქორწილშიც დაპატიჟებს ყველას, ომი რომ დამთავრდება. გადაუშენდა სახსენებელი, დაგვასვენოს ყველა ომის დამწყებმა, არც თავისი და არც სხვისი ხალხი რომ არ ენანება, ჰიტლერი იქნება თუ სხვა გადარეული... სახლში დაბრუნებულს, წესისამებრ, ტყუპის ცალი და ხვდებოდა კარში. გაუჯავრდებო და, დედა დიდიდან გკითხულობს და ვერაფერი მოვიფიქრე, რა მეთქვასო. ამჯერად გოგობმა თავი დაიპერინეს. ისინი გამრჯედ აგრძელებდნენ ქსოვას. ფოსტაში კი ყველამ იცოდა, რომ ეს ამანათიც იქნებოდა ვინმე ვასიკოსთვის ფრონტის ხაზიდან... მხოლოდ მერე ამატებდნენ – „ვასილი გრუზინს“.

იმ დილას ფრონტიდან წერილი მოიტანეს. ალი უეცრად შეერთა და გაფითრდა, გახსნის ეშინოდა... და სანამ გახსნა, რამდენჯერმე ეცვალა ფერი, არადა სულ ტყუილად შეფოთავდა თურმე... დროის ამ მცირე მონაკვეთში უნდა გენახათ მისი გარდასახვა. წითლად ჰყვავდა მისი ალექსილი, აღმოღებული სახე, ყველა ჭორფლი ცოცხლდებოდა, ალისფერი თმა ღელავდა. შიში და სიხარული მეგობრობდნენ იმ წუთებში. და როცა გახსნა ვასიკოს წერილი, აი, ეს საჩუქარი იყო:

„მე დავბრუნდები, თუ გაუძლებ ჩემს დიდ მოლოდინს,

მე არ მოგკვდები, სანამ შენში იცოცხლებს სხივი, არ დაიჯერო, რომ უშენოდ თენდება სადმე, არ დაიჯერო, რომ უშენოდ არსებობს რამე. მე დავბრუნდები არაგვის ტალღით, არწივთა ლაშქრით,

მუხის შრიალით, მწვერვალთა ალით,

თეთრ რაშის ფლოქვით,

შენს თავზე როცა გადიფრენს ორბი,

ეს მე ვიქნები, შენთან გავჩნდები,

როს მოგეძალოს ავი ფიქრები.

და მე ყოველთვის შენთან მხოლოდ ერთარს ვიქნები,

ბორბალოს მთიდან მონაბერი ქარიც ვიქნები,

ბორბალა ქარი ავიწეწავს ვნებით დალალებს,

ჩემი მტევნები მოგიქარავს ოქროს ნაწნავებს.

და ჩვენი სახლის სახურავთან წეროთა ჯვარი,

დაელოდება, ოდეს დაჰკრავს ქორწილის ქნარი,

საკურთხეველთან მიგვაცილებს ოცნების ქარი,

და არემარეს გააყრუებს ღვთიური ზარი.

გახსოვდე... გახსოვდე... გახსოვდე... ალი!“

ომი დამთავრდა და დასაბრუნებელი ყველა დაბრუნდა. ვასიკო არ ჩანდა. ამის შემდეგ 50 წელი გავიდა...

– თებრო, მოდი, წაგიკითხო ვასიკოს წერილი... – უკვე ვინ დათვალა, მერამდენედ უკითხავდა ამ ლექსს თავის ტყუპისცალს ალი. თებრომ სულ ზეპირად იცოდა და მაინც გულმოდგინედ უსმენდა. მერე კი ეს წერილი ისევ უბრუნდებოდა ჩვეულ ადგილს, ისევ კედელზე – ჩარჩოჩასმული. არადა, ათასჯერ

იყო გადაწერილი სხვადასხვა რვეულში, მაგრამ ვასიკოს ხელით, ფანქრით ნაწერი, გაცრეცილი ფურცლიდან უკეთ იგრძნობოდა მისი ემოცია. ალი გრძნობდა და ელოდა მის დაბრუნებას. მისი დაც მისი სულის და სხეულის ნაწილად იქცა. თებროც დარჩა გასათხოვარი.

– იცი, თებრო, ვასიკომ რომ მითხრა, შენს სიზმრებში მოვალე, მართლაცაა, სულ ყოველთვის მეცხადება. წუხელის დამესიზმრა, გასაღები გადმომიგლო საფლავეიდან და დამიძახა, ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს?

– ალია, ქალო, რით ვერ გაიგე, სიზმრის აყოლა რომ არ შეიძლება, ხომ გითხარი, სიზმარი ემპაკისაა, – მეთქი, – უთხრა თებრომ, მაგრამ კი შეაშინა ამ სიზმარმა.

დღით ადრე ადგა თებროლე და დაელოდა ალის გაღვიძებას. ის კი იწვა გაუნძრევლად. საოცრად მშვიდი და თვინიერი, ლამაზი და თვალშეუვლები, ცივ სხეულზე დაყრილი ალისფერი თმებით და ნეტარი ღიმილით...

ბაბუ

– წამო, ბაბუ, ცხენზე უნდა შეგსვა.

დილაუთენია თავზე დამადგებოდა ანტონი ბაბუა. საწოლიდან ნაუცბათევეად წამოვსტებოდი. ზეზუელად ვილუკებოდი. უკან ბებოს ხმა დაგვეღვენებოდა:

– სად მიგყავს, კაცო, ეს ბავშვი?! დააცალე, ლუკმა გადაყლაპოს.

ბედაური დინჯად მიფლატუნობდა. ნიავი მინანავებდა და მხრებაცახცახებულს სუნთქვა მეკვროდა. ბედნიერება სახლდებოდა ჩემში. ცხენზე გამართული ვიჯექი. რომ არ გამებრაზებინა ბაბუა, გრძელი ღუმლის შემდეგ, შიშნარევი ხმით კკითხავდი:

– ბაბუ, ბაბუ, ხელს როდის გამიშვებ?

– მაშინ, როცა საჭირო იქნება!

გადაჭრით და მკაცრი ხმით მეტყოდა მოხუცი. ველოდი წამს, როცა ეს „საჭირო“ მოვიდოდა. მერე ასლუკუნებული ვბრუნდებოდი, სულსწრაფობა მკლავდა, რადგან დიდი მოლოდინის მიუხედავად, იკვიანებდა.

ერთ დღესაც ბაბუს სახეზე შემრიგებლური ღიმილი გადაეფინა და აღტაცებით მითხრა:

– შენ თავისუფალი ხარ!

დავხედე აღმართს. შემალღებულისკენ მიკლაკნილ გზას სასრული არ უჩანდა. თავგზა ამებნა, რალაც ძალა მბოჭავდა. ვიდექი და ვყოყმანობდი. წამწამებს გამალებით ვაფახუნებდი. გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი, მონუსხული ვიყავი. იმავდროულად საკუთარი თავის აუტანლობა მჭირდა. შინაგანი ბრძოლა მქონდა ჯერ განუცდელ სითამამესთან.

– შეხედე! წინ მიუწვდომელი სივრცეები გელოდება. აქ არ არსებობს საზღვრები. წახვალ, დაიპყრობ. მხოლოდ შენ და ნუშა იქნებით ამ გზაზე.

ბაბუამ ცხენს თავზე ხელი გადაუსვა. ნუშა უწყინარი ჩანდა.

ფირუზისფერი იყო ცა.

თავდაკარგული მერცხლები უთავბოლოდ დაფრინავდნენ.

ძებორციელი არ ჭაჭანებდა.

იქ, მალა, ღუმლით გველოდა დედაბუნება.

– ბაბუ, მე, მე არ მეშინია! მართალს ვამბობ, მე არ მეშინია, ბაბუ.

აღმომხდა ალელვებულს.

ცოტა ხანში მე და ნუშა არმართს მივუყვებოდით. სინამდვილეში უკან გამოხედვისაც მეშინოდა. ბაბუს მცხუნვარე მხერა ზურგს მწვავდა. ენითუთქმელ გრძნობას იტევდა ეს წუთები...

იმ დღიდან მე და ბაბუს ჩვენი საიდუმლო გვექონდა.

საღამოს ბაბუზე თავმიდებულს დამეძინა. ვერ ვხვდებოდი, როგორ ფეხაკრეფით მოდიოდა ღამე და მოჰყავდა დილა.

.....

ეზოში თიკანი კიკინებდა. ბებოს კი კალთაში ინდაურის ჭუკები ჩაესვა და ხელით აპურებდა.

ბებო მონდომებით აკეთებდა თავის საქმეს. იქვე ჩამოუჯდებოდი და ამ სანახაობით ვტკებოდი.

რადგან არსებობდა ჩემზე უმწეო არსებები, გამოდის, მე ძლიერი ვიყავი.

.....

ბაბუ ვაშლის ყვავილებით გადაპენტილ ბაღს წნელით ღობავდა. საამური სურნელი იდგა ირგვლივ. როცა ძალიან დაიღლებოდა, წელს წვალებით აითრევდა და მოხრდილულ ადგილას გადაინაცვლებდა. თავზე წამობლართულ მზის ქუდს სახეზე ჩამოიფარებდა და წამოწვებოდა ბალახებში. მუდამ ბაგეგაპობილს და თავზე ხელებგადაბჯენილს ეძინა. ხმაურით მივეჭრებოდი ბავშვები. თავს წამოწვავდა, მავდრებელი თვალებით გადმოგხედავდა, თითქოს გვეხვეწებოდა, ცოტა მაინც მაცალეთო, მერე ისევ მილულავდა...

უფროსებს ვაკერებდით, აბა, ანტონ ბაბუას ძილს როგორ დავუფრთხობდით. ქვამში კოხტად ჩალაგებულ, ტილოში გახვეულ მჭადს და ყველს იქვე დავუტოვებდით და გავეცლებოდით.

შინ დამნაშავეებივით ვბრუნდებოდით, თამაშითამაშში სადილის მიტანა რომ გვიკვიანდებოდა.

.....

ზამთრის არდადეგებზეც ჩავდიოდი სოფელში. იმ წელს ბაბუ ავად გამხდარიყო.

– ჩემი სიკვდილი ხომ არ შეგაშინებს, ჩემო გოგო? მოვხუციდი მე უკვე. დაუძლურებული ვარ. ყველაფერს თავისი დრო აქვს მოსვლას და წას-

ვლასაც. თავი არ უნდა მოახერხო სიცოცხლეს. აქამდე არ ვიცოდი, ახლა მივხვდი, რომ ცხოვრებითაც იღლება ადამიანი, ამიტომაც მოიფიქრა უფალმა სიკვდილი, როგორც აუცილებელი გამოსავალი. დასაწყისს და დასასრულს ერთი სათავე აქვს, იცოდე ეს. ჩვენ - ყველანი ამ სათავედან მოვდივართ.

.....

მეორე დღით ჩვეულებისამებრ ადრე ავდექი.

იმ დღეს ბაბუმ ვერ გაიღვიძა. სახეზე ისევ ეხატა ღიმილი, თითქოს ჩემთვის კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას...

ზარდაცმული თავლაში შევედი. ნუშამ თავი ჩემს ხელისგულებს შეაფარა. ადგილს ვერ ვპოულობდი, სულ შემსუთველი ამბისგან გაქცევა მინდოდა.

.....

ვაშლის ბაღს ფოთოლი არ შერჩენოდა, მხოლოდ ბაბუს შემორკალური წნელის ღობე ჩანდა.

ტყიდან კვლავ მოდიოდა ყვავების გამაყრუებელი ჩხავილი,

სადაც, შორს, სიყვარულისგან თავს იკლავდა თოვლში გახვეული წითელი ძახველი...

მე და ბელაური დაღმართს მაღლიდან გადმოვცქეროდით...

შორიდან ისევ ვგრძნობდი ჩემი ტკბილი ბაბუს მზერას:

- ანტონ, ბაბუ, ხომ არ გეშინია?
- არა, ჩემო კნაჭა, შეგიძლია ხელი გამიშვა...

სიკეთის უკვდავება

ეკ, ჩემო ქალბატონო... ნელი დეიდა ის ქალი იყო, რომელსაც წლები ვერ ერეოდა. შეხედავდი და მიხვდებოდი, თუ რა ძნელი გამოსაცნობი იყო, რამდენი წლის იყო. ათი წლის წინათაც ასე გამოიყურებოდა, ოცი წლის წინათაც... ნეტავ, თავს როგორ უვლის, რითი იკვებება, რა ნელსაცხებლებს ხმარობსო, კითხულობდნენ მეზობლის ქალები; ნეტავ, რამდენი წლის იქნებაო, აინტერესებდათ მოშურნეებს; ამას რა დააბერებს ისეთი სათნო და მშვიდიაო, ამბობდნენ კეთილის მსურველები;

ნელიმ, თავისი ხელით, უცნაური ჩანთა გამოკერა, ჭრელი, მინდვირის ყვავილების ფერი. შიგნით აწყობდა პატარა ბარ-ნიჩაბს, რომელსაც სპეციალურად ტარი მოახერხა, დაამოკლა, უფრო კომფორტული რომ ყოფილიყო და ესეც არ იყოს, არავის მიეტანა ეჭვი მის საქმეებზე... ჩაალაგებდა ნაგვის პარკებს, ყვავილის ბოლქვებს, ნერგებს, სანთელს, საკმეველს, ლოცვების წიგნს და ყოველ დღე მიდიოდა საქმეზე.

- საით გავიწვევია, ნელიკო? - სამსახურში მივდივარ, როგორც წესი. რას მეკითხებით, კაცო, მე ხომ თქვენსას არაფერს ვკითხულობ.

- ვერ გავიგე, სადაა ეს შენი სამსახური, რატომ არაფერს გვიყვები? მოვიდოდით, მოგაკითხავდით,

იქნებ ჩვენთვისაც რამე გამოეძებნათ. ხო ხედავ, ასე უმუშევრები ვართ წლებია.

- რას ამბობ, იქ რა გინდა?! მოვა დრო და ისედაც მოხვალ. ნუ იჩქარებ, გოგი. შენც ახლა სამსახურში თუ არ მნახე, აქ ვერ მხედავ ყოველ ცისმარე დილას? სამსახურის შოვნა თუ გინდა, მოინდომებ და რამეს მაინც იშოვი, - შეუფუცხუნებდა ნათლიმამას.

ამ დროს, ისე აუწყლიანდებოდა თვალები, იფიქრებდი აგერ-აგერ იტირებსო. დიდი აივანი ჰქონდა ნელის, იქ ნამდვილი სამოთხე მოეწყო. ჩითილებით გამოჰყავდა ნერგები, ერთმანეთზე ამცნობდა, უვლიდა, გადარგავდა-გადმორგავდა, რწყავდა, სასუქს უყრიდა... ფანჯრის რაფაზე ჩამოუსხდებოდნენ ხოლმე მტრედები. მათ იცოდნენ, რომ ყოველთვის დახვდებოდათ საჭმელი. სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევდა მის ორთახიან ბინაში. ძალიან უნდოდა ბევრი შვილი ჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ ერთ ვაჟს შესცქეროდა იმედად. მეუღლე არქიტექტორი გახლდათ. კლასელები იყვნენ და 70 წელი შეაბერდნენ ერთმანეთს, ერთი დღე არ ყოფილან ცალ-ცალკე.

- ნელიკო, ძვირფასო, განა, რას გიხდინ ამ შენს სამსახურში?! შენი ხელფასი მე არ მინახავს, დაანებე თავი, ასე ადრიანად ყოველ დღე გადინარ სახლიდან, გვიან ბრუნდები, ნუთუ, არ დაიღალე? ხომ გვიგზავნის ჩვენი შვილი ფულს და ჩვენც ვიმყოფინოთ, ასე ბევრი გვჭირდება?

- რა დამლღის, გოგი. ბებერი კი არ ვარ. ჯანმრთელი ვარ და ენერგიული. ჩემთვის ცხოვრება 50 წლის ასაკიდან დაიწყო. სულ სხვა შემართება ვივრძენი, სხვა ენერგია, ჩემი თავი ახლა ვიპოვე, ჩემი დანიშნულებაც და პასუხისმგებლობაც ამ დროს შევიცანი...

- კარგი, კარგი, არ გამიბრაზდე. შენ ყოველთვის ასეთი იყავი, როგორც ახლა ხარ. რაც გაუბნებებს ის გააკეთე, ჩემო მშვენიერო. მთავარია, რასაც აკეთებ კმაყოფილება და სიხარული მოგანიჭოს.

იმ დღესაც, გოგიმ, სასწრაფოს მანქანა გამოიძახა. ნელის საშინელი თავის ტკივილი ჰქონდა და ვერანაირმა წამალმა ვერ გაუყუჩა. გადაიყვანეს საავადმყოფოში. გაუკეთდა გამოკვლევა და ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინდა. დაავადებას ფესვები ისე გაედგა, აზრი დაკარგა მეურნალობამ. ერთ კვირაში სახლში გამოწერეს. ძლიერი გამაყრებლები დაუნიშნეს. ექიმებმა თქვეს, ნუ აწვალბებთ, დარჩენილი ცხოვრება ისე გაიაროს, როგორც მოესურვებაო... ნელის წამშობი ჩართული ჰქონდა. შვილმა ბოლო თხოვნა აუსრულა და სიკვდილამდე მოინახულა. ქალის ისევ ადრიანად დგებოდა. დაავლებდა ჩანთას ხელს და მიდიოდა სამსახურში, რომელიც თვითონ გამოიგონა. იცოდა, რომ მცირე სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ არაფრის შეცვლას არ აპირებდა... გაეკიდებოდა გოგი, სადმე არ წაიქცეს, ცუდად არ გახდესო, გაუბრაზდებოდა

ნელი და ისიც დატუქსული ბავშვივით მიტრიალდებოდა სახლში. ზოგჯერ გული ყელში ამოუვიდოდა ნელის, ცრემლი ღაპა-ღუპით სდიოდა. ჩამოჯდებოდა სასაფლაოს ცივ ქვაზე და გამოიტირებდა წასულ და დარჩენილ დღეებს. ლოდქვემ მწოლიარენი იყვნენ მისი სევდის მოწმენი. ეს მოწმენი კი, სდუმდნენ...

ვინ იცის, ბოლო დროს, რამდენი ბარათი დაწერა. ყველა მეზობელს, ყველა მეგობარს თუ ნათესავს, ნაცნობს თუ უცნობს მისწერა, მოეფერა, უკანასკნელად დაემშვიდობა. ყველას მიმართ განსხვავებული სურვილები ჰქონდა, განსხვავებული სიტბო და სიყვარული. ბოლო დღეებში სასაფლაოს დირექტორს თვალს არიდებდა. თუმცა გრიგოლის არაფერი გამოეპარებოდა და ერთხელაც მორიდებით ჰკითხა: — ქ-ნო ნელი, ასეთი დაღვრემილი არასოდეს მინახავხართ. ჩვენ მრავალი წელია ერთმანეთს ვიცნობთ, იქნებ საიდუმლო არ არის, რა ხდება, რითი შემძილია დაგეხმაროთ?

— თქვენი დახმარება მართლა მჭირდება. მალე მეც დავიმკვიდრებ აქ სამუდამო სასუფეველს...

ამბავი ნელის ავადობის შესახებ, მთელი ქალაქის სასაფლაოების ხელმძღვანელობამ გაიგო. რამდენად უცნაური არ უნდა იყოს, ყველა სთავაზობდა თავის სასაფლაოზე ადგილს, რა თქმა უნდა, დელიკატურად. ნელის დასაფლავებაზე ბევრი ხალხი მივიდა. როგორ დააკლდება ნელის ხელი ჩვენი ქალაქის სასაფლაოებსო, წუხდნენ ისინი, ვისთანაც შეხება ჰქონდა ყოველდღიურად...

— ბატონო გრიგოლი, თქვენ სასაფლაოს დირექტორი ბრძანდებით, არა? მე ნათია ქავთარაძე ვარ. აქ ჩემი მშობლები განისვენებენ. ამერიკაში ვიყავი ათი წელი. საბუთი არ მქონდა ჩამოსასვლელად. ჩემდა სამწუხაროდ, მშობლების საფლავი უპატრონოდ მქონდა მიტოვებული... მოვედი დღეს და თვალს არ დავუჯერე. ეს ნაძვი მე არ დამირგავს, ეს მრავალწლიანი ყვავილები, ხედავთ, როგორ ჰყვავიან? მწვანე მოლი, ქოთნის ყვავილები, სანთლები... სიტყვები არ მყოფნის. ვინ უვლიდა ჩემი დედ-მამის საფლავს, ვისი მადლიერი უნდა ვიყო? მინდა, როგორმე პატივი ვცე იმ ადამიანს, ალბათ თქვენი თანამშრომელია? მადლიერების გამოსახატად უამრავი ფორმა არსებობს. არც კი ვიცი, რა ვთქვა, სიტყვები უძლურია...

— ქ-ნო ნათია, აქ ერთი ფერმკრთალი, მოხუცებული ქალი დადიოდა, ნელი ერქვა. ლურჯარშიებიან კაბას იცვამდა და თეთრსაყელოიან პერანგს. თმებს უკან ივარცხნიდა. მაღალი შუბლი ჰქონდა და მუდამ ცრემლისფერი თვალები... ხანდახან მგონია, ამქვეყნიურიც არ იყო. მოვიდოდა, ჩამოჯდებოდა საფლავის ქვაზე და დიდ დროს ატარებდა თითოეული მიცვალებულის საფლავთან. შორიდან ვუცქერდი. თავისთვის ფუსფუსებდა, ბუტბუტებდა, მისი სახით მხსენებლი გამოუჩნდა უპატრონოდ წასულებს... იმათ, ვისაც ორ თვეზე მეტ ხანს ვერ აკითხავდნენ,

ის უვლიდა. დაივლიდა აქაურობას და თუ რომელიმე საფლავი მოუვლელი დახვდებოდა, არ მოეწონებოდა, არც კითხულობდა, ვინ იყო, საიდან იყო, როდინდელი მიცვალებული იყო... როცა დავინახე, რომ მისი ვიზიტები წლები გაგრძელდა, მომერიდა და გასამრჯელოც კი შევთავაზე, რაზეც ძალიან გამინაწყენდა. სამწუხაროდ, ზუსტად ორმოცი დღის წინ გარდაიცვალა. ასე ნელ-ნელა, რიგრიგობით, ყველა საფლავს უვლიდა, მხოლოდ ჩემთან კი არა, მთელ ქალაქში. სულ ზეპირად იცოდა ვაკის სასაფლაოზე რამდენი მიტოვებული მიცვალებულია, კუკიაზე — რამდენია, საბურთალოს სასაფლაოზე რამდენი. მოჰქონდა ყვავილები, ნერგებს რგავდა, ანთებდა სანთელს, კითხულობდა ლოცვებს. დღეს თქვენ უკვე მეხუთე ხართ, ვინც ამ ქალბატონით დაინტერესდით. წამომყვით, წამომყვით. ამ მარმარილოს საფლავის უკან ხედავთ, უბრალო საფლავებს? ეს ნელის საფლავია... მისი მეუღლეც ორი კვირაა გარდაიცვალა. ერთადერთი ვაჟი არგენტინაში ცხოვრობს, დასაფლავებასაც ვერ დაესწრო. ახლა მათთან ისინი მოდიან, ვინც ნელის ცხოვრებაში არც კი უნახავს, ვისაც არც კი იცნობდა, შორიდანაც კი... ეს ადამიანები მისი საფლავის მოვლას ერთმანეთს ეცილებიან... უბრალოდ, ნელი ახლა იმკის მის დათესილ სიკეთეს. ნელიმ ხომ სამოთხის საზღვარს ცხოვრებაშივე გადააბიჯა. მას ცხოვრებაშივე ჩამოსცქეროდა მადლიდან უთვალავი ადამიანი...

არადა, როგორ მთხოვდა, არაფერი მეთქვა მასზე.

— მაპატიე, ქალბატონო ნელი, მაპატიე. აბა, ეგ ამბავი როგორი დაიძალეობდა ამ ერთ პატარა ქალაქში. ამ ნაკვალევს რა ვუყო, როგორ წაიშლება, რომელიც ასე მკრთალად დატოვებ? ან ამ გახარჯულ ცხოვრებას სად დატევდით, სადაც გულის ნაწილი ჩადებო... ეჰ, ჩემო ქალბატონო ნელი...

P.S. ჩემს წარმოსახვაში არსებული ქ-ნი ნელი, ვფიქრობ, ყველა თქვენგანის სულში გააგრძელებს სიცოცხლეს... სიკეთის უკვდავება ასეთი ადამიანების დამსახურებაა.

ჩანაწერებიდან...

დამებედეები... ამიყოლებს შენი უბის სურნელი ისევ, გავყვები ბილიკს, ლურჯი ფიქრით ბევრჯერ გაკვალულს, დამხვდება გზები შერეული თოვლებს და ნისლებს, დამიღამდება უშენობით ასე გათანგულს... დამესიზმრება, რომ ცისკარში ვხვდებით ერთმანეთს, სულის კუნძულზე ერთად ვსახლობთ ფერად რიფებთან, გამეღვიძება, ფრთაფიქრებით შენამდე მოსულს, უშენო დილაც შენთან ერთად გამითენდება, დამდღის ლოდინი უსასრულო, რა მიხაროდეს, აუხდენელი ოცნებები დამდის ცრემლებად, მერე რაა, რომ ზოგჯერ არ ხარ ჩემს სიანლოვეს, მე მაინც შენი სიყვარული დამებედება.

ჯახუთიუნ ჰოვნათანი



ჰარუთიუნ ჰოვნათანი – პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, – 80 წლისაა. ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ აქვეყნებს მის ლექსებს და მეგობარ პოეტს ულოცავს იუბილეს!

მან მრავალი ქართველი მწერალი თარგმნა სომხურ ენაზე და გააცნო იქაურ მკითხველს. ვუსურვებთ მას წარმატებებს და სულის სიმხნევეს შემოქმედებით საქმიანობაში!

დედის რძე

ღმერთისგანაა დედის რძის სურნელი,
დედის მონატრება;
ვინც დედის რძეს არ აფასებს,
უფლისათვის უცხოა და მიუღებელი.
რძეშია მთელი ბავშვობა,
ღვთაებრივი სიწმინდე;
რძეშია ღმობიერება და გზნება,
დედის რძეშია სინათლე და თრთოლვა.
თუნდაც დედისგან შორს იყო,
ადამიანად შეგინახავს დედის რძე,
უფლებას არ მოგცემს, ცოდვის მონად იქცე;
დედის რძე მულამ შინ დაგაბრუნებს.

* * *

სტუმრად დასხდნენ მიწაზე
ენძელები, იები...
ნეტავი ვინ დაბრუნდა,
ვინ მონახა ამ ქვეყნად
გზა დასაბრუნებელი?
ვისი საყვარელია ვარდის სურნელ-მფრქვეველი?
ვისი ცრემლით ილტობა ცაზე ციდა ღრუბელი?
ამ ქვეყანას ვინ ტოვებს
და ამ ქვეყნად ვინ მოდის?

* * *

ქვა მოწმეა და მოლაპარაკე.
თუმც უენოა, უენო.
ვინც იყვნენ, უკვე აღარ არიან,
ქვა მათი უსიტყვო მოწმეა.
ქვა თვითონ ტადარია,
ქვა მღუმარე ბრძენია,
ქვა ხმათასაცავია,
მღუმარე სიწმინდეა.
ქვა ჩვენი სახლია,
ქვა ჩვენი ბუნებაა,
ჩვენი მშვენიერებაა, ჩვენი ბედია,
ჩვენი სულიერი სამოთხეა,
ღვთის დაწერილი ჩვენი ანბანია,
ღვთის მოცემული ქვეყანაა.

* * *

ძველ სიმღერებს აღარ ვმღერი,
აღარა ვხნავ ძველ ყამირს;
სულმა სინათლის სხეული ჩაიცვა,
ნამღერი სიმღერის მღერა
აღარა ღირს.
წავიდა, დაიკარგა ის ხმაური,
უკვე დაჟანგდა ის გუთანი;
ჩემში ერთი ახალი გულია,
ერთი ახალი ადამიანი –
ჰოვნათანი.

* * *

ამაღლება გინდა?
– ხე ღარგე!
შობა-დაბადება გინდა?
– ხე ღარგე!
სადაც გინდა იყო,
ხე ღარგე.
ხის ღარგვისას
უსიტყვოდ მუხლთ მოიყარე.
თუ ხეს ღარგავ,
ცაც იქნები
და დეღამიწაც.

სომხურიდან თარგმნეს: მაცვალა გეურკოვა-საკიანმა
და თამარ გაბროშვილმა



რუსულიდან თარგმნა
ირინე ბორჯანიძე



მე თბილისი მენატრება

მე თბილისი მენატრება
ცეცხლოვანი თვალებით,
მძიმე ფოთლის ნაზი ჩრდილი,
ვარსკვლავების ხალები.
დაკიდული აივნები,
ბუდეები მტკვრის თავზე,
მემწვანილე ქალთა ხმები,
ჭიქის დაცლა ჭიქაზე...
სველი წვეთი მწიფე ხურმის,
სხივი თვით სიბნელეშიც,
თავდაყირა ინდაური
ლამაზმანის ხელებში!
ის ნიავი მომენატრა
მთაზე ნაშენ კოშკების,
სად მზე მშვიდად დარონინებს
ოქროს წყვილი ქოშებით...
ფიროსმანის ნახატები,
მისი დროის ლოთები,

ბზინვა გრილი კალმახების,
თონე ცხელი შოთებით!
„ბონაპარტი“, კათხა ლუდი—
ავსებული ნახევრად
იმ დუქანში, რასაც ერქვა
„სიმპათია“ სახელად.
წარწერები კედლის მკერდზე
უვნებელი აზრებით,
სახაშეში საუბრები
დინჯი, აუჩქარები...
მე თბილისი მენატრება
ძველებური სახლებით,
დარდიმანდულ ხუმრობებით,
ძველით, მარად ახლებით!
გულისა და სულის გახსნა
თავისუფალ მხატვართა,
რაც ჩემამდე არსებობდა,
რაც ჩემამდე დამთავრდა...
მენატრება „ალავერდის“
გადმოლოცვა ლამაზი,
ჩემი ძველი მეგობრები –

ოთარი და თამაზი!..
გოგლა, სიმონ ჩიქოვანი...
ვაწანდილე ხორბალი,
სულ ბოლომდე გამოცვალე
მათი შესანდობარი.
ყველა მახსოვს, ყველაფერი –
მკვდრებიცა და ცოცხლებიც...
მომენატრა ლურჯი მტვერი
ქურთი ქალის ცოცხების...
გულნარა და ეთერ ქალი,
გულთან ფრთხილი თამაში,
მათი მზერა მონარნარე,
წენარი რხევა ჰამაკში.
მე თბილისი მენატრება
მშობლიური სახლივით,
ძველი წლები მენანება,
მისი გამოძახილი...
მენატრება ჩემივ თავი,
ო, როგორ მეხარება...
რა ყოფილა სიჭაბუკე –
თვალის დახამხამება!

Евгений Евтушенко

Я тоскую по Тбилиси

Я тоскую по Тбилиси
по глазам его огней,
по его тяжелолистью
и по легкости теней,
по балкончикам, висящим,
словно гнезда, над Курой,
по торговкам голосящим
над сочащейся хурмой,
по глядящей простодушно
в любопытстве, не в тоске –
вверх тормашками – индюшке
у красавицы в руке,
по прохладе горной храмов,
где немного постоишь
и поймешь, что ты, как мрамор,
жилку вечности таишь,
по кутилам Пиросмани,
что устали продолжать,
но гостей не перестали
внутри клеенок приглашать,
по художникам свободным,
по компании большой,
по сапожникам холодным,
но с горячею душой,

по стоящему красиво
с голой грудью, в забытьи
Бонапарту с кружкой пива
На стене в „Симпатии“,
И по надписи, не страшной
Никому давным-давно,
Над гортанным хором в хашной:
„Громко петь запрещено!“
Я тоскую по Тбилиси,
По домам, чей срок на слом,
по лихому остромыслию –
ну хотя бы за столом,
по Отару, по Тамазу,
по Давлиот!, Алаверди!,
по горбтому томату
по лицу у тамады,
по Симону и по Геле, будь земля
для них легка!
Как они сейчас продрогли
Под землею без глотка.
По Гюльнаре, по Этери,
С осторожной их игрой,
По малиновой метели
У курдянки под метлой.
Я тоскую, как по дому,
По Тбилиси давних лет,
по себе по молодому
с той, которой больше нет.



20 წელი ალექსანდრე — „მოშია“ ჩხაიძის გარდაცვალებიდან

ოთარ ჩხეიძე ინტერვიუში — „ჩემი სოფლის ეტიუდები“ ამბობს: „ვინ უწყის, რო არც ისე იშვიათნი არიან, მაგრამ იჭყლიტებიან ამ შემზარავ ბრძოლაში, სადაც სიავე უფრო უღმობელია, ხოლო ხელოვნება, ჭეშმარიტი ხელოვნება, მხოლოდ სიკეთის ფესვზე ამოდის და ასე მგონია, უფრო მეტია დაღუპული, დაღუპული თუ დაკარგული — დაკარგული ითქვას — დიდებული შემოქმედი, ვიდრე რო შეგვჩნა, უფრო მეტია დაკარგული, გამქრალი უკვალოდა, უფრო მეტია, ასე მგონია-მეთქი და ის ანდაზა თუ რაღაც მაგვარი ანდაზისაი: ნიჭი არ დაიკარგებაო, დაუფიქრებელი ნათქვამი გამოდის“...

სამწუხაროა თუმცა, მკითხველს თუ მაყურებელს ალბათ მაინც შეუძლია „გადაარჩინოს“ ასეთი „განწირული“ ავტორი, თავისი მენსიერებითა თუ მაღლიერებით.

მასზე ავი ხმები ამბობენ — სოც. რეალისტია, ვითომ დღეს მოღური აღარ არისო. ისიც გამიგონია, თითქოს მისი ნეკროლოგის დაბეჭდვაც კი აუკრძალავთ აჭარაში, იმ წლებში. არ ვიცი, შესაძლოა, ის არ იყო დისიდენტი, არც მოდერნისტი და არც მოღური. მაგრამ რა ვუყოთ მის პიესებს, რომლებიც XX საუკუნის ლამის მთელი მეორე ნახევარი ასაზრდოებდა ქართულ სცენას და არამარტო ქართულს. თუნდაც გიგა ლორთქიფანიძის მიერ განხორციელებული „შთამომავლობა“, მარჯანიშვილის სცენაზე — ვერიკო ანჯაფარიძის, ნოდარ მგალობლიშვილის, გივი ბერიკაშვილის მონაწილეობით. ან კიდევ მიხეილ თუმანიშვილის სატელევიზიო დადგმა „ხიდი“ — ეროსითა და იზა გიგოშვილით, მთავარ როლებში...

ბათუმელებმა, მას „მოშია“ შეარქვეს. ალექსანდრე ჩხაიძე — ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1924 წელს ბათუმში დაიბადა, იცხოვრა და იქვე განისვენებს... ის იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ჟურნალისტა და

მწერალთა კავშირების წევრი, აჭარის თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, „ჭოროხის“ რედკოლეგიის წევრი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. მაგრამ სამამულო ომის გამო იძულებული გახდა, ფრონტზე წასულიყო. ომიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამშობლოში დაბრუნდა და მოღვაწეობა, როგორც ჟურნალისტმა დაიწყო.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, აქვეყნებს პიესებსა და მოთხრობებს. პირველსავე მოთხრობას — „მეგობრობა“, საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა. მისი პიესების მიხედვით შექმნილია მხატვრული ფილმები: „ერთ პატარა ქალაქში“ (პიესის დასახელება — „როცა ქალაქს სძინავს“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე, მთ. როლში ქეთევან კიკნაძე), „საქმე გადაეცემა სასამართლოს“ (პიესის დასახელება — „ხიდი“, რეჟ. ვალერი კვაჭაძე, მთ. როლში დოდო აბაშიძე), „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“ (პიესის დასახელება — „სამიდან ექვსამდე“, რეჟ. ვალერი კვაჭაძე, მთ. როლში თენგიზ არჩვაძე).

ალექსანდრე ჩხაიძის 50-მდე პიესა დადგმულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების 50-ზე მეტ თეატრში, საქართველოს ყველა თეატრში, ასევე — გერმანიაში, ბულგარეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, ჩინეთში. იგი ავტორია მოთხრობებისა: „როცა მთავრდება ბავშვობა“, „ქალაქში ერთი ეზოა“, „ზღვა და ოთხი ქალიშვილი“, „უძღვევილი“, „ჩვენებურები“, „კვალი დედამიწაზე“, „ერთხელ“. პიესებს: „შთამომავლობა“, „მომავალ შეხვედრამდე“, „ზღაპარ იყო“, „თავისუფალი თემა“, „ჩინარის მანიფესტი“, „სამიდან ექვსამდე“, „მიკროფონი“, „როცა ქალაქს სძინავს“, „ჩემი ეიფელის კოშკი“, „ქარის წისქვილი“ თავის დროზე მიიღო არაერთი პრემია.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარის თეატრალურ საზოგადოებას. მისი მოღვაწეობის ხანა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართული თეატრის ცხოვრებაში. ამ პერიოდში, ეს ორგანიზაცია ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სტრუქტურად იქცა მთლიანად ქართული კულტურის სფეროში. სწორედ ალექსანდრე ჩხაიძის ინიციატივითა და მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი, ბათუმში თითების თეატრის, „ხელოვნათა ლიგისა“ და „ჩვენი თეატრის“ დაფუძნება.

დაბოლოს, მინდა თანადგომისთვის მაღლობა გადავუხადო ბ-ნ „მოშიას“ ქალიშვილს, — ქ-ნ მარინა ჩხაიძეს და ბ-ნ სანდრო ბერიძეს „ჭოროხიდან“.



ბავშვობა კახეთში, საგვარეულო სოფელ გიორგიწმინდაში გაატარა. სანაქებო და ღირსეული წინაპრები ჰყავდა...
 ლექსების წერა ბავშვობიდან დაიწყო – როგორც ამბობს, შეუყვარდა და მიტომ! პირველი ლექსები უნივერსიტეტის გახეთში დაიბეჭდა, შემდეგ კი – ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. ორი პოეტური კრებული ავტორია.
 მის ლექსებზე ლამაზი სიმღერებია დაწერილი. ნანა ჯანელიძის კინოფილმ-ისტვის „იავნანამ რა ჰქმნა“ თითქმის ყველა სიმღერა მის ლექსებზე შეიქმნა... ამბობს, რომ დრო გადაარჩევს ნამდვილ და ცრუ პოეტებს... – პოეტი ლალი გულისაშვილი.

„დრო გადაარჩევს ნამდვილ და ცრუ პოეტებს“...

ლალი გულისაშვილს ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი

– ბავშვობა საგვარეულო სოფელ გიორგიწმინდაში გაატარეთ, დიდი ოჯახი გქონდათ...

– ბავშვობა საგვარეულო სოფელ გიორგიწმინდაში გაატარე. სამი თაობა ერთად ვცხოვრობდით: ბებია და პაპა, მშობლები და ბავშვები – მე და ჩემი და. რა დამამახსოვრდა? მამაჩემს რომ შემა მოჰქონდა გომბორიდან და კუნძები რომ ეყარა ირგვლივ...

– ცნობილი განმანათლებელი და მამულიშვილი იერემია გულისაშვილი დიდი პაპა იყო...

– იერემია გულისაშვილი აჭარაში სკოლების დამარსებელი და დიდი პედაგოგი იყო. დავით ლორთქიფანიძემ (პედაგოგიკას გვასწავლიდა) რომ მკითხა, იერემია შენი რა იყო, ვუპასუხე, დიდი პაპა-მეთქი და, რასაკვირველია, პასუხისმგებლობით და სიამაყითაც აღვივსე. იერემიას ორი პიესაც აქვს: „ცხოვრება ბრძოლა“ და „დრონი მეფობენ“. იერემია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს.

– ბებია და პაპა ცნობილი და სანაქებო წინაპრები გყავდნენ...

– ბებიჩემის მამა მღვდელი იყო ქაშვეთის ეკლესიაში, ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი („ჯადო მღვდელი“). ჰქონდა ნაშრომი „ელექტროლომეოპათიაზე“. ამიტომაც ეძახდნენ „ჯადოს“... მისი აშენებულია გიორგიწმინდის ეკლესია, ჯადო მღვდლის შეწირულია ქაშვეთის ეკლესიის კარიბჭე, რომელიც დღემდე ჰკიდია ძველი შესასვლელიდან... „ჯადო მღვდელი“ იცნობდა იაკობ გოგებაშვილსა და ვაჟაფშაველას, ეხვეწებოდა, გიმკურნალებთო (იაკობს სახსრები სტკიოდა და ვაჟასაც რაღაც აწუხებდა), მაგრამ არ დათანხმდნენ. ჯადოს ეგონა, მწერლები რომ იყვნენ, საზოგადოება უფრო დაუჯერებდა, იმიტომ, რომ ექიმი არ იყო... სამადლობელი წერილები კი მოსდიოდა, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, ვაჟას რომ ეთქვა, მომარჩინაო.

„ჯადო მღვდელს“ ქონება ჩამოართვეს. რაც გადარჩა – აღდგომის ხატი და სახარება, ბიძაჩემმა – დიმიტრი გულისაშვილმა გიორგიწმინდის ეკლესიას გადასცა. ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი დახვრიტეს ოცდაჩვიდმეტში. ოკუპაციის მუზეუმში ვნახე: ქაშვეთის ეკლესიის მთავარი და ა.შ.

მიმა პაპაზე და მარო ბებიჩემზე გეტყვით – ბებიჩემი რუსულის მასწავლებელი იყო, ლენინის ორდენოსანი! მასსოვს, მე და მარინას ბიძაშვილებთან ერთად რომ დავცხსამდა და „კარნახს“ გვაწვინებდა

პაპა მეტყვევებდა იყო. სახერხი ჰქონდა... ერთი ცხენი გყავდა, „მიშკა“ ერქვა, დედა – ნინა დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. მამა ჯიმპერი – ისტორიის. გერმანული ენა ბრწყინვალედ იცოდა, გერმანულსაც ასწავლიდა. გომბორში სკოლის დირექტორი იყო.

– სკოლის პერიოდი...

– სკოლაში შემეყვარდა პირველად!

– შემდეგ იყო სტუდენტობა უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდით დისერტაცია დაცავით...

– ყველაზე ბედნიერი ხანა იყო სტუდენტობა! უდიდესი კვალი დატოვეს ბატონებმა – გრივერ ფარულავამ, თემო მაღლაფერიძემ და რეზო სირაძემ. რეზო რა სასტიკად გარდაიცვალა გახსენებაც არ მინდა...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 17 წელი ვმუშაობდი ლიტერატურის ინსტიტუტში. ზაზა



მიმა პაპა და მარო ბებია



სიბე, შვილი და შვილიშვილი

აბზიანიძე იყო ჩემი ოპონენტი დიპლომის დაცვაზე და მან გამიწვია რეკომენდაცია. 1983 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე: „მეოცე საუკუნის ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება 10-იან წლებში“. ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე კალანდაძე. ეჭვიანი კაცი იყო, თუმცა მიყვარდა და ვუყვარდი.

ალ. კალანდაძე სამამულო ომის მონაწილე იყო. ტყვედ ჩაუვარდა ფაშისტებს. ელოდებოდა დახვერტასა და წამებას, მაგრამ გადარჩა და რომ დაბრუნდა სახლში, ახლა აქ დაიწვეს მისი დაკითხვა-წამება...

ერთ მოვონებას გავიხსენებ. ალექსანდრე გაანაწილეს საგარეჯოში სკოლის დირექტორად, იმავე სკოლაში ასწავლიდა ბებიანაძე. რომ ვთქვი, ალექსანდრე არის ჩემი ხელმძღვანელი-მეთქი, გადაირია ბებია, მოიყვანეო, დაიჟინა. მეც ვუთხარი და ბამბანერკა დაიჭირა ხელში და გამომყვა ხალისიანად. ბებია ფეხმოტეხილი იწვა (4 წელი). ისე შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს გუშინ დაშორდნენო... ბებია გაეპრანჭა კიდევ, თუმცა არც კაცი აკლებდა...

ორივე მემადლიერებოდა!

– პირველი ლექსები...

– ლექსების წერა ბავშვობიდან დავიწყე. შემიყვარდა და მიტომ!

„ქუჩებს დავდექ მწუხარების ანაბარი, მათხოვარი ჩემი ბედი სხვა არ არი მე საჭმლისთვის, ფულისათვის ხელს არ ვიშვერ, მე დავეძებ შენს ნაკვალევს, წამწამს გიშერს“... და ა.შ.

– გახმაურდა და სიმღერა შეიქმნა ლექსზე – „მითხარი“... რაიმე ისტორია ხომ არ უძღვის წინ?

– „მითხარის“ არაფერი არ უძღვოდა წინ. უბრალოდ, ავტორს – ნინო სულაიურს მოეწონა და მთხოვა, რომ დავწერო, ხომ არ გეწყინებაო და მეც დავთანხმდი.

– ფილმს „იავნანამ რა ჰქმნა“ თქვენს ლექსებზე შექმნილი სიმღერები ამშვენებს...

– „იავნანაში“ თამრიკო ჭოხონელიძე რომ მღერის: „დაიბინე, გენაცვალე, იავნანინაო“, – ჩემი ლექსია. ნანა ჯანელიძემ მთხოვა, თითქმის ყველა სიმღერა ჩემს ლექსებზე დაწერილი... კიდევ, ზვიად ბოლქვაძეს აქვს ორი სიმღერა ჩემს ლექსზე და მან მე და ჩემი შვილი კონცერტზეც დავგვატიჟა...

– მუშაობდით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად და მერე დირექტორად თანამედროვე სკოლის პრობლემებიდან რომელს გამოყოფდით?

– სახელმწიფოს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი განათლებასთან დაკავშირებით. ხელფასს გავუზრდიდი პედაგოგებს, რადგან ამ ხელფასით მამაკაცი ვერ შეინახავს ოჯახს. მამაკაცი უნდა ზრდიდნენ ჩვენს შვილებს.

გურამ რამიშვილმა, რომელიც იყო ენათმეცნიერი და ე.წ. გერმანული სკოლების დამაარსებელი, მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული გახდა. აქ მუშაობდნენ: ალექო კარტოზია, გიორგი შარვაშიძე, ვასიკო მალლაფერიძე, გია ალიბეგაშვილი, ზაზა კოკაია, თაზო ავალიშვილი, რეზო ბუთხუზი, სოსო გერმანიშვილი. აგრეთვე, მუშაობდნენ სკოლაში: გოგა ლაზრიშვილი, გია ლასხიშვილი, პაატა ვეშაპიძე და სხვანი... გურამ რამიშვილს აქვს წიგნი „დედაენის თეორია“, რომლის მიხედვითაც, ჯერ გოგებაშვილით უნდა ისწავლონ ბავშვებმა და მეოთხე კლასიდან დაიწყონ უცხო ენა... ახლა რომ იწყებენ პირველი კლასიდან ენებს, დედაენა თუ არ იცის ბავშვმა, გაუჭირდება. „ზღაპრებით“ შორს ვერ წავალთ...

– ნამდვილი პოეტი – როგორი უნდა იყოს?

– ნამდვილი პოეტი უნდა იყოს გულწრფელი! ისეთი რამე უნდა თქვას, სხვები რომ ვერ იტყვიან. დრო გადაარჩევს ნამდვილ და ცრუ პოეტებს.

– ბედნიერება რა არის?

– როცა თავისუფალი ხარ, ესაა ნამდვილი ბედნიერება...

– თქვენი ერთი ლექსი...

„სასწაულები არ ხდება, მაგრამ ხომ შეიძლება, დეკემბრის ღამეს გამომალვიდოს შენმა ჩურჩულმა: – თოვლი მოსულა“.

– ორი კრებული – „დაბრუნება ძველ სახლში“ და „საგაზაფხულო ლოცვა“ ავტორი ხართ. ახალ წიგნზე ხომ არ მუშაობთ?

– კი, ვმუშაობ, მაგრამ ფული არ მაქვს, რომ გამოვცე ვიშოვი, არაფერია!

– დღე, რომელიც ძვირფასი იყო თქვენს ცხოვრებაში...

– როცა ჩემი შვილი დაიბადა...

– როგორ წერთ ლექსს, როგორ მოდის შთაგონება?

– შთაგონება ხან როგორ მოდის და ხან კი მიდის! ხან ლექსის ერთი სტრიქონიც კმარა... აბა, რა ვიცი...

– ჰობი...

– ჰობი არა მაქვს!

– „მაქვს ლექსების ორი კრებული – „დაბრუნება ძველ სახლში“ და „საგაზაფხულო ლოცვა“. მყავს ერთი შვილი – ქრისტინე კანდელაკი, ჯერჯერობით ერთი შვილიშვილი – ირაკლი კლდიაშვილი, ლაბრაძორის ლეკი და ნახევარი სამშობლო“... – ასე დაწერეთ თქვენს ბიოგრაფიაში. რას დაამატებდით?

– ნახევარი სამშობლო... ჩემმა შვილმა აუცილებლად უნდა ნახოს აფხაზეთი და სამაჩაბლო...



ნიკო ლეჟავას ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

მანანა დუმბაძე, მაია გოგოლაძე, რევაზ ბაღანჩივაძე, გულნაზ გვალია

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“
რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22

ანგარიშის ნომერია: GE 81BG 0000000 306158900

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“
კონკურსი – საპრიზო მოთხრობები

მაკა ჯოხაძე – „სამშობლო – ჩემი სავანე“

ერთი ლექსი

კობა (იაკობ-აბა) არაბული – „გაზაფხული ჩემს სამშობლოში“

ევგენი ევგუშენკო – „მე თბილისი მენაბრება“
თარგმნა ირინე გოჩიაშვილმა

ერთი ლექსი

მზია ხეთაბური – „როცა ხეები გაღმა ხეებიან“

გოჩა ყაბუკაიძის ლექსები

ლალი ურდულაშვილი – „ბრძენი მაღალგბელი“

„დრო გადაარჩევს ნაშვილ და მრავ კოეტივს“ –
ინგერვიუ ლალი გულისაშვილთან



ახეული – გაბიფხულის ხეული